

იოსებ მეგრელიძე

ჭოლა ლომთათიძე

დაბადების 100 წლისთავი

გამომცემლობა
„საბჭოთა აპარატი“

1979

აქ წარმოდგენილია ახალი საარქივო მასალები, მოგონებები და ნარკვევები ქართველ მწერალსა და ბელეტრისტ კოლა ლომთათიძეზე. პირველადვე იბეჭდება კ. ლომთათიძის რიგი ბარათები ქართულსა და რუსულ ენებზე.

წიგნი საინტერესო იქნება სპეციალისტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი პროფ. გ. ციციშვილი

© გამომცემლობა „საბჭოთა აქარა“, 1979



სურ. 1. კოლა ლომთაიძე
მწერალი და საზოგადო მოღვაწე



სურ. 2. კოლა 16 წლისა

ჰოლა ლომთათიძისა და მისი მახლობლების შესახებ

არსებობს გორისა და ჩოხატაურის რაიონების სასოფლო საბჭოები ხიდისთავი. ნეორე ხიდისთავის სოფელ ქაჭიეთში ბავშვები ეზოში ვთამაშობდით. უეცრად დედაჩემის შეკვივლება და შემდეგი სიტყვები გავიგონეთ: „ძაო ჭოლა, წამებულო ჭოლა...!“ ამას ბებიაჩემის მოთქმაც მოჰყვა: „შვილო ჭოლა, შვილო ჭოლიკო!... ბავშვები უმალ მათთან გავჩნდით.

ჩვენსას*, რაც მე მახსოვდა, ეს პირველი შეცხადება იყო. მივხდი კი, რომ მახლობელი ვინმეა გარდაცვლილი. სახელი ჭოლა ბევრჯერ გამეგონა, მაგრამ ვინ იყო იგი, არ ვიცოდი.

მეზობელ ლავრენტი ლომთათიძისასაც აკვილდნენ. აქ ჭოლას ბი-ცოლა ვლასე და მისი ასულები მოთქვამდნენ...

იმავე საღამოს ბებიაჩემი (დედის მხრივ)—ფოტინე თავართქილა-ძე-ჭანიშვილისა, დედაჩემი, ჭოლას ოჯახის წევრები, ორი-სამი მე-ზობელი და მეც თბილისს გავემგზავრეთ. საჯავახოში მატარებელშივე შევეუერთდით ოზურგეთიდან წამოსულ ჭოლას ბიძას, ილარიონ ლომთათიძესა და მამიდა მელნიკის.

დამხედურებმა თბილისში სასტუმრო „ერმიტაჟის“ (მაშინდელი სასახლის ქ. № 12) პატრონ, დეიდაჩემ ქეთევან ჭანიშვილ-ბურჭულა-ძის (1888—1971) ბინაში მიგვიყვანეს (გელიანოვების ქ. 12, ახლან-დელი შ. დადიანის ქუჩა ლენინის მოედანთან. მაშინ მამაჩემიც აქვე ცხოვრობდა). მალე მახლობლად მდებარე ქაშვეეთის ტაძარში წავე-დით. ახლანდელი მთავრობის სასახლის ადგილზე მაშინ სამხედრო ტაძარი იდგა. აქედან ქაშვეთამდე და მას იქითაც ქუჩები ხალხით იყო სავსე. ძლივს გავალწიეთ ხალხში და ტაძარში შევედით. იგი ხალხით

* ასეთ ფორმებს ჩვენ შეგნებულად ვხმარობთ, არ ვწერთ ჩვენთან და ა. შ. შით უფრო, რომ ასეთივე ფორმები „ვეფხისტყაოსნის“ ქვესათაურებშიც ასახუ-ლა. ეს ქვესათაურები რუსთაველის ნაწერი არ უნდა იყოს, მაგრამ ლიტერატუ-რაშია შესული. მაგალითად, იხ. „წასვლა ავთანდილისაგან ფრიდონ ი ს ა ს ა“, „მისვლა ავთანდილისაგან ფრიდონ ი ს ა ს ა“ და სხვ.

კიდევ უფრო გაკედილი აღმოჩნდა. ტაძრის შუაში იდგა კუბო, რომელსაც ზემოდან პატარა შუშა ჰქონდა დატანებული, ორატორები სიტყვებს წარმოთქვამდნენ...

მიცვალებული გაასვენეს. მე ერთმა ბიძათაგანმა ჩვენი ნათესავის, ცნობილი მეცენატის, ნოე სიხარულიძის სასტუმრო „პოტელ ნოე“-ში (ახლანდელი—„რუსთავი“ პლენანოვის გამზირზე) მიმიყვანა და ოვითონ პროცესიას გაჰყვა.

სასაფლაოდან გვიან დაბრუნდნენ. აქ იყვნენ უმთავრესად გურიიდან ჩამოსული ჭოლას ნათესავები. თუმცა, ჭოლას ყოფილი ცოლი, ცილია და შვილი—ჰოლოკო არ ჩანდნენ! მაშინ ცილიას შესახებ ქალაქში ბევრი ლაპარაკობდა და ახლა აქაც იმეორებდა: ცოცხალ ქმარს გაუთხოვდა, როგორ არ შერცხვა, ჭოლას დასაფლავებაზე მოსვლა! (იხ. ქვემოთ—შენიშვნები*) ან მეორე ქმარმა როგორ გამოუშვაო! (შდრ. ქვემოთვე, გვ. 60).

ნოე სიხარულიძე, მელინკი, ილარიონი, მამაჩემი და ჩამდენიმე სხვა პირი, წესისამებრ, მესამე დღეს ჭოლას საფლავთან მივიდნენ. მახსოვს, იქიდან დაბრუნებულმა ლავრენტიმ თქვა: ჭოლას ისეთი ეკვტერი (საფლავის ქვა) უნდა დავადგა, რომ ყველამ ყურადღება მი-აქციოსო.

ჭოლას ჩამოსვენებას, დაკრძალვასა და მესამე დღეს მის საფლავთან მისვლას ხსენებული ქეთევან ჭანიშვილი ასე იგონებს:— ჭოლას სიკვდილის ამბავი მოვიდა. თითო-ოროლა სოციალისტი მუდამ იყო ჩემსა და ჩემი მამიდაშვილის ნოეს სასტუმროში უფასოდ. დატრიალდნენ ასეთები და ამხანაგები შეკრიბეს, გადაწყვიტეს ჭოლას ჩამოსვენება. გაგზავნეს დეპეშა და ჭოლას ერთი მეგობარიც გაემგზავრაო...

ჭოლას სიკვდილს არც სარატოვში ჩაუვლია შეუმჩნევლად. ჟანდარმერიის სპეციალურ დასმენაში აღნიშნულია: მუშებისა და სტუდენტების სელა იმ სამოქალაქო საავადმყოფოსაკენ, რომელშიც 4 ნოემბერს გარდაცვლილი სახელმწიფო მეორე სათათბიროს დეპუტატის ლომთათიძის გვამი ესვენა, დემონსტრაციებში გადაიზარდა. მიჰქონდათ თაიგულები და მათ შორის ჩანდა წითელი ლენტებიანი გვირგვინებიც, რომლებსაც პოლიციის მოთხოვნით დემონსტრანტები ცვლიდნენ თეთრი ლენტებით. მაგრამ მათზეც წარწერათა უმრავ-

* სქოლიოებს ვარსკვლავით აღვნიშნავთ, შენიშვნებს—ტექსტის შემდეგ ციფრებით: იხ. გვ. 60 და შემდეგი.

ლესობა წითელი ასოებით იყო შესრულებული და შინაარსიც ტენდენციური ხასიათის აღმოჩნდა, 8 ნოემბერს ლამის 11 საათზე ჩამოვიდა მოსკოვიდან მეორე სათათბიროს ერთ-ერთი დეპუტატი და 9 ნოემბერს ჭერ კიდევ საერო საავადმყოფოსთან შეიკრიბნენ 400 სტუდენტი და 200 მუშა. მიცვალებული გაასვენეს სადგურისაკენ. პროცესიას შეუერთდა აურაცხელი ხალხი, აღმინისტრაციულად გადმოსახლებულთა მუშების ერთმა ჯგუფმა დააპირა ემღერა „Жертвою или“.

ასეთსავე ცდებს რკინიგზის სადგურზეც ჰქონდა ადგილი უკვე სტუდენტების მხრივ, მაგრამ პოლიციამ არ მისცა მათ ამის საშუალება.

მეორე ცნობაში ნათქვამია, რომ სადგურზე ლომთათიძის გასვენებას სარატოვში 5 ათასამდე ადამიანი ახლდა. აქ ქალაქში წინათ ასეთი დემონსტრაცია არ ნახულაო.

მაშასადამე, კოლა სარატოვიდან გამოასვენეს 9 ნოემბერს და არა 5-ს, როგორც ეს აღნიშნულია ჯ. ლომთათიძის ცნობილ ბიოგრაფიაში (ჯ. ლომთათიძის მოთხრობები, 1925 წელი, ტ. I, გვ. XXV).

მიცვალებული თბილისში 14 ნოემბერს ჩამოუსვენებიათ და მას საზოგადოება წინასწარ მომზადებული შეჭხვედრია არც პოლიციას ეძინა, მაგრამ იგი უძლური აღმოჩენილა, და შეხვედრა დიდ დემონსტრაციაში გადაზრდილა.

ბევრ მოგონებაშია ნათქვამი: არც ერთი სოციალისტის გასვენებაზე იმდენი გაბედული სიტყვა არ თქმულა, რამდენიც კოლას კუბოსთან ითქვაო.


კოლა 15 ნოემბერს დიდი ამბებით გაასვენეს წმინდა ნინოს (ახლანდელი კუკიის) სასაფლაოზე. სასაფლაოს რომ მიუახლოვდნენ, ხმები გაუქრცელებიათ: ქალაქში სროლა ვერ გაბედეს, სასაფლაოზე კი პოლიცია სროლას ატეხს და ხალხს გაჟლეტსო. ზოგიერთებს შეშინებიათ და გაქცეულ-გამოქცეულან. ეს შეუძინებია ერთ-ერთ ორატორს და ხალხისათვის მიუმართავს: „ვერაინ ვერაფერს გაბედავს. იყავით ერთიანი, ისარგებლეთ დღევანდელი დღით და მოისმინეთ, რასაც აქ იტყვიანო. პეტერბურგიდანაა ნებაართვა ამ კაცის ასე დასაფლავების, თორემ ვინ ჩამოგვასვენებინებდაო“.

ხალხი მართლაც კლდედ ქცეულა, ორატორებს სასაფლაოზეც ცხარე სააგიტაციო სიტყვები წარმოუთქვამთ ცარიზმის წინააღმდეგ და მოახლოებული რევოლუციის სასარგებლოდ.

აწ განსვენებული პროფესორი მოსე გოგიბერიძის (1897—1949 წ.) ბიოგრაფიული ხასიათის ჩელნაწერში ვკითხულობთ: რევოლუციური მოძრაობა საქართველოში საგრძნობლად გაამძაფრა კოლა ლომთათი-

ძის სიკვდილმა... „ქართველთა მოპასანი, გარდაიცვალა მეფის სატუ-
ხალოში. რუსეთის დემოკრატიისათვის კოლა ლომთათიძე იყო მეო-
რე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი. ჩვენთვის კი იყო იგი, გა-
რეშე ყოველივე ამისა, ქართველი მწერალი“,—ერთი იმათაგან...
რომლებმაც „საქართველოში. ევროპული აზროვნება რომ მოიტა-
ნეს მე-19 საუკუნის დამლევს. რუსეთის მთავრობა იძულებული იყო
დემოკრატიული ძალებისათვის დაეთმო და ნება დაერთო სატუსალო-
დან გამოტანილი კუბო აპოთეოზით ჩამოესვენებინათ სამშობლოში.
მთელი საქართველოს თანხლებით აიტანეს კოლას ცხედარი კუკიის
სასაფლაოზე და აქ ის სევერიან ჯულელის გვერდით დასაფლავეს.

ამქვეყნად მწერლად და ენის ოსტატად გამოგზავნილი პარნასი-
დან, ჩვენი ცხოვრების თავისებურების გამო, მეოცე საუკუნის და-
საწყისში პოლიტიკოსად და პროპაგანდისტად ქცეული, საქართველომ
იგი საფლავეზე მიიტანა როგორც მწერალი და ხელოვნების მსახური.
იგი ეროვნულ გმირად იქნა აღიარებული დასაფლავების დღეს.
ი. გრიშაშვილმა გამოთქვა მთელი საქართველოს აზრი თავის ცნო-
ბილ ნეკროლოგში, რომელიც პროზის ოსტატის უდროოდ დაკარგ-



სურ. 3. კოლას მოთხრობა „პირველი მაისის“ შესავლის ვარიანტი.
ბათუმის ციხე, 1911 წ.

ვის გამო დაიწერა. „საქართველომ ხმამაღლა შეაჩვენა ის მთავრობა“, რომელმაც მის ერთ-ერთ „უნიკიერეს შვილს ფრთები აღუკვეთა და საპყრობილეში სიკვდილი არგუნა“. გურიის წარმომადგენელი გრ. კობლატაძე, — განაგრძობს მ. გოგიბერიძე, — მთავრობის პირდაპირ ლანძღვასაც არ მოერიდა, მაგრამ მას ვერავინ ხელი ვერ ახლო, იგი უვნებლად გაემგზავრა გურიაში. იბეჭდებოდა და გამოითქმოდა პროტესტები პოლას გარდაცვალების გამო ხელისუფლების წინააღმდეგ, მაგრამ „იმპერატორის მთავრობა და მეფის მოადგილე თბილისში სდუმდნენ, ვითომც ვერ ამჩნევდნენ ატეხილ ხმაურს, რაც მაშინ იმის სიმპტომი იყო, რომ მეფის მთავრობის დღეები დათვლილი იყო“*.

ქ. მთიანეთის კონსტანტინე, სოფელია ჯ. ჯი. კონსტანტინე
 მას გაეცნობოდა იმის რა პაუზიჭი იყო, მანამც კი ჯი-
 რ. მ. მთიანეთის კონსტანტინე, მთიანეთის კონსტანტინე, ქი-
 ვანისია მ. ქიანთისი კონსტანტინე, მთიანეთის კონსტანტინე
 სოფელი, მთიანეთის კონსტანტინე, სოფელი, მთიანეთის კონსტანტინე
 მთიანეთის კონსტანტინე, მთიანეთის კონსტანტინე, მთიანეთის კონსტანტინე
 სოფელი, მთიანეთის კონსტანტინე, მთიანეთის კონსტანტინე, მთიანეთის კონსტანტინე
 სოფელი, მთიანეთის კონსტანტინე, მთიანეთის კონსტანტინე, მთიანეთის კონსტანტინე
 მთიანეთის კონსტანტინე, მთიანეთის კონსტანტინე, მთიანეთის კონსტანტინე
 მთიანეთის კონსტანტინე, მთიანეთის კონსტანტინე, მთიანეთის კონსტანტინე

4. ნაწევები პოლას მოთხრობიდან „თეთრი ღამე“. მეტეხის ციხე, 1911 წ.
 მიუხედავად ამისა, პოლიცია მაინც იჩენდა სიფრთხილეს. ქ. კა-
 ნიშვილი იგონებს:—„ნათესავეები მივედით მესამე დღეს პოლას საფ-
 ლავთან, აღმოჩნდა, რომ პოლიცია იქაურობას პირველი ღამიდანვე

* ნაწევებები მოგვამეს ავტორის ხელნაწერიდან. შრდ. მოსე გოგიბერიძე, არჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, IV, თბ., 1978, გვ. 345—346.

დარაჯობდა.—რევოლუციონერები კვლავ არ შეიკრიბონ და აქ ისევ: მიტინგი არ ჩაატარონო. ჩვენც გავვაფრთხილესო,—შენიშნავს იგი,— გარეშეები არ შემოგიერთდნენ, თორემ, ნაბრძანებია, სასტიკი ზომე-ბი მივიღოთ, სროლას ავტეტხოთ“...

ქოლა ლომთათიძე და მამაჩემი მეგობრები იყვნენ. მათ მეზობ-ლობასა და ნათესაურ-მოყვრულ ურთიერთობათა გარდა, საერთო საზოგადოებრივი საქმიანობაც აკავშირებდათ.

ქოლაზე მამაჩემი—4-5 წლით, ხოლო ბიძაჩემი—იაგორ მეგრე-ლიძე ერთი წლით უმცროსი იყვნენ. მანც ერთად იერთობოდითო,— იგონებს იაგორი.—მე და ქოლა ვიქცევდით ჩემს უმცროს ძმას*. ქო-ლა ერთი წლით ჩემზე ადრე შეიყვანეს ბასილეთის ორკლასიან სასწა-ვლებელში. მეორე წელს ბიძაჩემმა—გიორგი ხუცესმა—მეც წამიყვა-ნა სკოლაში და ნასწავლებელს უთხრა: ამის კლასი თუ უფრო ადრე გამოვა, ქოლას იმოუყადოს, ბავშვს მარტო ნუ გამოუშვებთ შინაო. გამომივლიდა დილით ქოლა, წავიდოდით სკოლაში, „ნაკლასობებ-საც“ (გაკვეთილების შემდეგ) ერთად ვბრუნდებოდით შინ, მაგრამ, რადგან ჩემი კლასი ძალიან ხშირად ქოლას კლასზე ადრე გამოდიოდა, მე ხან ერთი და ხან ორი გაკვეთილითაც კი მიწვედა ქოლასათვის მო-ცდა. ვიჯექი იმავე საკლასო ოთახში, სადაც გაკვეთილები გრძელდე-ბოდა და ვუცდიდი. ამიტომ მე შემდეგ წელს ბევრ რაიმეს უკვე ნაც-ნობს ვისმენდი, რუსულშიც ტოლი აღარ მყავდა ჩვენს კლასელებს შორისო.

იგივე იაგორი დასძენს: ქოლა არა მარტო ჩვენ კლასელებს, არა-მეუ მთელი სკოლის მოწაფეებს შორის ითვლებოდა უნიჭიერესად. მაშინდელი მასწავლებლები: არსენ წითლიძე, სიმონ ორჯონიძე და ალექსი კამპანიე ჩვენ გვეუბნებოდნენ, შეგირდ ლომთათიძეს მიჰბა-ძეთ და კარგად ისწავლეთო. ქოლა კი იშვიათად მეგობრობდა ვისმე-სთან, მაგრამ რითაც კი შეეძლო, ყველას ეხმარებოდა. მე შინ ბევრ-ჯერ შეუქმონებებია, ხვალისდელი გაკვეთილი ვიციოდი თუ არა. თუ არ ვიცოდი, სანამ არ შემასწავლიდა, არ მომეშვებოდაო. ამით მან დედაჩემისა და ბიძაჩემის კიდევ მეტი სიყვარული დაინსახურაო.

* ბ. გ. მეგრელიძე—იხ. № 6 ბარათის შენიშვნები.

იაგორი ერთ ასეთ შემთხვევასაც იგონებს: ერთხელ ბიძამ გრიფელის დაფა მომიტანა, რომელზეც ბევრ შეგირდს რჩებოდა თვალი. ერთ-ერთ „ნაკლასობებს“ იგი აღარ აღმომაჩნდა! ავტირდი. ჰოლამ დამამშვიდა,—მე ვიპოვიო. ორ საეჭვო ბიჭთან მივედი, მესამესთან აღმოაჩინა. ის დიდი და საშიში ბიჭი იყო. მან ჰოლა გააფრთხილა: სკოლაში არ წამოგცდეს, თორემ გცემო.

მეორე დღეს, დავამთავრეთ თუ არა ლოცვა, ჰოლამ ყოველივე უთხრა მასწავლებელს.

შეკრიბეს მთელი სკოლის მოწაფეობა, ამათ წინაშეც ამხილა ჰოლამ ის ბიჭი, თანაც დასძინა: ამავე მოწაფემ შარშან კალამი მოჰპარა პირველ კლასელს, თუ ახლავე არ დაიფიცებს, რომ არასდროს აღარ იქურდებს, სკოლაში არ მოუშვათო...

ჰოლას ეს შეუპოვრობა და პირდაპირობა მთელი ცხოვრების მანძილზე შერჩა და მე,—შენიშნავს იაგორი,—სრულებით აღარ მიკვირდა ის პრინციპულობა, ურყევი გულადობა, რომელიც მას რევოლუციურ საქმიანობაშიც ახასიათებდა.

ზემოხსენებულ გიორგი მღვდელს, ანუ, როგორც მასვე უწოდებდნენ, გიორ ხუცესს ხშირად ჰყავდა სტუმრები, მათთან მეზობლები—ენამოსწრებული ბიბონა (ჰოლას მამა) და მამამებელი—ონისი-მე დოლიძემ მუდამ სასურველი ყოფილან მისთვის გართობასა და ლხინშიცა.

ყოველივე ამას გარდა, ჰოლას გიორგი ხუცის ოჯახთან წიგნებიც აახლოებდა და გაზეთიც, რომელიც მაშინ ქვენობნის ან ზეგნად წოდებულ უბანში (ს. ჰაჭიეთის ჩრდილოეთი ნაწილი) მხოლოდ ხუცესს მოსდიოდა. აქ ჰოლას გაზეთის ისეთი კარგი წამკითხველის სახელი გავაჩნდია, რომ, თითქმის, ყოველ ახალ გაზეთს მას აკითხებდნენ და მსმენელებად მეზობლებიც დადიოდნენ.

ხიდისთავში სოფლისა და შეწირულების ხარკზე ქონსამკითხველო არსებულა. მის მუშაკად ცნობილ რევოლუციონერებს იასონ მეგრელიძესა და ვარლამ კალანდაძეს ჰოლა დაუნიშნავთ. 13—14 წლის ჰოლას თვეში ხუთმანეთიან სამსახურში სრულწლოვანი მეტოქეებიც აღმოჩენიან, მაგრამ არაფერი გამოსვლიათ.

მაშინდელ ხიდისთავში გაზეთს მღვდელი სერგი კალანდაძეც ღებულობდა. ამ ოჯახში ჰოლა შინაურად გრძნობდა თავს (მახლობ-

ლადაც ცხოვრობდა), მაგრამ სერგი, როგორც ხიდისთავის მღვდელი და იქვე მის მიერვე დაარსებული ერთკლასიანი სკოლის მასწავლებელი, დადიოდა ხიდისთავში და თავისი გაზეთი მასვე მიჰქონდა. გიორგი ხუცესს კი გაზეთს, უმათავრესად, ჭოლა უზიდავდა ოჯახში. სანამ ნაწერის დღის სინათლეზე კითხვა შეიძლებოდა, სამკითხველოც ღია იყო და ამიტომ ჭოლას გვიან უხდებოდა ხუცესს მისვლა. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, წამკითხველს, მსმენელებიც ხვდებოდნენ, კითხვას ეახშამი მოჰყვებოდა... ჭოლას ხშირად გვიან, ზოგჯერ წყვილი და მამეში, ხელში მუგუზულითაც კი უხდებოდა შინ წასვლა, მაგრამ მეორე დღეს, წირვის გამოსვლის დროს, იგი უკვე სამსახურში იყო.

მწერალთა მუზეუმში დაცულ გ. ლომთათიძის (იხ. 90, შენშ.) მოგონებებში ნათქვამია: „მამაჩემს ეკლესიაში დაგყავდით და მახსოვს, წირვის დამთავრების შემდეგ კარების წინ (ეკლესიის) დადგებოდა ერთი ქოჩორა ყმაწვილი, გადაშლიდა რომელიღაც წიგნს და კითხულობდა ლამაზად, ტკბილად და თამამად“... ეს იყო ჭოლა, იგი გაბრიელ ეპისკოპოსის „ქადაგებას“ კითხულობდაო.

ამ ფაქტსვე ადასტურებენ ჭოლას და სიდონია და პავლე ლომთათიძე. პავლე ამბობს: ჭოლაც ჩვენს (მეწიეთის) ნრევლს ეკუთვნოდა, ზოგიერთ საეკლესიო დღესასწაულზე, წირვის შემდეგ, მას ნებას აძლევდა მღვდელი სერაპიონ კალანდაძე საკურთხევილიდან წიგნი გამოეტანა. გამოიტანდა და 13—14 წლის ჭოლა „უკითხავდა ხალხს მადალი მორალის აბზაცებს. ძალიან უყვარდათ მისი მოსმენა, გარკვეული და აზრიანი კითხვა იცოდა“.

გავიდა წლები. ჭოლა ისეთი ავტორიტეტული პიროვნება გახდა, რომ, როგორც ცნობილია, იგი გურიის სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ 1906 წელს სტოკჰოლმის პარტიულ ყრილობაზე გაგზავნა; ჭოლა აქ ვორობიოვის ფსევდონიმით გამოდიოდა და ლონდონის პარტიულ სესიაზედაც მონაწილეობდა. აქ ჭოლა ლომთათიძე პირადად გაეცნო ვ. ი. ლენინს, რომელიც ჭოლას „ხასანის“ ფსევდონიმით წინათაც იცნობდა...

საზღვარგარეთიდან დაბრუნებული ჭოლა ისევ გურიაში მოღვაწეობს.

რეაქციის მძვინვარების წელს ჟანდარმერიას ჭოლას ოჯახის გადაწვა უთქვამს. მაშინ ჭოლას მამისეული ოთხოთახიანი ოდასახლი, სამზარეულო, ნალია (სასიმინდე) და „ხულა“ (ბეღელი) ჰქონდა. მო-

სულა დამსჯელი რაზმი და იმის უფროს ურჩევია კოლას მეზობლებისათვის: ყველაფერი ამის დაწვას ის სჯობს, შეესიეთ, თქვენ წაიღეთო!...

არც ერთ მეზობელს არაფერზე ხელი არ უხლია და დამსჯელ რაზმს ყველაფერი გადაუბუგავს³ (შდრ. ქვემოთ, გვ. 60).

კოლას არალეგალურად უხდებოდა ცხოვრება ცოლითურთ. ისინი ხშირად მეწიეთში, სერაპიონ მღვდლისას (ეს საიმედო ბინა იყო, მღვდლის სახლს პოლიცია, განსაკუთრებული ნებართვის გარეშე, ვერ გაჩხრეკდა), ფოტინე ქანიშვილთან (ს. ზენობანში) ან სხვისას იყვნენ. ფოტინეს ოჯახიც საიმედო იყო,—მას პოლიცია ადვილად ვერ შეაწუხებდა. თანაც ეს შეძლებული ოჯახიც იყო და კოლას კარგად ნაცხოვრებ ახალგაზრდა მეუღლეს აქ ყოფნა მოსწონდა.

ერთ დღეს კოლას ოჯახის უფროსი ასულისათვის უთქვამს: ერთ ჩემ მეგობარს უნდა მიგათხოვო... ფოტინეს ეს ნაადრევად ჩაუთვლია, ქალიშვილსაც დაურცხვენია, მაგრამ შემდეგ საქმე კოლას ნათქვამის მიხედვით გაჩაჩხულა. სასიძოს მზვითებზე უარი უთქვამს,—ახალთაობის კაცებს ეს არ შეგვეფერებო...

ფოტინე 600 მანეთსაც შეჰპირებია სასიძოს; ამას ამაზეც სასტიკი უარი უთქვამს. კოლას აღუნიშნავს: ფული ჩვენ ვეაკლია, თორემ ამ ოჯახს ეშოვება, შენთვის თუ ზედმეტია, წამოიღე და საზოგადო. საქმეს მოახმარეო!...

ასე გაურიგებია კოლას დედაჩემი მამაჩემისათვის...

ეკატერინე მეგრელიძე-ჯაშისა (1886—1975) იხსენებს: მაროელიზბარის ასული ქანიშვილი (ლაპარაკობს დედაჩემზე, 1886—1919) და ნე მოვხვდით გოგოლი ბერეუიანის* ოჯახში ერთ-ერთ ნადიმზე¹. კოლაც იქ იყო ცოლით. კოლამ მაროს სთხოვა, გიტარაზე დაემღერებინა „ღედის რძე“, მას ძალიან ჰყვარებია მაროს მიერ დამღერებული ეს ლექსი.

ეკატერინეს ვთხოვე როგორმე გაეხსენებია „ღედის რძის“ სიტყვები. მან მიპასუხა: „დასაწყისი აღარ მახსოვსო“, თუმცა ლექსის შემდეგი სიტყვები მაინც ჩამაწერინა:

„ღედის რძე ტკბილი ყოფილა,
ღედინაცვლისა — ნაღველა**
მოვწიე***, გულზე დამადგა
და მაგრად ამომახველა“...

* ადგილობრივები წარმოთქვამენ ბ ე რ ე ქ ა ნ ი - ც .

** მწარე.

*** მოვწოვე.

მას შემდეგ ბევრ ვისინეს შევეკითხე ამ ლექსის შესახებ, მაგრამ ტექსტი სრულად ვეღარ გაიხსენეს.*

ხილვისთვის მეზობელ სოფელ ქვენობანში მცხოვრებ პედაგოგ ბიძინა რაფიელის ძე გოგიბერიძეს მივწერე: მოხუცებში გაიკითხეთ, იქნებ ეს ლექსი აღმადგენინოთ-მეთქი. პასუხი ასეთი მივიღე: სხვე-ზი მას ვეღარ იგონებენ, მამაჩემმა (რაფიელ გოგიბერიძე) თქვა, ჩემი ბიძაშვილები—ხათილა და კიკია მაგ ლექსს აგრე მღეროდნენო:

„ღედის რძე ტბილი ყოფილა,
დედინაცვლისა ნაღველა.
დავლიე, გულზე დამეცა,
შხამადა ამომახველა.

დედამ აკვანი მირწია,
დედინაცვალმა დამწყველა.
ღედის საფლავეზე მივედი,
ქვაზე დავეცი თვალტრემლა.

მე ღედის გულმა ხმა მომცა,
რა გაიგონა ჩივილის კილო, —
ჩემო ნუგეშო და სალოცავო,
ხომ არაფერი გეტკინა, შვილო!“.

ჩამწერს არ გამოჰპარვია, რომ ბოლო სტროფის სტრიქონები მარცვლებით მეტია, ვიდრე პირველი არის. იგი გვწერს: ამის შესახებ შევნიშნე მამაჩემს, მაგრამ მან მიპასუხა: ჰანგის ტონიც იცვლებაო...

ვინც იცის 7 წლის ასაკში დაობლებული ჰოლას დამოკიდებულება დედინაცვლისადმი (იხ. მისი „მოთხრობები“, I, 1925, გვ. VIII—X, შდრ—ქვემოთაც), მისთვის გასაგებია ჩვენი მწერლის ამ ლექსით დაინტერესების ფაქტი.

ჰოლას დროს ბასილეთის სასწავლებელში სწავლობდა ზემოხსენებული ეკატერინეს ძმა პროკლე მეგრელიძე. მან გაიხსენა: ჰოლა ახალდაობლებული იყო: შესვენების დროს სკოლის ეზოში ატირდა.

* ქირურგი პროფესორი ავთანდილ კუტუბიძე გვეუბნება: ამ კუპლეტს მამაჩემიც წარმოთქვამდა, ოღონდ შემდეგ თავის ლექსს მიაყოლებდა, რომელიც აღარ მახსოვს. მამამისი გახლდათ ავტორმთქმელი—ივანე სიმონის ძე კუტუბიძე (1876—1958 წ.), რომელიც ჰოლა ლომთათიძეს პირადად იცნობდა. ლექსებში თავისთვის ივანე დელს უწოდებდა —

„ამ ლექსისა გამომთქმელი მე ვარ ივანე დელია,
ერთი გურული კაცი ვარ, სოფლად ქვენობნიელია“.

მივიღა მასთან მასწავლებელი და ამშვიდებდა, მაგრამ მასაც ტირილი წასკდა. ჭოლამ უთხრა: მე დედას ვტირი, მაგრამ თქვენ რაღა გატირებთ, მასწავლებლო!...

მან უპასუხა:—შენი ტირილიო...

ეს მასწავლებელი ჭოლასა და სხვებსაც განსაკუთრებით შეგვიყვარდაო.

1907 წლის 22 თებერვალს ჭოლა ლომთათიძეს ირჩევენ მეორე სახელმწიფო საათათბიროს დეპუტატად სოციალ-დემოკრატიული ფრაქციიდან.

ჭ. ლომთათიძის დეპუტატად არჩევას თანასოფლელები დიდი სიზარულით შეხვედრიან. მათ იაგორ კალანდაძის სახლში (ახლანდელი ხიდისთავის „გუბჭვისის“ სადგურის მახლობლად დგას ეს სახლი) ნადიმი გაუმართავთ.

მამაჩემი იტყოდა ხოლმე: ჭოლა საერთოდ განცდის კაცი იყო, მაგრამ დეპუტატად მისი არჩევით ჩვენ უფრო ვამაყობდით, ციღრე თვითონ ის. თითქოს, არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარიყოს, ისე იქდა სუფრასთან. გვთხოვდა, მის შესახებ ნაკლები და სხვა საკითხებზე მეტი გველაპარაკა. ჩვენ არც ღვინოს ვაძალებდით მას, რადგან გათენებისას იგი წასასვლელი იყო. მაინც გვარიანად დალია და ბოლოს მადლობა გადაგვიხადა: ისურვა, რომ თქვენთაგან არც ერთის უპატიოსნება არ გამეგონოს!...

ჩავედით ხიდისთავში, აპკიდა ლუკა ხაბაქას (იხ. 86, № 6 ბარათის შენიშვნები) ერთი ჩემოდანი და ჩოხატაურამდე ფეხით წავედით (გავაცილეთ სამმა ამხანაგმა). აქ იგი ეტლში ჩაჯდა და ჩვენ უკან დაებრუნდით. ხიდისთავში საყვედური გვითხრეს: ფეხით რომ წადით, თუ ეტლს არ გამოიძახებდით, აქ ცხენები არ იშოვებოდაო?!...

მეორე სახელმწიფო საათათბიროს დეპუტატთაგან სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის 55 წევრს აპატიმრებენ შეიარაღებული აჯანყების ცდის ბრალდებით (102 მუხლი). მათ დეპუტატის უფლებას ყრიან და ჭოლას პეტერბურგ-ბათუმ-თბილის-ბაქოს ჩათვლით ცხრა ციხე (იხ. ქვემოთ—ბარათების შესავალი) შემოატარეს, მას აღარც ასტრახანისა და სარატოვის სამოწყალოთა სახლში ყოფნა არ დაჰკლებია.

მამაჩემი ჭოლას სანახავად რამდენიმეჯერ მისულა მეტეხის ციხეში და ზოგჯერ წერილიც მიუღია ჭოლასაგან. სამწუხაროდ, მაშინ წესი იყო პოლიტიკურ პირებს შორის მიწერ-მოწერის მოსპობა, და

სპობდნენ კიდევ. მით უფრო ჰოლას წერილს ვერ შეინახავდნენ ჩვენსას, რადგან ხშირი იყო პოლიციის მიერ ამ ოჯახის ჩხრეკა. მამაჩემის დევნილობის გარდა, მეგრელიძეებს პოლიცია არასაიმედოდ თვლიდა მათთვის კარგად ცნობილი იასონ ექვთიმეს ძე მეგრელიძის გამოც.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ერთი წერილი, გამოგზავნილი 1911 წელს, მეტეხის ციხიდან მამაჩემის სახელზე (ხან დედაჩემის სახელზეც გზავნიდა წერილს) მაინც აღმოჩნდა შემორჩენილი. იგი მიეღოთ ჩვენსას მაშინ, როდესაც მამაჩემი შინ არ ყოფილა. წერილი დედაჩემს წაეკითხა და ბებიაჩემს ისეთ ადგილზე შეენახა, შემდეგ მასაც ვეღარ ეპოვნა. მე მას 1929 წელს წავაწყდი. იგი მამაჩემს სილთავართქილაძემ გამოართვა, რომელიც ჰოლას ნაწერებს კვლავ აგროვებდა. წერილი იწყებოდა:

„ძმარ ბართლომე, „... შემდეგ წერდა (რა თქმა უნდა დაცინვით), აქ (მეტეხის ციხეში) ჩვენ ძალიან გვივილიან, როგორც არ უნდა ვეცადოთ, პირდაპირ მიწაზე ფეხს ვერ დავადგამთ, სულ იატაკზე და ტროტუარზე დავბრძანდებით... მოკლედ, ისე გვივილიან, რომ ნიავს არ გვაკარებენ, მაგრამ ჩვენ არ ვუვლით თავს და როგორც ყველას სურდო გვჭირს, ვაცემინებთ ცხვირებს და ვლოცავთ ერთმანეთს, „ჯანის“ მოსვლამდე არაფერი გეტკინაო და სხვა.

წერილში ნახსენები „ჯანი“ მამაჩემმა ასე ახსნა: მაშინ დაბლარი ვაზის ჯიში „ჯანი“ გვქონდა ეზოში. ციხეში ღვინის გადაცემა შეიძლებოდა და „ჯანის“ ერთი ტიკი ღვინო მივეუტანე ჰოლას მეტეხში. ასეთ ღვინოს ჩემგან მალე აღარ ელოდა და იმაზე ამბობს: „ჯანის“ მოსვლამდე არაფერი გეტკინაო. მანიშნებს კი, გვჭირდებაო.

ერთ-ერთი ასეთი ნახვის დროს მამაჩემს უკითხავს ჰოლასათვის: ყველაზე უფრო რა გენატრებაო. ჰოლას უთქვამს: ერთი ქაჭიეთში გამარონ-გამომარონია ნაწვიმარზე, დიხაშხო (მუქი თიხნარი მიწა) რომ ფეხზე ამეკიდება, იგი „ადესას“ (იზაბელა ვაზის ძირზე) დამახოცვინა და იქვე მომასვენაო.

რუსპუბლიკის სახალხო არტისტი ვიქტორ ათანასეს ძე წინიძე მეუბნება: ჰოლამ რომ პირველად ცილია (მეუღლე) ჩამოიყვანა გურიაში, ბართლომემ ვახშამი გამართა, რომელზეც მეც ვიყავი და ძალიანაც გავერთეთო. ჰოლა მეუღლეს ისეთ ქართულ სიტყვებს ათქმევინებდა (რა თქმა უნდა, არა ვულგარულს), რომ სიცილით ვიხოცებოდიო.

სხვათა შორის ესეც გამიგონია: ცილია რომ ფეხმძიმედ იყო, მას ჭოლამ უთხრა: ბიცოლას გაუხარდება (იაგორ ლომთათიძის ცოლს ოზურგეთიდან) უთხარი, ორსულად ვარო, ცილიამ უპასუხა: ქართულად მასწავლე, უფრო ესიამოვნებაო. ჭოლამ ასწავლა და სიძე ალექსანდრე მითაიშვილმა დაუდასტურა, თქვი, ზ ა რ ზ ლ ა ლ ი ვ ა რ ო ო . ცილიამ დაირტყა მუცელზე ხელი და ბიცოლას უთხრა: „მე ზ ა რ ზ ლ ა ლ ი, ბიცოლა, ზ ა რ ზ ლ ა ლ ი!“.

ვინაიდან ზ ა რ ზ ლ ა ლ ს, ჩვეულებრივ, მხოლოდ მაკე ძაღლზე ან კატაზე იტყვიან გურიასი და არა ორსულ ქალზე, ბიცოლა დაედევნა ჭოლას და ალექსანდრეს: აი, თქვენ ცულლუტებო, რა ათქმევინეთ ცილიას, ეს ქალს როგორ ჰკადრეთო!..

თვით ცილიაც ნაწყენი დარჩენილიყო,—ეს რა ზუმრობააო, — იგონებს პედაგოგი ქეთევან იაგორის ასული ლომთათიძე.

მამაჩემისაგან გამიგონია: ზამთრობით ეზოში სუროს (ფათალოს) კურკანტელი ესხა. ცილიამ იკითხა, თურმე, ეს რა ხილია და თუ იქმებაო. ჭოლას ეთქვა: ჩვენებური მოცვია, ჩიტების საკვებად დაუტოვებიათ, როგორ არ იქმებაო!

ცილიას ექამა კურკანტელი და პირის ღებინება ასტეხოდა. მაშინ ცილიას გული მოსვლია, მაგრამ შემდეგ ორივენი იცინოდნენ, თურმე, და ჭოლა ზუმრობით იმართლებდა თავს: სურო თხის საკმელია და არ მეგონა, თუ იგი ქალს აწყენდაო!..

ასეთი ზუმრობა სცოდნია ცოლის მიმართ, მაგრამ ზემოთნათქვამიდან ცხადია, არაა ზუსტი სუროს შესახებ ის ვარიანტი, რომელიც საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში დაცულ ზემოთ უკვე ხსენებულ გ. ლომთათიძის ხელნაწერშია შეტანილი: ცილიას აუფრახე სურო მოართვეს, მან მისი ჭამა დაიწყო და, როგორც ჭოლამ ასწავლა, ისე იმეორებდა: „მე თხა ვარო“ (გვ. 20).

ყალბია, იქვე მოთხრობილი „შემთხვევა“, თითქოს, ჭოლა რომ შეუღლით ბიძამის ლავრენტისას მოვიდა, სტუმრად მღვდელი სერაპიონ კალანდაძე (ჭოლას ნათლიის ძმა! და არა, ნათლია, ი. მ.) მივიდა, მოსულების სანახავედ და ჭოლამ ცოლი დაარიგა: მღვდელი აივანზე რომ ამოვა, ხელზე ემთხვეი და თქვი, დიდი თხა მოვიდაო.

არა! ჭოლა სერაპიონს ვერ და არც ჰკადრებდა ამას.

იასონ ნეგრელიძეს ხიდისთავში 1904 წელს აუქციონი მოუწყვია ადგილობრივი ბიბლიოთეკის სასარგებლოდ. არდაღნული ხარის ბეჭის მოგების შეჯობრში ხიდისთაველი ვაჭრებიც:—ივანე კალანდაძე (მეტ-

სახელად—მღებრიშვილი), არტემ სეფერთელაძე და ბესო თედორაძე ჩარევიან. უმატებიათ და უმატებიათ ფასი. შეჩერებულ მოზრდილ ფასზე (ერთი ფუთი ხორცისაზეც კი) მამაჩემს აბაზი წაუმატებია და მოულოდნელად ბეჭი ამსვე „შერჩენია“! იგი მამაჩემს ზემოხსენებულ ლუკა ხაბაკასათვის ჩვენს ოჯახში გაუტანებია და შეუთვლია: მოვდივართ, ბეჭი ახლავე მოხარშეთო!

მამაჩემს ამხანაგები შინ წაუყვანია და ერთ-ერთი ვაჭართაგანიც მათ აღევენებია. ჭოლას ის უკან გაუბრუნებია: ჩვენ იქ საშიშ რაიმეს ვიტყვით, და ხიფათში არ გაება, შენ ჩვენთან საქმე არა გაქვს, აბაზის გამო უკან დაიხიეთო!...

ვაჭარს ნიშნის მოგებით უთქვამს: ჩვენ გაბმას აპირებდით, თქვენი გაება,—ხარჯზე ხარჯს რაღად უმატებთ მაგ თქვენს ამფსონსო!...

იასონ მეგრელიძეს „უკბენია“ როგორღაც ვაჭრისათვის. ამას დაცინვით უთქვამს: დიაკონ ექვთიმეს ვაჭი ნიკოლოზას ჩამოაგდებს და თვითონ გამეფდებო! ჭოლა გაცეცხლებულა...

მაგიდასთან მსხდომ ორ ათეულზე მეტი წევრის თანდასწრებით იასონს უთქვამს: მთავრობა იმ ტოტს ჭრის, რომელზეც თვითონ ზისო. ჭოლას წამლუძახით: ~~ხელი~~ შევეუწყოთ, მალე მოსჭრასო...

ზემოხსენებული პავლე ლომთათიძე იგონებს: 1905 წელს ხიდისთავში დისკუსიაზე გამოვიდნენ პავლე კალანდაძე⁸ („ლალიონის“ წევრი იყო), იასონ მეგრელიძე⁹ რაფიელ ჩიხლაძე, ნიკო გეგელაშვილი, კობა ჯულაშვილი (ბოლოს თქვა მოკლე სიტყვაო)... სხვათა ჩანაწერის მიხედვით, აქვე ჭოლა და ბართლომე მეგრელიძეც გამოსულან. 1.000-კაციანი კრებიდან, რვის გამოკლებით, ყველა ამათ ნიმხრობიათ⁹ და ბუღუს დაუყვირია: ლომთათიძე და მეგრელიძე, ინანებენ დღევანდელ გამარჯვებასო!...

*

საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში დაცულია მოგონებები ჭოლა ლომთათიძის შესახებ, რომელიც ჩაწერილია ამილიცა ლომთათიძე-მითაიშვილის სიტყვებით. იგი წავაკითხე ამილიცას დას ქეთო ლომთათიძეს (იხ. შენშ. 3) და მან შენიშნა, რომ ჭოლას შვილი—ჭოლიკო ალექსანდრე მითაიშვილისას კითხურაში ჩაიყვანეს ჭოლას დავალებით. ჭოლამ შეუთვალა ალექსანდრეს: ჩემო სიძევ, რაკი ცოლმა მიღალატა, მისი გაზრდილი შვილი მე არ გამომაღება. სანამ მე ვერ ვუვლი, ბავშვი შენს შვილებთან იყოს, ჩემი პატრისცემით მოუარეთო!

ნახევარი წელი არ გასულა, რომ ალექსანდრესთან ჩავიდა ცილაა (ჭოლას ცოლი): როგორ თუ შვილს მართმევთო!...

ალექსანდრემ უთხრა: მე რა უფლება მაქვს, შვილი დაგიკავო. ბავშვი ცილიამ წაიყვანა.

ჰოლა მეტეხის საპატიმროდან ბიძამისს—ილარიონ ლომთათიძეს 1911 წლის 9 ოქტომბერს ოზურგეთში წერს: „ჰოლიკა ქართულის სასწავლებლათ მივაბარეთ ნინო ნაკაშიძის სკოლაში“...

ეს წერილი წავუკითხე 12 VI. 1957 წელს პატივცემულ ნინოს და ჰოლიკოს თანდასწრებით ვიკითხე: რატომ აღარ უვლიან ამ ყმაწვილს თქვენს სკოლაში-მეთქი. მან მიპასუხა: ჰოლას, როგორც უსპეტაკესს ადამიანს, ჩემი მეუღლე (ილია ნაკაშიძე) და მე პატივს ვცემდით...

ჰოლამ და ხიდისთაველმა თევდორე კალანდაძემ — განაგრძობს ქ-ნი ნინო,—ნოვოროსიისკში შეიერთეს მეგობარი ქალები: ცილია და მარგოლინა (იხ. გვ. 61), რომლებიც გურიაშიც ჩამოიყვანეს; ეს ქალები თბილისშიც უახლოეს მეგობრებად დარჩნენ. სწორედ ეს მარგოლინა მომიგზავნა ჰოლამ ციხიდან: ჰოლიკა შენ გაიზარდე და მე თუ ვერა, ქართველი ხალხი მაინც დაგიფასებს ამას, მე კი მადლობის დიდ გრძნობას წავიღებ თანაო. მაგრამ ესო,—შენიშნავს ნინო,—აღარ მოხერხდა, რადგან ჩვენც თავი გვიპირდა და, რაც მთავარიცაა, დედას შვილს ვერ მოვწყვეტდით; ეს კი წინააღმდეგი აღმოჩნდა ბავშვის აქ დატოვებისაო. ვერც ის გავუმართლეთ ჰოლას,—განაგრძობს პატივცემული ნინო,—რომ ჰოლიკოსათვის ქართული შემესწავლებინა. ეს ჰოლას ასტრახანში გადაყვანის გამო აღარ განხორციელებულა, მით უფრო, რომ საამისო სურვილს ცილია არ ამეღავნებდაო.

პატივცემულმა ნინომ დაგვიპირდა, ჰოლაზე მოგონებებს ჩემს ახალ წიგნში შევიტანო, თუმცა 88 წლისა ვარ, მაგრამ საჭირო ზოგი რამ მაინც მახსოვსო...

ზემოთხსენებული გიორგი ლომთათიძის ჩანაწერები შეიცავს სხვადასხვა პირთა და მათ შორის—მამაჩემის,—როგორც გიორგი წერს,—პედაგოგ ბართლომე გრიგოლის ძე მეგრელიძის, აგრეთვე პირადად ჩემ სიტყვებსაც. ეს ჩანაწერები ძირითადად სწორია, მაგრამ ჩამწერს ზოგიერთი თვითნებობაც გამოუჩენია. მაგ., მე არ მითქვამს რომ ლენინგრადში ნარტო ჰოლას წიგნებით წავედი-მეთქი და არც ის მითქვამს: ჰოლას „ძე კაცისა“ ორიათასჯერ მაქვს წაკითხული-მეთქი. გიორგი ლომთათიძე თბილისში მხვდებოდა, იყო ჩვენს ოჯახ-

შიც გურიაში, აქ ვისაუბრეთ კოლას შესახებ. მამაჩემმა კოლას შესახებ მეტი იცოდა, რაღა თქმა უნდა, და მისგან გიორგის მეტიც ჩაუწერია...

კოლა ლომთათიძე და მისი დაუფასებელი ღვაწლი პირადად მე არც ლენინგრადში მავიწყდებოდა. იქვე გამოვაქვეყნე კოლას შესახებ ხალხურად წოდებული ერთი ლექსი,—ქართული ტექსტი რუსული თარგმანითა და შენიშვნებითურთ. იგი დაიბეჭდა ერთ ახლად დაარსებულ კრებულში „Советский фольклор“ (ტ., I, 1934, გვ. 180—181, შენიშვნები — გვ. 181). ჩემი პუბლიკაციის სათაურია „Революция в грузинском фольклоре“. ტექსტო XII. ლექსი კოლაზე—შენიშვნებში ნათქვამი მაქვს: ლექსი ჩაწერილია სოფელ ჭაჭიეთში 10.8. 1929 წელს. შენიშვნებშივე გარკვეულია ლექსში ხსენებული პირები (გვ. 188).

თვით კრებული ახლა ძნელი მისაგნებია ქართველი მკვითხველისათვის და მის ქართულ ტექსტს აქვე ვათავსებთ:

„ლექსი კოლაზე“

კოლა იყო კაი კაცი, უოველ ქვეყანას ცნობილი,
მარა ციხეში ჩაალპეს ხალხიზა თავდადობილი.
მამა მისი ბიბონე სულ იყო ტყავაძრობილი,
ვითამ შეილს ეხმარებოდა, ვალი ქონდა დადობილი.
კაპეიკს არ არგოდა, კოლა სულ მისით სტავლობდა,
მისგან კაცის გამოსულს ყველე თაგიდან ამბობდა.
საწყალი ადრე დაობლდა, დღე და ღამე მუშაობდა,
გაყუყილი ილარიონ არც იმდენს ეხმარებოდა,
რასაც სიტყვებში ჩივოდა*, ყურებს გაამოგიყრებდა...
ოუსების ქარი მას** ზღვედა, რადგან მეფეს აშინებდა,
კრებზე გამევიდოდა, მეფის კაცებს აგინებდა,
არც ერთის აფერი*** სწამდე, ღვღლებს სულ აღარ აძინებდა.
ხირისთავის**** მეღუქნეებს ლექსებში „გაადიდებდა“,
„აქებდა“ ძაან სულ ყველას, თვალთან ერემლს აღვრიებდაi....
მოკტა კოლა, დაიკარქა. მისი სახე საცოდარი.
ერთი შვილი დატია და ათასი მოსაოხარი.
მისი საქმე გაიმარჯვებს, შრომელების გასახარი...
მის შვილს კოლიკო დაათქვა, სახელი მოსაგონარი...
ფედოსა და სიდონიე, კოლაზე ერემლდანაღვარი —
გამეიცვალა საწყლები, ძნელი სანახავი არი .

* ჩივოდა—ამბობდა.

** კოლას.

*** აფერი—არაფერი.

**** ხირისთავი—ხიდისთავი; გვხვდება პირველი გამოთქმაც

მაშინ კოლას შესახებ არაფერი იბეჭდებოდა.

ლენინგრადში მოვიდა ჩემთან პოლიტექნიკური ინსტიტუტის ერთი ქართველი სუდენტი და მთხოვა, დირექტორთან მივყოლოდი. წავეყვიტე მე და ჩემი მეგობარი ბორის რუდენკო (იგი ერთ დროს ამ ინსტიტუტში სწავლობდა). დირექტორის გვარი აღარ მახსოვს, ძალიან სათნო მოხუცი იყო. მან გვითხრა: ვიკენტი ლომთათიძე ჩემთან იჯდა ციხეში. მას რომ ვუცქერდი, მუდამ უფიქრობდი, ლერმონტოვმა ქართველს მშიშარა როგორ უწოდა, ვიკენტი ქართველია. რომელიც ციხეშიც კი ვეფხვი და გმირია, ამის წარმომშობი ხალხი გმირია-მეთქი.

მან ბევრი ილაპარაკა კოლაზე და გვითხრა: კოლამ სამუდამოდ შემაყვარა ქართველი ხალხიო და შემდეგ დასძინა: ეს ყმაწვილი (შიშითითა სტუდენტზე) რომ ქართველი არ ყოფილიყო, შეიძლება, წელს არ მიმეღო. რომ გაუერთულდა საქმე, მომაკითხა და ვკითხე: ვიკენტი ლომთათიძე თუ გაგიგონია-მეთქი. არ ვიცო, — მითხრა. შემდეგ მივახვედრე, რომ ეს კოლაა და თავში ხელი ირტყა: ჩვენი ნეზობელი, მამაჩემის ამხანაგი იყოო. კოლას ბიოგრაფიაც სწორად მომიყვა და ინსტიტუტში ამიტომ ჩავირიცხეო.

იმავე დირექტორმა დასძინა: ჩემს ინსტიტუტში ბევრი ქართველია, ყველას განსაკუთრებული ყურადღებით ვეპყრობი, ყველაში კლდე ვიკენტის ნამცეცს ვხედავო...

მე რამდენიმე დღით თბილისში წასვლა მომიხდა. თან წავიღე ზემოხსენებული ჩემი წერილის ანაბეჭდები, რომელშიც კოლაზე ლექსია დებეჭდილი. ერთი ცალი შევეუტანე მთავრობის სასახლეში (ახლანდელი პიონერთა სასახლე) ფილაზე მახარაძეს. ანაბეჭდის ფურცელაზე ფ. მახარაძე წააწყდა ლექსს კოლას შესახებ და თქვა: უსპეტაკესი კაცი იყო*, მას მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთო.

თბილისში ჩემს ჩამოსვლას ცოტათი წინ უსწრებდა საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო ყრილობა (1934 წ.). მასზე ქართული ლიტერატურის შესახებ მოხსენება მალაქია ტოროშელიძემ გააკეთა.

ფილაქესა და მასთან მყოფი თენგიზ ჯღენტის ყურადღება მე მივაქციე იმ გარემოებას, რომ ამ ყრილობაზე მ. ტოროშელიძემ კოლა მოიხსენია როგორც წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომა-

* მასვე იცნობდა მისი თანამედროვე ყველა ქართველი ჰოფესიონალი რევოლუციონერი და იცნობდნენ სხვებიც. იხ. ქვემოთ — ბარათთა შესავალი.

დგენელი, როგორც ოპორტუნისტი და მენშევიკი, და ისიც დავსძინე, რომ ამან აიძულა ჭოლას ნაცოლევი—ცილია პირველი კაცისათვის დაერეკა.

— მერე მან რა უპასუხაო,—სწრაფად მკითხა ფილიპემ.

— მას უთქვამს-მეთქი,—ვუთხარი მე,—ტოროშელიძე არ არის მართალი, ჭოლა ლომთათიძე ისეთი მეზობელი იყო ცარიზმის წინააღმდეგ, რომ იმას ოპორტუნისტს ვერ ვუწოდებთ, მენშევიკებს არ მივყავოლებთ: ჭოლა მერყეობდა ორ პარტიას შორის,—რიგ საკითხებში ჩვენთან იყო...

შემდეგ ჭოლას ოპორტუნისტობაზე შეურბილებიათ სიტყვებით სტენოგრაფიაში-მეთქი...

აქვე აღვნიშნავ, რომ ჭოლასადმი მაშინდელი (1934 წ.) და ცოტათი ადრინდელი ასეთი შეხედულების გამო იყო, რომ ჭოლას ვაჟმა ჭოლიკომ, დაამთავრა თუ არა უმაღლესი სასწავლებელი, კონოქტურის მიხედვით, მამინაცვლის—მაშინ ერთ-ერთი დიდი თანამდებობის პიროვნების გვარზე¹¹ (იხ. ქვემოთ, გვ. 62). გადაეწერა.

ბუნებრივია, გაიგეს თუ არა ჭოლას ნათესავებმა და მეგობრებმა, ჭოლიკოს მიერ გვარის გამოცვლის ფაქტი, და გაიგეს გურიაშიც კი ძალიან მალე, ამან ჭოლას ბევრი პატივისმცემელი აღაშფოთა.

მოსკოვში ჩასვლისას მამაჩემს ენახა ცილია და მისთვის აღნიშნული უკმაყოფილებების შესახებ ეთქვა. (ჭოლიკო იქ ვერ ენახა, მივლინებაშიაო,—უთხრეს). ცილიამ თავი იმართლაო: მე ქმარი მყავს კატანიანი და ლომთათიძედ დავრჩი, შვილმა კი აგრე ისურვა და ახლა ასე სჯობს მისი წინსვლისათვის, ჭოლიკო თუ სადმე შეგხვდეთ, გვარის გამო არ უსაყვედუროთო!...

პირველ ხანებში მას მართლაც გამოადგა გვარის ეს შეცვლა, — მოსკოვის კრემლში დააწყებინეს სამსახური...

1956 წელს ჭ. ლომთათიძის ერთტომეული რომ გამოიცა, ჩვენ ავტორის დიდუბის პანთეონში გადასვენების საკითხი დავაყენეთ და მისი ვაჟის ძებნაც დავიწყეთ,—წიგნს მაინც გაუგზავნიო-მეთქი.

ჭოლიკო (ბიკენტი) ბიკენტის ძე (1906—1968) კრასნოიარსკის მხარის ს. ნორილსკში აღმოჩნდა. მივწერე, მიპასუხა კიდევ, მაგრამ წამოსვლისათვის საჭირო ფული არ ჰქონდა.

ნახევარი წლის ხშირი მიწერ-მოწერის შემდეგ ჩამოვიდა იგი, ჯერ მოსკოვში და იქიდან—თბილისშიც. იმდენად აღარაფერი იყო მასში ქართული, რომ მამაჩვენების ახლო-ნაცნობები უნდა გაგაცნო-

მეთქი, რომ ვუთხარი, გაკვირვებით მიპასუხა,—ეს რა საქირაო!...

მე მასი მობრუნება განვიზრახე, გავაცანი ნინო ნაკაშიძე, ლიდა ცინცაძე, მარგალიტა თავართქილაძე (ზემოხსენებული სილიბისტრო-რემონიძის მეუღლე), გაიოზ იმედაშვილი, სიო კალანდაძე (ხიდისთაველი), რახილ კალანდაძე, ნოე ჩხიკვაძის ოჯახი, სოლომონ თავაძე, ნინო მეგრელიძე-თოთბაძე, სეით იაშვილი, რამდენიმე ამხანაგი მწერალთა კავშირში და სხვები...

ქოლიკომ პოეტ იოსებ ნონეშვილს უთხრა: ჭურკოვისაგან მაქვს უშამდგომლობა, ჭ. ლომთათიძე კლასიკოსია და მამაჩემის ტომის ჰონორარიდან რაღაც ნაწილი მაინც მომცენო.

ი. ნონეშვილმა უპასუხა: ჭურკოვის უშამდგომლობა რად გეინდა, საქართველო უფრო აფასებს ჭოლას, ვიდრე რომელიმე სხვა ვინმეო...

ქოლიკომ ჰონორარი ვერ მიიღო, ვერც მამის საფლავის ადგილმდებარეობაში დავარწმუნეთ,—დედამ თქვა, იგი სასაფლაოს მთავარ კარებთან ახლოს არის, თქვენ კი შორს მიჩვენეთო! იმ ადგილზე კი 1957 წელს საფლავის კვალიც არ ჩანდა...

სტუმარი მე გურია-აჭარაში წავიყვანე. მყავდა ჩოხატაურ-ხევ-ნაბელღავ-ხიდისთავ-ჭაჭიეთ-მეწიეთში, მისი ნათესავები გავაცანი (ძიძაც კი ცოცხალი აღმოჩნდა), ვინახულეთ ჭოლას ამხანაგები: პროკლე მეგრელიძე, ლევარსი ზამბახიძე, პავლე ლომთათიძე და სხვები.

დავბრუნდით თბილისში. ქოლიკო მოსკოვს წავიდა.

განვაგრძე ჭოლას დიდუბეში გადასვენების საქმეზე ზრუნვა¹². როგორც იქნა, მივიღეთ, სათანადო თანხმობა (იხ. ქვემოთ, გვ. 62).

ქოლიკო ისევ ჩამოვიყვანეთ მოსკოვიდან.

კვლავ საფლავის დადგენის საკითხი წამოიჭრა. მე აღრევე მყავდა ამ სასაფლაოზე ჭოლას ახლო ნაცნობი, პენსიონერი ლიდა ივლიანეს ასული ცინცაძე; შევამოწმე ჩემი ვარაუდი და სწორიც აღმოვჩნდი. ამის გარდა, მე ისიც ვიცოდი, რომ ჭოლას ცხედრის კუთვიაზე დაკრძალვის საბაბი გახდა ფაქტი, რომ იქ უკვე იყვნენ დასაფლავებულნი ჭოლას მეგობრები, მისებრ მეორე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები არჩილ ჭაფარიძე (იხ. ჭოლას ნაწერებში „არჩილ ჭაფარიძის ხსოვნას“) და სევერიანე ჯულელი (1975—1909)¹³. მაშინ ეს ნაკვე-

თი ძმათა სასაფლაოდ გამოყვეს. შემდეგ შეიცვალა ვითარება,—
ჭულელის ასულებმა აქვე სხვებზე დაკრძალეს.

ჩვენი მწერლის საფლავი მე კიდევ იმის გამო ვიცოდი, რომ
ს. თავართქილაძისა და მამაჩემის ინიციატივით იქ დაიკრძალა პედა-
გოგი არსენ წითლიძე, რომელიც სიცოცხლეში აპ. წულაძესთან ერ-
თად დადიოდა ჩვენს ოჯახში და მამაჩემთან ერთად წარმოთქვამდნენ
მოწაფეობის დროინდელ სიმღერას:

„შენ, ჩემო ღორო, ქედაო,
თორმეტი გოჭის დედაო!“...

ა. წითლიძის საფლავზე მე წინათაც რამდენჯერმე ვიყავი ნამყოფი,
ახლაც დაეული იყო წარწერა:

„დამსახურებული პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე

არსენ სომონის ძე წ ი თ ლ ი ძ ე (შუბნელი)
1861—1927“.

ამის ჩრდილოეთ გვერდით, როგორც ეს არაერთხელ ჰქონდა ნა-
ჩვენები მამაჩემს, მდებარეობდა ჰოლას საფლავი.

მაინც კვლავ ექვებს გამოთქვამდნენ; გადავწყვიტეთ საფლავის
საცდელი გათხრა.

1957 წლის 5 ივლისს მე და ჰოლიკომ დამკრძალავი ბიუროს წარ-
მომადგენლის—პანტელეიმონ ცინცაძის თანდასწრებით გავათხრევი-
ნეთ მესაფლავეებს ჰოლას საფლავი. თუთიის კუბო მშვენიერად შენა-
ხული აღმოჩნდა! რაც კიდევ უფრო საკვირველია, სრულიად ახალ-
სავით იყო შენახული კუბოზე დადებული მუარის შავი ლენტი!

კუბოს თუთიისავე ჯვარი ასძვრა. ხსენებული ლენტი და ის ჯვა-
რი ჰოლიკომ აიღო. უდავო იყო, რომ სწორედ ეს უნდა ყოფილიყო
ჰოლას კუბო. იგი მიწით დაფარეთ, ჰოლიკო და მე წავედით მწერა-
ლთა კავშირში. ისევ დაბრკოლებას—გაწვიმებას აპირებს, ჩავა ჩაბ-
რევით ჩათხრილ მიწაში წყალი და 42 წელს დაცული ნეშტი დაიკ-
პება!..

კვლავ მივმართეთ, ვისაც ეს ეხებოდა, თითქოს გადაწყდა, გადა-
ვიტანთ ნეშტს 2—3 დღეშიო...

1957 წლის 11 ივლისს დიდუბის პანთეონში ვიყავით მე და ჰოლი-
კო; გვახლდა პანთეონის დირექტორი ი. კ. ენიკოლოპოვი (ენაკოლო-
ფაშვილი). ამჯერად ჰოლას ნეშტისათვის ადგილი შევარჩიეთ.

სხვადასხვა დროს მე მომიხდა პროფესორ მოსე გოგიბერიძის ნეშტის ვაკის სასაფლაოზე და სამი სხვა ნეშტის სხვადასხვა დროს გადაადგილება, ასე რომ ამ საქმის პრაქტიკა მქონდა. 1957 წლის 19 ივლისს მოვამზადეთ ყოველივე: ხოლო 20 ივლისს 9 საათსა და 30 წუთზე კუქიაზე საფლავი გათხრილი გვექონდა. კუბო გაფშინდეთ, ქვეშ ფიცარი გავუვადეთ, სურათი გადავიღეთ და ამოვიღეთ. გახსნის შემდეგ იგი მშრალი აღმოჩნდა. არც ირასდროს შესულიყო შიგ წყალი. ჩონჩხი ჩაცმულია. აცვია მოგრძო პიჯაკი, საკინძის კიდებებზე გაქეტილი; შარვალი მონაცრისფრო ყოფილა, ფეხსაცმელს (ე. წ. „პოლ-საბოუკს“) ძირი თითქმის მთელი აქვს. თავის ქალას ყბა მოსცილებია. ზოგი კბილი ჩამოვარდნილა, აქვე ძვეს. საცვლები განდნარა; წაბლის ფერი თმა თავის ქალასთან ეყარა. თავად ქალა გაყვითლებული, მომუქოა. თავს ქვეშ ზღვის ბალახის ბალიში დებია. კუბოს შუშა ჩამტე-რეულია.

ჰოლიკომ მოტანილ ყუთში ჩაიწყო: ერთი მუქა თმა, პიდუაკის ნაგლეჯი, ნიკაპი სამი კბილით, სამი სხვა კბილიც... მოიტანეს ახალი კუბო, ნეშტი შიგ გადავაწყვეთ, ზევიდან ნიტკლით დავფარეთ, სასაფლაო ამოვაგსეთ...

კუქიაზე ვიყავით: 1. ჰოლიკო ლომთათიძე, 2. იოსებ მეგრელიძე, 3. ქეთევან იაგორის ასული ლომთათიძე, 4. გიორგი ციციშვილი, 5. თამარ და ელენორა მითაიშვილები და შემთხვევით შემოერთებუ-ლი სამი პიროვნება.

ნეშტი დიდუბეში დახურული ავტობუსით წამოვიღეთ. აქვე ი. კ. ენიკოლოპოვი დაგვიხვდა. მწერალთა მუზეუმის ფოტოგრაფი იგვიანებს! კუქიაზე მხოლოდ 4 კადრი გადაიღო,—ლენტი გამითავდა, დიდუბეში შოვალო.

მე და გ. ციციშვილი აქეთ-იქით დავდივართ, ფოტოგრაფი ვერ ვიშოვეთ და ვერა...

კუბო საფლავში ჩავეშვიტ, დავმარხეთ. ზედამს ვსვამთ. ამასო-ბაში „მწერალთა მუზეუმიდან“ მოვიდნენ: 1. ალექსანდრე პავლეს ძე კალანდაძე, 2. დავით ერმილეს ძე ქორიძე, 3. შამშუ ბართლომეს ძე მეგრელიძე.

გამოჩნდა ფოტოგრაფიც. სურათები გადავიღეთ.

ი. კ. ენიკოლოპოვმა აქტი შეადგინა, ხელი მოვაწერეთ: ჰოლი-კომ, მე, გ. ციციშვილმა, ქეთომ და ელენორამ და თვით ენიკოლო-პოვმა. სხვები კუქიიდან აქ აღარ მოგვყოლიან.

დიდუბეში ჰოლას საფლავიდან სამხრეთით ძვეს წარწერიანი ქვა:

„ლალიონი
არსენ მამულაიშვილი
1886—1918“.

ამის გვერდით:

„ქოლა ლომთათიძე
1875—1915

(დროებითი დაფაა ღერძზე).

შემდეგაა ვრცელი წარწერით —

„პლატონ ეგნატეს ძე იოსელიანი“

შემდეგ —

„კიტა აბაშიძე
1870—1907“.

მის თავთან: — „არჩილ ჯორჯაძე

1872—1913“ და სხვები...

ამავე დღეებში, მოსკოვიდან ჩამოტანილი სპეციალური ნებაართ-
ვით, პოლიკომ მიიღო მამის ერთტომეულის (1956 წლის გამოცემა) პონორარი 154 ათასი (ახლანდელი 15400) მანეთი. იგი მაშინვე მოს-
კოვში გადარიცხა. მამის დაკრძალვის მეორე დღეს უკან გამგზავრე-
ბის ფული კი ირაკლი აბაშიძემ და ისევ მე მოვახერხეთ¹⁵...

მწერალთა კავშირში სერგი ჭილაიას დავაწერინეთ შუამდგომ-
ლობა პოლას ქ. თბილისის სასაფლაოთა მეურნეობის ტრესტის
უფროსის სახელზე პირველი საფლავის დაცვის შესახებ, რომ იგი გა-
ნისვენებდა კუკიის სასაფლაოზე სევერიან ჯუღელის საფლავთან და
რომ იქ დაფა დადგმულიყო წარწერით:

„აქ განისვენებდა მწერალი ქოლა ლომთათიძე 1915 წლის 14 ნოემ-
ბრიდან 1957 წლის 20 ივლისამდე“ (შდრ. ქვემოთ).

ნიმართვა ამ დღესვე გადავაგზავნეთ აღრესატისათვის.

ღამატიეზი

ჰოლას ნასაფლაკარზე დასადები ქვა ზემოაღნიშნული წარწერით 1957 წლის ოქტომბერში ჯერ კიდევ სასაფლაოს მთავარი ჰიშკრის გვერდით ეგდო; ავტომანქანის ბორბალი გაკვროდა და კიდე მოეტე-
ხა. ქვა დაწინშულეზის ადგილას დავადგმევიწნეთ. ახლა ვამჩნევ, რომ წარწერაზე „1915 წლის 14 ნოემბრიდან 1957 წლის 20 ივლისამდე“ კი არა... „1915 წლის 15 ნოემბრიდან 1957 წლის 20 ივლისამდე“ უნდა ეწეროს.

დავალეზის თანახმად, საქალაქო აღმასკომმა ჰოლას ახალ საფ-
ლავს ცოკოლი გაუკეთა...

*

ჰოლასადმი ახლა ყურადღეზის გამახვილეზის შედეგია, რომ 1957 წლის შემოდგომიდან დაიწყეს ჰ. ლომთათიძის მოთხრობეზის „სახრჩობელის წინაშე“ და „საპყრობილეში“-ს რადიო ინსეკენირე-
ბა.

ამ დრომდე მხოლოდ „პირველი მისი“ და „სახრჩობელის წინა-
შე“ იბეჭდებოდა სასკოლო სახელმძღვანელოებში. სხვა კი აღარ ქვეყნდებოდა.

ჰ. ლომთათიძის რამდენიმე მოთხრობის რუსული თარგმანი მხო-
ლოდ რუსთაველის იუბილეზთან დაკავშირებით გამოიცა 1937 წელს. არსებობს უკეთესი თარგმანი დ. ვოლსკისა, რომელიც გამომცემლო-
ბა „ზარია ვოსტოკას“ უნდა გამოექვეყნებინა 1958 წელს, მაგრამ არ გამოიცა მემკვიდრის ჰირვეულობის გამო. მისი გარდაცვალების შემდეგ კვლავ აღვიპარით საქმე და განოქვეყნდა წიგნი:

„Чола Ломтатидзе,

Перед виселицей.

Перевод грузинского

Д. Вольского.

Издательство «Мерани»

Тбилиси 1972“

მასში ავტორის 10 მოთხრობის თარგმანია დაბეჭდილი —
«Червь», «В тюрьме», «Перед виселицей», «Белая ночь»,
«Первое мая». «Без заглавия», «Изменицца», «Иванэ Гарга-
нели», «Гонорар», «Старшина Туадзе».

ჩვენ გამოვაქვეყნეთ ფოტოსურათი, რომელიც 1907 წელს არის
გადაღებული ჰ. ფოთში. მასზე არიან ასახული ზემოხსენებული ქეთო

ქანიშვილი და მისი მეგობარი ნინო თავბერიძე შავი სატინის მაღალ საყელოიან ბლუზებში. ბლუზას თეთრი ღილები აბნევია და მარცხნივ იკვრებოდა. ეს ყოფილა მაშინდელი ახალთაობის ფორმა, მსგავსად რევოლუციონერი კაცებისა, ოღონდ ქალები ასეთი ბლუზის კალთებს კაბაში იტანიებდნენ, კაცებს კი გრეხილი ერტყათ და ბლუზას კალთაგადმოშვებულებს ატარებდნენ.

ამ ფორმითო,—ამბობდა ქ. ქანიშვილი,—რევოლუციონერები არაღეგალურ კრებაზეც კი გვისწრებდნენ და სხვებიც გვცნობდნენ, რომელი მიმართულების ვიყავითო.

ერთ-ერთ საიღუმლო კრებაზე მუშებთან ქოლა ლომთათიძემ ილაპარაკა თემაზე „რ ა ს ნ ი შ ნ ა ვ ს ა მ ხ ა ნ ა გ ი“.

შემდეგო,—განაგრძობს იგივე პიროვნება, — შეეჩივლეთ ქოლას: სიტყვა ამხანაგისა და ფორმის ჩაცმისათვის უანდარმები გვიბლვერიან და გვემუქრებიან:—ბლუზები გაიხადეთ, თორემ გაგაციმბირებთო.

ქოლამ დაგვარიგა: — უთხარით უანდარმებს,—სატინას რუსეთის იმპერიაში ამზადებენ და მისი ტარების უფლება ყველას აქვს-თქო“ (ჟურნ, „საქართველოს ქალი“, 1970 წ. № 4, გვ. 20).

*

ყოველივე ზემოაღნიშნულს ჩემს ზოგიერთ ჩანაწერსა და ცალკეულ დამატებით ცნობებსაც ვურთავ.

ქოლას რომ ხიდისთავის „ბიბლიოთეკაში“¹⁷ მსახურობდა, ამ სამკითხველოს შენობა მდგარა მაშინდელი ხიდისთავის ეკლესიის, ახლანდელი სახალხო სახლისა და სტალინის მონუმენტის. ეზოში, ქიშკრიდან მარცხნივ (ლუგუბას ლელისაყენ). იგი ერთოთახიანი, ყავრით გადახურული. ნაგებობა ყოფილა.

ქოლას ცნობილ ბიოგრაფიაში ნათქვამია, რომ ამ ბიბლიოთეკაში მუშაობისას ქოლას ფოსტა ჩოხატაურიდან დაჰქონდა.

ხიდისთავი, მეწიეთი, ბასილეთი და მეზობელი სოფლები ადმინისტრაციულად გაერთიანებული იყო ოზურგეთის მაზრის ბასილეთის საზოგადოებაში. ფოსტაც ოზურგეთიდან დაჰქონდათ ჩოხატაურში და თვეში სამ-ოთხჯერ მოდიოდა ხიდისთავში. ამიტომ, შენდევ, ხიდისთაველებმა, ფოსტის ყოველდღიურად მოსვლისა და მგზავრთა გადაყვანა-გადმოყვანის გასაადვილებლად, „მედლეეჟენების კომპანია“ დააარსეს, რომელიც 1917 წლის რევოლუციამდე არსებობდა.

1905 წლის რევოლუციის დროს გურიიში, როგორც ეს თ. ჟღენტსაც აქვს აღნიშნული, ჭაშუშობაში რამოდენიმეჯერ მხილებულთ



სურ. 5. კოლა ლომთათიძე და ალექსანდრე მითაიშვილი. 1903 წ. მარტი

სპობდნენ. დადგენილი იყო: ნოე ლომინას ძე ლომთათიძისა* და მირიან ესეს ძე მათითაიშვილის გამცემლოა. უკანასკნელს უსაყვედურა, თურმე, მამამისმა:—ხალხს ნუ შეაზიზღე შენი თავიცა და ჩვენი ოჯახიცო. შეიღმა მამას სცემა. გაუგია. თუ არა ეს მეზობელ კოლას, მას ხსენებული მირიანს საჯაროდ შეურცხვენია, მაგრამ კოლას ისიც გაუგია, რომ ტერორისტები მირიანს მოპარვას (დახრჩობას) უბირებენო. კოლა წინააღმდეგი წასულა. მას უთქვამს: ჯერ საჯაროდ ჩამოვართვით სიტყვა, რათა გამოსწორდეს და თუ ამანაც არ გაქრა, შემდეგ თქვენი ნება იყოსო!..

ასეც მოქცეულან. მირიან მათითაიშვილმა და ნოე ლომთათიძემ, კი, გამოსწორების მაგიერ, თურმე, ახალი დანაშაული ჩაიდინეს:—პოლიციას მიმართეს, გვემუქრებიანო.

დამნაშავენი ტერორისტებს უგზო-უკვლოდ გაუქრიათ.

* თენგიზ ელენტი, 1905 წელი გურიაში, თბილისი, 1931, გვ. 78.

ჰოლა ახლოს იცნობდა გრიაზნოვის მკვლევლობის ერთ-ერთ ორგანიზატორ მიხაკო ლომთათიძეს (ეს სასწაულად გადარჩაო) და ტერორისტ ნიკოლოზ ლორთქიფანიძეს. (ყარფუხში ცხოვრობდა საცოლო მეტრეველის ქალთან). შემდეგ კოლიას შეურთავს ბანძელი მარიამ მიხეილის ასული ფაღავა; მათი ერთ-ერთი ასული—თამარ ლორთქიფანიძე ახლაც თბილისში ცხოვრობს და ყვება მამისა და ჰოლას ამბებს. ჰოლას ნ. ლორთქიფანიძესთან (ქუთაისში ჩამოახრჩვესო) სურათიც კი გადაუღია მეტეხის ციხეში (იხ. სურ. № 7, გვ. 33).

ჰ. ლომთათიძის შეუპოვრობასა და ჰუმანიზმისადმი თავდადებაზე ლაპარაკობს, რომ მას ფართო მასშტაბის ხმაური აუტეხია: სერიაში „Из № 1345, Россия“ დაბეჭდილია წიგნი „Мнимые притеснения заключенных в русских тюрьмах“ (ს. პეტერბურგი, 1910 წ. რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო). მის მე-7 გვერდზე აღნიშნულია, რომ II სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ჰ. ლომთათიძე 1909 წლის აპრილში ეკითხება სახელმწიფო სათათბიროს: რატომ სცემენ და აწამებენ რუსეთში სიკვდილმისჯილ პატიმრებს განაჩენის ღისრულეში მოყვანის წინაო.

სათათბიროს შეითხვა არ განუხილავს, ვინაიდან ამაში ს.-დ. პარტიისათვის სხვა პარტიებს მხარი არ დაუჭერიათ (იქვე, გვ. 8). მაგრამ მომხდარა ისე, რომ ჰ. ლომთათიძის შეკითხვის საფუძველზე წერილი გაუქვეყნებია კ. კაუტსკის „ლუმანიტეში“ 1910 წ. 18 იანვარს, რომელსაც გამოხმაურებიან „Journal de Genève“, „Le peuple“, „Journal de Soir“, „Arbeiter Zeitung“, „Vita“ „Le Laboro“, „Daily News“ და სხვა.

ამგვარად, ჰოლას შეკითხვას საერთაშორისო გახმაურება გამოუწვევია. შემდეგ III და IV სათათბიროზეც ყოფილა მიცემული შეკითხვები, რომლებიც დაბეჭდილია «Царский прововой журнал»-ში.

ამბობენ, რომ ცილიამ ჰოლას „შეკითხვა“ ბებელს გაუგზავნაო...

ჰოლას გარეგნობის შესახებ დები ამბობენ: იგი იყო ტანხმელი, მომადლო, (სხვა ჩიას უწოდებს! ი. მ.), წელში გამართული, ლამაზად მოსიარულე და საერთოდ კოხტა კაცი. მას ჰქონდა ჭრელი თვალები, ღია წაბლისფერი ხუჭუტა თმა, სახეზე ოდნავ აჩნდა ნაყვავილევი: ეს სახადი მას ჩვილობაში შეჰყარია.

ჰოლას დაკრძალვაზე მიტანილ გვირგვინების რიცხვს ზოგიერთები ძალიან აჭარბებენ. უფრო სარწმუნოა იოსებ იმედაშვილის მიერ დაბეჭდილი შენიშვნა: აქ იყო ასამდე გვირგვინი, რომელთაგან 47 რუსეთიდან მოვიდაო („თეატრი და ცხოვრება“, № 47, 1915 წ.,

პ. 47).

ერთი გვირგვინი შვილისაგანაც ყოფილა ლენტზე წარწერით:
„ქვირფას მამას პატარა კოლასაგან“.



სურ. 6. კოლას სიძე იაგორ ანთიძე, და—ფედოსი და უკან დგას ბიძაშვილი
მაშეკო ლაერენტის ასული ლომთაიძე 1904 წ.

სხვადასხვა პირთა მოგონებები

ფედოსი ბიბონის ასული ლომთათიძე-ანთიძისა (1889—1970: წ.-კ. მცოდნე, მცხოვრები ჩოხატაურის რაიონის ს. ხევის, კოლას და) კოლას შესახებ შემდეგს იგონებს:—მამა, რომ მომიკვდა, 9 წლის ვიქნებოდი. კოლა ქადაგებდა ახალ თაობის შესახებ. დადიოდა ხან ლანჩხუთს, ხან ჩოხატაურში, ხევში და სხვაგან. წერდა პროკლამაციებს და ებრძოდა მთავრობას. კრებებზე ეუბნებოდა ხალხს: უნდა დავამხოთ ეს წყობილებაო: ბევრს დედა ვერ დაუსაფლავებია პატივისცემითა და ამა და ამ კაცმა ძალს გადაუხადა ქელეხი გლეხების ზურგიდან აღებული ფულითო.

მოწაფეობაშიც ასეთი ყოფილა კოლა: მას ბუნტი ექნა ქუთაისში,—სკოლაში არ მოეწონა მასწავლებლის ქცევა, რომელმაც მოწაფე გალახა: კოლამ ესროლა ნამოთვარა (ლაყე) კვერცხი მასწავლებელს და სკოლიდან გარიცხეს კოლა. შემდეგ იგი დატუსაღებული იყო ქუთაისში. რუსეთში წავიდა სასწავლებელში (?), იქაც ბუნტი მოახდინა, დაიჭირეს, წავიდა ბიძაჩემი და გამოიხსნა. შემდეგ დარჩა სოფელში.

1904-ში სულ კრებები ჰქონდა. აქ კოლა ნასაკიარალის 1905 წლის ამბების წინააღმდეგი იყო.—ხალხს იმახვერპლებსო, ასე მოუშაადებელი სროლა არ ვარგაო. ის ამბავი მაინც მოხდა. კოლას დაესხა თავს სტრახნიკები. იგი ფანჯრიდან გადახტა, წიგნებიანი ჩემოდანი მე მეორე ფანჯრიდან გადავაკდე, უმთვარო ღამე იყო და კაცი ვერ დაინახეს სტრახნიკებმა. ისინი შემოვიდნენ, კოლა ვერ ნახეს. რომ წავიდნენ, კოლა ენახეთ,—საცეცხველს ქვეშ შემალულიყო. ნათქვამიც ჰქონდა: თუ დამეცენ და გავიქვე, ამ ადგილზე ვიქნებოო და თუ იქ ვერ მნახოთ, ნულარ მეძებთო. იგი ყოველ წუთში დაჰქერას ელოდა. საქმელსაც რომ ჰამდა, სულ აქით-იქით იხედებოდა.

აღნიშნული გაქცევის შემდეგ კოლა ერთ თვეს ვარლამა კალანდაძისას ცხოვრობდა მეწიეთში. იგი მამაჩემის მოწათლული იყო. სერაპიონ კალანდაძისას (მღვდლისას) იყო კოლა ცოლით და დაეცნენ. ვერც იქ დაიჭირეს; სხვა ოჯახებშიც ბევრგან იმალებოდა. შემდეგ გავიგეთ, კოლა თბილისში წასულიყო ახალციხის გზით, ვინაიდან მატარებელში ვერ შევიდოდა.



სურ. 7. კოლა და კოლია ლორთქიფანიძე მეტეხის ციხეში. 1911 წ.

არავის შეურაცხყოფას არ შეარჩენდა. დუმის კრებაზე ვილაც მინისტრმა ბლუ დაუძახა. ტუფლი წაიძრო და ესროლა, თურმე...

ცილია მდიდრის შვილი იყო, 12-კლასიანი განათლებით. ყოველნაირ წამლებს თვითონ გამოსწერდა ჭოლასთვის; მივიტანდი აფთი-აქში და მომცემდნ.

ჭოლას რომ უთხრა, თურმე, ცილიამ,—მითხოვეო,—ამას უპასუხია: არაფრის მქონე ვარ, ორი და მყავს და ისინიც უპატრონოთ არის ჩემი შემხედვარეო. არც ქალის მამას სდომებია ჭოლა სიძეთ, რადგან სამ ძმას ეს ერთი და ჰყავდათ. რომ წამოვიდა ჭოლა, გამოსდია ქალმა. ჭოლამ მაინც უარი უთხრა. ქალს ეთქვა: მე არ მინდა სიმდიდრეო და ქართულად მოვინათლები კიდეც ოლონდ წამიყვანე და მე ვიცი, რაფერ შეგეგუებო. მერმე წამოუყვანია. მოიყვანა ბიძა ლავრენტისას ჭაჭიეთში. ქალის სანახავად მოდიოდნენ მეზობლები და შორებლებიც. ქალი პირველად ღებულობდა მნახველებს და მერე— აღარა, ეთქვა: რა ნახვა მინდაო. ლაპარაკი ატყდა; ქალი ურიააო და მონათვლა არც ჭოლას სწამდა, მაგრამ ჯიმშეთი ბერეჟიანის ცოლმა— გოგოლიმ მონათლა. ქალმა გადაითქვა სახელი,—ელისაბედ დაირქვა. გიდირინსკიას (გიდერინსკია; ი. მ.) მაინც წერდა. ცილიას ჩვენ ვეძახდით: ისე ს ი ლ ვ ი ა ჰქვიოდა. ჭოლა, რომ ლანჩხუთს იყო, ქალი სულ უცდიდა. ძალი რომ დაიყვავდა, უყურებდა სულ, ბევრჯერ საჭმელსაც არ ჭამდა იმის მოსვლამდე. ჭოლას დღიურები ქონდა ნაწერი. ჩემთან იყო, აქ ხევში, დიდ ტილოში გამოხვეული. ყველაფერი ეწერა შიგ და მოგვეწერა ციხიდან: ჩემი ნაწერები ალექსანდრე მითაიშვილს გადაუგზავნეთო. ჩვენც ასე ვქენით.

რუსეთში რომ დაიპირეს ჭოლა, ქალმა იმდენი მოახერხა, რომ ბათომში გადმოაყვანინა იგი. ჩვენც ჩავედით სანახავად. ქალმა მასწავლებლობა დაიწყო ბათომში, ქმარს ყველაფერს უგზავნიდა ციხეში და ნახულობდა კიდეც. ჩვენც შეგვიყვანა ციხეში: მე, ბიძა იანგორ და ბიძაშვილი მაშიკო (იხ. სურ. 6, გვ. 33).

ჭოლამ გვითხრა: ასეთია ცხოვრება, გულს ნუ გაიტეხთ, თუ მოკვდები, სხვები რჩება ბევრიო.

„დუმში“ რომ წავიდა, ხუმრობდა: მე იწნებ მომიყიდოს ნიკოლოზმა, მაგრამ თქვენ მაინც თქვენი ჰქენითო.

ახალციხეშიც იყო ჭოლა ციხეში და ქალმა თბილისში გადმოაყვანინა. იგი ციხეშიც ყველაფრის შეტანას და გამოტანას ახერხებდა...

ქოლას საწყლები ეცოდებოდა, ცეკვა და მაიმუნობა ეზარებოდა. მასთან ვერავის ვერ დასცინებდი, ვერ აძაგებდი. გახუმრება კი იცოდა მხოლოდ ცოლთან, რუსის ქალს ხუმრობით ასწავლა: ქალი რომ მოვიდეს, ასე დაუძახე:—„გამარჯობა, თხოო“. ქალმაც გაიმეორა:—„გამარჯობა თხოო!“. შემდეგ გაიგო მან, ცუდს ამბობდა, რადგან ქალები გაჯავრდნენ, და ქოლას აღარ უჭერებდა, კარგიც რომ ესწავლებინა, თუ არ შეამოწმებდა, აღარ გაიმეორებდა...

ახალციხეში რომ იჯდა ციხეში და ტუსალს სცემა ყარაულმა, ტუსალს ქოლა გამოჰქომაგებია და ამიტომ უყვირეს ქოლას: გაჩუმდი, თუ არა, შენც გცემთო.

— თუ არ მცემე, პაღლეცი იქნებო, — უპასუხა ქოლამ. ცემა ველარ გაუბეღიათ, მაგრამ ციხის უფროსთან კი უჩივლიათ და მოუგონიათ: დედა გვაგინა და მთავრობა აძაგაო.

ქოლას წერილიც მოგვედიოდა. იაკობი (ქმარი ფეოდოსის; ი. მ.) ქოლას ნახულობდა ციხეში.

1. IX 1930 წ.“

*

ს ი დ ო ნ ი ა ბიბონეს ასული ლ ო მ თ ა თ ი ძ ე - დ ა დ ი ა ნ ი - ს ა (1891—1965; წ.-კ. მცოდნე, მცხ. ს. ქობულეთისა; ქოლას და (შენშ. 20, გვ. 70, ბარათი № 5) ყვება:

— ქოლა იშვიათი ჩემი მოსიყვარულე იყო. ერთად ვიზრდებოდით, მერე ოჯახისათვის სანატრელი გახდა. შინ არ იყო ხშირად, — ან სწავლობდა და ან ჩუმად მუშაობდა. მამას ეუბნებოდნენ მეზობლები: დაგეკარგება შვილიო. მამამ, ცოტა თუ ბევრად, იცოდა, რაც დაკარგული იყო ჩემი ძმა!... მე და ქოლას გვაცივებდა 7 წლისას. ქოლა კი დატოვა ციხემ და მე არ მომეშვა. ქოლა მითვალყურებდა შინ, ლუგუბაში* ტანი არ იბანაოსო. იმ ზაფხულში იყო სულ შინ, შემდეგ მცირე დროითი ჩერდებოდა, იმალებოდა. წავიდა რუსეთში და იქედან მოიყვანა ცილია. მდიდრის შვილმა ჩვენთან ყველაფერი უბედურება განიცადა ჩვენი სიღარიბის გამო. იგიც კი მომზადებული იყო, როგორც ქოლა მუშაობდა ხალხში, ისე — იგი ქალიც. საღდათებს ამზადებდა ახალთაობისათვის... ცილიას ბავშვი ეყოლა სურებში. ჩამოიყვანა და იგი მიაბარა მირიანა ლომთათიძის ცოლს, ფედოსი ეთქვა ქალს. ბავშვი ძალიან უყვარდათ დედ-მამას. ისინი ვერ დადიოდნენ და მე ყოველ შაბათ-შაბათს მაგზავნიდენ, რაიმესაც. მატანდენ. ქოლას რომ ბავშვი მოენატრა, ჩამოუყვანეთ და ეჭირა ხელში. შეწითლდა

* დღეა ქოლას ეზოს მახლობლად ჩამომდინარე.

ლოყაზე, შერცხვა, ველარ ეფერებოდა... შემდეგ მაინც მოეფერა. ძალიან უყვარდა, მარა, ჭოლა მატატი* არ იყო და არც ჰყოცნიდა...

უთხრეს: ამელამ დაგესხმინათ. წავიდა და ჭიმეთში ბერეჟიანისას და მითხრა: ჩემოდანი ჩამომიტანეთო. წავუღე. დაგვეცა ჯარი თავზე და ველარ ნახეს. დაიჩემეს ჩემზე: ჭოლას ცოლიათ და მიჰერდენ. მათი უფროსი მიხვდა, რომ ჭოლას ცოლი არ შეიძლებოდა ვყოფილიყავი, ქართული ვიცოდი... დაი არისო,—არც ეს ითქმოდა, სტუმრად გააცნეს ჩემი თავი...

ჩენი ოჯახის ღაწვა გამოაცხადეს. ოზურგეთიდან მოსულმა ჟანდარმა ნეზობლებს უთხრა: თქვენ დაირიგეთ, არ დაფწავთო. მეზობლებმა. ამით არ ისარგებლეს, პოლიციამ ყველაფერი დაწვა. არ დაუტოვებიათ არაფერი... შემდეგ „ღუმეში“ აირჩიეს ჭოლა. ჩამიყვანეს ხიდისთავში და ჭოლა მაშინ ვნახე გაცილებული. აქედან გაცილება მოუწყვეს, ღილაძე ისხდენ სუფრასთან. მეც მიმიყვანეს იქ. ჭოლას გაზეთი ექრა ხელში და იკდა. დილას დაგვემშვიდობა და გადამისცა თავზე ხელი: ან გადმიტანა აგი დრო და ან მე გადვიტან მას, ნუ გეშინიათ, კარგათ იყავითო...

ოთხი განყოფილება რომ გავათავე, ჭოლამ მიმცა ჭრა-კერვის სასწავლებელში. „ღუმეში“ მისი ყოფნის დროს, კლასის მოხსნის შემდეგ, დედარ ჭირისუფლისას წვევდი ცოტა ხნით. შემთხვევით იქ უსუფს (აჭარელი დადიანი) შევხვდი. გამიცნო და აღარ მომეშვა. ბიძაჩემს უთხრა: ან მემტრე და ან მიმოყვრე,—მომეცით სილოო. მეც მკითხეს და უარი ვთქვი. შემდეგ მოვიმიზეზე: ჭოლას ჰკითხეთმეტქი.

ჭოლას წერილით ჰკითხეს. მოიწერა: რა გურული, აჭარელი, თათარი, ურიე, სომეხიო, თუ კაცური კაცი კიაო...

ახლა მოვიმიზეზე, მოუნათლავი ხარ, უსუფა, და ვერ წაგყვებიმეტქი. მოინათლა, პეტრე კალანდაძე იყო ბედუა (ნათლია). მე არ მწამდა მონათულა, მაგრამ ამით მინდოდა მომცილებოდა. მაინც დამნიშნა. პირობით, ჭოლას მოსვლამდი, არ უნდა წავეყვანე, მპირდებოდა გასწავლიო... ბოლოს წამიყვანა. ჭოლა ბათომში ვნახეთ ციხეში. აწყინა ბათომის ჰაერმა და ცილიამ ჭოლა გადააყვანინა ჯერ ახალციხის და შემდეგ—ტფილისის ციხეში. ჭოლამ მოგვწერა: რა კარგი იყო სარაჯიო (თაფლი ფიქაში). ბათუმში ნახვის დროს გვქონდა მინა-

* ზედმეტად მოლაპარაკე.

ტანი. ახლაც 20 გირვანქა კრიპუკი (დაშაქრებული თაფლი) გავუგზავნეთ...

ქოლა მწერდა: გაუძელი და გაუძეხი ყველაფერსო. უწინ მეუბნებოდა: მე მგავხარ მით, რომ პირში მთქმელი ხარო.

გურიაში მიჩვეულს მაშინ მიჰქირდა აჭარაში ყოფნა, მაგრამ სინდისი მაჩერებდა. მეჩეთზე ქოლგით, პირახდილი რომ გავედი, დედამთილი მეჩხუბა; კანცელარიაზეც დამიბარეს, ბავშვები მონათლევო. მე უარი ვუთხარი: არც ჩვენებურად ვნათლავ და არც თქვენებურად-მეთქი...

მაშინ ასეთ სიტყვებსაც კი მაგონებდნენ: ქრისტიანი ქალი თათარს (მაჰმადიანს, ი. მ.) როგორ წამოყევიო. მე ანაზე ვპასუხობდი: ქოლამ და თედორე კალანდაძემ ურიას (ებრაელის) ქალები შეირთეს, ფილიპე მახარაძემ და სილვა თოდრიამ რუსის ქალები შეიყვანეს, რა დაშავდა ამით-მეთქი. გვიან ქმრის ნათესავმა წამომძახა: აი, რა დაშავდა, ქოლა და თედორა დააპატიმრეს და ცოლები გაუთხოვედათ, ქართველი ქალი ხომ არ იზამდა ამასო. მე კი ისეთი ქართველი დავუსახელე, ქმარი რომ მოკლა...

ქობულეთში ვიბრძოდი: ქალებო, ჩადრი აიხადეთ, წიგნი ისწავლეთ-მეთქი. ბავშვებს ვიჭერდი და წერა-კითხვას ვასწავლიდი. ახლა ამას კარგად მიფასებენ.

სოფ. ქობულეთი. 15.IX. 1930.

*

ვლასე ელიაძე-ლომთათიძე (1869—1966; დაიბადა ზვებუზს ს. უჩხუბში)—ბიციოლა ქოლასი. იგი 17 წლის ყოფილა, ქოლას ბიძას—ლავრენტი ლომთათიძეს რომ შეურთავს. შემდეგ ჰაჭიეთში ცხოვრობდა. ძმები—ბიბონი და ლავრენტი მაშინ ერთ ოჯახად ცხოვრობდნენ. როცა ბიბონი დაქვრივდა, მეორე ცოლი შეართო და ოჯახს გამოეყო, ქოლა ბიციოლა ვლასეს უფრო ეგუებოდა და მასთან დარჩა (იხ. სურ. 8, გვ. 40).

ვლასე იგონებს: — ქოლა ძალიან ჩუმი და ჩაფიქრებული ბავშვი იყო. ახალთაობის კაცი გახდა და ხშირად მოყვდა ჩემთან: ისიღორე რამიშვილი, სილიბისტრო ჯიბლაძე, იასონ ნეგრელიძე, რაფიელ ჩიხლაძე, არსენ წითლიძე...

ქოლა მეუბნებოდა: ჩამოვადგებთ რუს ხელმწიფეს, ჩვენ გვკითხე შენი პატივისცემაო... ვახშმის შემდეგ აქ არ ჩივბოდნენ, ზოგჯერ ოდისთავზე (სხვენზე) იძინებდნენ...



სურ. 8. კოლას გამზრდელი ბიოლა ვლასე ელიაძე-ლომათიძისა, 95 წლისა.

ერთხელ ასეთი სტუმრების ჩვესას ყოფნის დროს, კოლას თავი დავაბანიწე, სტუმრათ წასვლის წინ. მას კაკვილი (ხუჭუჭი) სქელი თმა ჰქონდა და ბევრი თავისაბანი მიწაც წავუსვი. თავის დაბანის შემდეგ კოლამ ხუმრობით უთხრა სტუმრებს: რეს ხელმწიფე რა ხე-

ირს დამაყრის, ბიცოლა რომ მიწას მაყრის თავზეო!..

ქოლა ბევრს კითხულობდა ხმადაბლა, მაგრამ გაზეთს ჩვენს დამასთან მოსული მეზობლების გასაგონად კითხულობდა ხმამალლა, ზოგჯერ განგებადაც შეყრიდა მსმენელებს.

რუსულ წიგნებს ქოლა ბავშვობას ხმამალლა კითხულობდა.

იგივე ვლასეც ამბობს: ქოლიკა სურებში დაიბადა. მისი დედ-მამა იქ იმალეობდნენ. 4 დღის დაბადებული ბავშვი ჩამოიყვანეს. სილაპარაკოდ გახდა: ცილია ახალმოლოგინებული ცხენზე როგორ შეჭდაო... ცილია არ ელოდა ჯერ მორჩინას, მოულოდნელად მორჩა. ბიჭი (ქოლიკა) ერისტო სვანიშვილმა მოგვილოცა.

ძიძა პელაგია ალექსის ასული ჩიგოგიძე-ლომთათიძე, თედორეს ცოლი (გიგინიას ძე თედორეს), 6 თვეს აწოვებდა ძუძუსო.

26. IX. 1957 წ.



მე და ქოლიკომ ვნახეთ ზემოხსენებული პ ე ლ ა გ ი ა: მან უთხ-ქოლიკოს: შენი თავი გოგოლი ბერეყიანმა მომგვარა, ტყავი გძვრებოდა, ძლივს მოგამჯობინე, 6 თვე ვიყავი შენი ძიძაო!...

ჩემს შემდეგ, შენ, ქოლიკა, მირიანე ლომთათიძეს (პაიქესოულზე, იხ. სიდონიას მოგონება) მიგაბარეს, მასთან, წელიწადზე მეტხანს იყავი, შვილო!

ქოლიკაზე თქვა პელაგიამ: სულ ქოლას გავს თვალებშიო, მომაკვდავი მომიყვანეს იგი ბოვში, ახლა კაციაო.

ქოლიკას ძუძუს ჩემ შვილ ნიკოსთან ერთად ვაწოვებდით. (ამ ქალის მეორე ვაჟი) ნიკო თედორეს ძე ლომთათიძე ავტორია წიგნისა „ინტრაქტეალური ნარკოზი ქირურგიაში“, თბ., 1957 წ. (ექიმთა ბიბლიოთეკა) და სხვა ნაშრომისა.

16.VII. 1957 წ.



პენსიონერი ლიდია ივლიანეს ასული ც ი ნ ც ა ძ ე ადას-ტურებს ვლასეს ცნობას ქოლიკას სურებში დაბადების შესახებ.

იგი ლაპარაკობს:—პარტიის მითითებით გავიხიზნეთ სურებში. გვითხრეს, პარტია დაშლილად მოაჩვენეთ მთავრობასო. სურებში თამარ ქარცივაძისას ვიყავით ცილია და მე ქმრებით, აქვე იყო მოსკოვიდან ერთი რუსი—ლებედა. სხვა ოჯახში იყვნენ: ჩხიკვიშვილი, ხომერიკი და სხვებიო. 1906 წლის თებერვალში მოგვივიდა პარტიის გა-

დაწყვეტილება,—ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდითო და ამ დროს დაიბადა კოლიკო, ერთ თვეში მეც მეყოლა ვაჟიო.

ლილია დასძენს: ცილიასთან ვმეგობრობდი, მაგრამ მე და ნინო ნაკაშიძე 1909 წელს ბაქოს რკინიგზის სადგურზე გავედით; მატარებელში ცილია დაეინახეთ, მივარდი საკოცნელად. ცილიამ მითხრა: რა მოგდით, ლილია, ფამილიარობის გარეშეც შეიძლებაო!... კუბეში „დუმის“ ორი დეპუტატიც აღმოჩნდა, იმათთან თუ იწევდა მარკასო!

კოლიკომ შენიშნა: არა, დედაჩემი საერთოდ არის მშრალი ბუნების, მამაჩემს რომ გაყვა, მშობლებსა და ძმებს აღარ იკარებდა, რადგან ისინი ამ ქორწინების წინააღმდეგი იყვნენო. ბავშვთა სახლებში ვიზრდებოდი და სტუდენტი რომ გავხდი, უკვე ცალკე დავიწყე ცხოვრება, მასთან მივირდა ყოფნაო.

*

ჭოლას კარის მფობელი, მუშა-პოეტი ს ი ო ხ ი დ ი ს თ ა ვ ე ლ ი (კალანდაძე; 1888—1969) 1957 წლის სექტემბერში გვიამბობს:

— ჭოლას უყვარდა სერგი კალანდაძის ოჯახი. სერგის ძმისშვილი, ანტონ მღვდლის ვაჟი — პ ო ლ ი ო (ირეთელი; ი. მ.)—ჭოლას და მამათქვენის მეგობარი იყო. ჭოლამ, მამათქვენმა, გერონტი კალანდაძემ, ერმილე და ლეონტი კვაჭანტირაძეებმა, სერგი კალანდაძის მონაწილეობით, ხიდისთავში, იაგორ თალაკვაძის დუქანში, შემწვარი გოჭი მიირთვეს და ღვინოც დალიეს. წითელ პარასკევს. უჩივლეს ეპისკოპოსთან და, სერგის გარდა, მეწიეთის მღვდელი სერაპიონ კალანდაძე და ამისი მამა ფილიპე (ჭაჭიეთის მღვდელი იყო, მახსოვს, ჯორით დადიოდა,—დასძენს სიო), კინალამ დაკრიჭეს,—მრეველში ურწმუნოები გაგჩენიათო.

ჭოლა იცნობდა აგრეთვე ნოე ქერქაძეს პაიჭესოულზე და კაპიტონ სერგის ძე კალანდაძეს, რომლებიც ბოლშევიკები იყვნენ და პირველს ნაწერებშიც ახსენებს ჭოლა.

სიო კალანდაძე მეუბნება: ჭოლას გვირგვინების ლენტები, გაზეთ „თანამედროვე აზრის“ რედაქციის დავალებით, ოზურგეთში უნდა გამეგზავნა ილარიონისათვის 1916 წლის ზაფხულში. თავს უანდარმერია დამესხა. ვერაფერი ნახეს და ვასკლისას თაროზე დაწყობილი ჩვრები გასინჯეს,—ეს იყო ზემოხსენებული ლენტები, შემდეგ კვლავ გამჩხრიკეს და ორი გაზეთის—„ჩვენი სხივის“ (ერთი ნომერი გამოვიდა) და „ახალი ტალღის“ (აღარ გამოსულა)—ნებართვაც მიპოვეს. მეორე წამართვეს და წამიყვანეს. ირკუტსკის გუბერნიაში გადა-

სახლება მომისაჯეს: რევოლუციამ მომისწრო, გზიდან თბილისში და-
ვბრუნდიო.

მე წამოვედი სიოს ბინდიდან და მესამე დღეს ფოსტით ლექსი
შივილე:

ქოლას ცხედართან

მშრომელი ხალხისთვის თავდადებული,
თავისუფლების ერთგული შვილი,
ჩაგრული ხალხის, მშობლიურ ქვეყნის
სასოება და ნუგეში ტკბილი!

ალარ გეყავს, არა, მტერთან ბრძოლაში
ვმირული სახით დალია სული.
მით სამუდამოდ მან დაიმკვიდრა
უკედავი ხსოვნა და სიყვარული...

მშვიდობით, ძმაო, შენი მოძმენი

დაგიტირებენ უკანასკნელად.

შენი სახელი, როგორც ცოცხალის,

მუდამ გვექნება წარმოსათქმელად...

ს ი ო კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე

ნოემბერი,

1915 წელი

*

მწერალი და გამომცემელი ს ი ლ ი ბ ი ს ტ რ ო თ ა ვ ა რ თ ქ ი -
ლ ა ძ ე (რეზონიძე; 1880—1936. იხ. მისი „რჩეული მოთხრობები“,
თბ., 1973). ის. ნ ა ნ წ კ ა ე ა ს წ ი გ ნ ს „ქოლა ლომთათიძე (კრიტიკუ-
ლი ეტიუდი“, თბ., 1925, გვ. 38—48) ურთავს მოგონებებს:

— ქოლა ლომთათიძე და მე „ერთმანეთს ბავშვობიდანვე ვიც-
ნობდით. სოფელ ბასილეთის (გურჯისტის ახლანდელი ხიდისთავის; ი. მ.)
სკოლაში ერთად ვსწავლობდით.

ის თუმცა მეოთხე განყოფილებაში იყო, ნე კი მესამეში, მაგ-
რამ ორივე განყოფილება ერთ დარბაზში იყო მოთავსებული და
ამიტომ კარგად ვიცი, თუ როგორ სწავლობდა ქოლა.

სიღარბის გამო, საკუთარი სახელმძღვანელო წიგნები არასოდეს
არ ჰქონია მას, მაგრამ პირველ მოწაფედ კი ითვლებოდა.

გაკვეთილებს სკოლაში სწავლობდა; წაიკითხავდა მასწავლებე-
ლი, ახსნიდა და ქოლამაც უკვე იცოდა.

სახლში მიგვექონდა მხოლოდ კერძო საკითხავი წიგნები და ყურ-
ნალ-გაზეთები, რასაც გვაძლევდა მასწავლებელი მორიგეობით და
სკოლაშიც გვიკითხავდა.

ზეპირად ვიცოდიტ მოწაფეებმა: „დიმიტრი თავდადებული“ და „თორნიკე ერისთავი“, მეხუთე განყოფილებაში „ვეფხისტყაოსან-საც“ კი სწავლობდნენ.

ეს იყო ჩვენი ძვირფასი მასწავლებლების არსენ წითლიძის და სიმონ ორჯონიძის ნეოხებით...

ეს მასწავლებელი (ორჯონიკიძე, ი. შ.) რომანულ ნიადაგზე, შურისძიებით, ადგილობრივი ცანცელარიის მწერლის, კალანდაძის დასმენით, გადაიყვანეს იმერეთში...

რამოდენიმე ხნის შემდეგ, ზემოთ მოხსენებული მწერალი კალანდაძე საკარისად შეამკო კოლამ.

დაობლებისა და სიღარიბის გამო, მე სოფლის ორკლასიანი სასწავლებელი არ დამიმთავრებია. კეთილი ადამიანის დახმარებით, დავდექი კოწია თავართქილაძესთან ასოთამწყობად სტამბაში, ქალაქ ოზურგეთში. კოლა კი სოფელში დარჩა.

არ გასულა ერთი წელი, რომ კოლა შემოვიდა სტამბაში. შე ძლიერ გამეხარდა ამისი ნახვა, მაგრამ ამავე დროს გულმა უსიამოვნება იკრძნო.

— კაცო, შენ რამ მოგიყვანა აქ? ვაი, თუ შენც ასოთამწყობლობას აპირებ? — შევეკითხე მე.

— არა, მე წიგნების კინძვა უნდა ვისწავლო; თან წიგნებსაც წავიკითხავ, აქ ბევრი წიგნი ყოფილაო, — მითხრა მისებური მხიარულად ღიმილით კოლამ.

წიგნი მართლა ბევრი იყო ამ უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოსა და წიგნის მალაზიაში. მეწყინა ჩიჭიერი კოლას სკოლის გარეთ დარჩენა.

კოლამ კინძვა ისწავლა და თან წიგნებსაც კითხულობდა.

ამ დროს გაზეთებში შემდეგი სასიამოვნო ამბავი ამოვიკითხე: „ქ. ქუთაისში სამეურნეო სასწავლებელში სახელმწიფო ხარჯით მიიღებენ სოფლის ორკლასიან მოწაფეებს, რომლებიც კარგად (კონკურსით) დაიჭერენ გამოცდასო“.

მე ეს სასიამოვნო ამბავი კოლას წავაკითხე და ვურჩიე, აუცილებლად შესულიყო ამ სასწავლებელში.

— მერე გზის ფული სადა მაქვს!

— გზის ფულს მოგიხერხებ, — ვუთხარი მე, ცოტახნის დაფიქრების შემდეგ. მან თქვა:

— მომზადება რომ მინდა? სად მაქვს წიგნები?

— წიგნებსაც მე გიმოვი, ოღონდ შენ წადი!

ქოლა დამეთანხმა. იმავე დღეს გამოვიტანე მალაზიიდან სახელმძღვანელო წიგნები და გადავეცი ქოლას.

— აჰა, წიგნები, მაგრამ არავინ გაგვიგოს, გასაყიდა, ხომ იცი!

ქოლა შეუდგა ჩუმიდ მზადებას და ერთ კვირაში უკვე მზად იყო გამოცდის დასაჭერად. მე კი ნაცნობებში მოვაგროვე თითო შაურობით გზის ფული და ქოლაც წავიდა ქუთაისში.

ერთი კვირის შემდეგ, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ფორმის ქუდით და გრძელ პალტოში გამოწყობილი ქოლა კარზე მოგვადგა სახეგაბრწყინებულად.

— დავიჭირე გამოცდა, სახელმწიფო ხარჯზე მიმიღეს,—ამბობდა იგი მეტიმეტად გახარებულად.

ამის შემდეგ ქოლა სწავლობს ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელში და საუკეთესო მოწაფეთაც ითვლება, მაგრამ მისი დასრულება აღარ დასცალდა...

ქოლა დარჩა უმწეოდ ქუჩაში. არავინ იყო მისთვის, რომ ეზრუნა და დახმარებოდა. მართალია, ჰყავდა ბიძა, ილარიონ ლომთათიძე. რომელსაც სასადილო ჰქონდა ოზურგეთში და ათასში ერთხელ უმნიშვნელო დახმარებას უწევდა, მაგრამ ამით რას გახდებოდა!...

დაინახეს რა მასწავლებლებმა და ამხანაგებმა ქოლას უტყუარი ნიჭი, უგროვებენ ფულს და აგზავნიან ხარკოვის სამეურნეო სასწავლებელში, მაგრამ დაუდევარ და მუდამ პროტესტანტ ქოლას, არც აქ აყენებენ სკოლის გათავებამდე,—აქაც იგივე ბედი ეწვევა, როგორც ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელში!..

აქედან გამორიცხვის შემდეგ, ქოლა აუტანელ გაჭირვებას განიცდიდა.—ხშირია დღეები, რომ სულ არ ვსადილობ,—იწერებოდა ქოლა.

შემდეგ იწყება პოლიტიკური მოძრაობა და ქოლაც მთელი თავისი არსებით ეწაფება მუშაობას ამ დარგში. მისი შესვენება არ არის. სად არ მუშაობს ქოლა: რუსეთის ქალაქებში, საქართველოში, მეტადრე ფოთში და გურიაში. ფოთში გიგინეიშვილის საბუხჰალტრო კურსებზე შედის ყასიდათ, რომ ექვი არ აიღონ და მუშებში აწყობს წრეებს, ეწევა პროპაგანდა-აგიტაციას. მთელი გურია ხომ მის რაიონად ითვლება. ამიტომ მთელი გურიის მშრომელი გლეხობა კარგად იცნობდა ქოლას და უყვარდათ ის.

მრავალრიცხოვანი მიტინგი სულგანაბული უსმენდა მას. ქოლა არ იყო ორატორი, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, მაგრამ ზედმიწევნით განვითარებული, ნაკითხი იყო; ლაპარაკობდა საგანზე, გასაგებად და ზოგჯერ ისე კომიკურად, რომ ხალხს გულაწანად აცინებდა.

იმართებოდა დისკუსიები; ამხანაგები, თუ რომელიმე პარტიის ლიდერი გამოვიდოდა სალაპარაკოდ, პირველად ჭოლას გამოუშვებდნენ როგორც საუკეთესოდ მომზადებულს. ლაპარაკი იცოდა უბრალოდ, ირონიული ღიმილით, მოპირდაპირესაც კი არ სწყინდა მისი ლაპარაკი. ჭოლა სრულიად უბრალო ადამიანი იყო, შეუმჩნეველი; არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენდა თქვენზე. სანამ დაახლოვებით არ გაიცნობდით, მანამდე ვერც კი წარმოიდგენდით, თუ მას რაიმე სერიოზული მომზადება და დადებითი ღირსება ჰქონდა; იცვამდა სრულიად უბრალოდ. კარგად ჩაცმული ის არავის ახსოვს მანამ, სანამ სათათბიროში არ აირჩიეს დეპუტატად.

არასოდეს თავის პირად ბედნიერებაზე არ ფიქრობდა. თავისთავი, თითქოს, არც კი ახსოვდა. ამიტომ, თითქმის, არ ყოფილა ისეთი დღე, მას კრიტიკული მდგომარეობა არ ჰქონებოდა. ამ მხრით ყველაფერი აკლდებოდა: ტანი, ფეხი, საქმელი, სასმელი, საკუთარი მოსასვენებელი ბინა, მაგრამ ამავე დროს არავის ახსოვს, ჭოლას ვინმე შეეწუხებინოს. შიშობილით მოკვდებოდა და ზელს არავის გაუწვდიდა, არავის შეაწუხებდა, თუ გინდ რაც საუკეთესო ახლობელი მეგობარი და ამხანაგი ყოფილიყო.

სათათბიროში არჩევის წინ ის იმალებოდა, რადგან დასაჭერად დასდევდნენ, მაგრამ როცა აირჩიეს, გამოეცხადა მაზრის უფროს ტოლმაჩევს.

— გთხოვთ მიცნობდეთ, მე ვახლავარ ბიკენტი ლომთათიძე, სახელმწიფო სათათბიროს წევრი, — უთხრა ღიმილით ჭოლამ.

ტოლმაჩევმა ზრდილობიანი სალამი მისცა: — გადარჩი დაჭერას, გაიმარჯვე, არჩევამდი მოსულიყავი, თუ კარგი ბიჭი იყავი-ო, — მიუგო ღიმილით ტოლმაჩევმა.

არჩევულებრივი ხუჭუჭი თნა შეენოდა მის ფართე, ნათელ და მომღიმარე კეთილ სახეს.

გამუდმებით ეწეოდა პაპიროსს, თუ კი ექნებოდა. უყვარდა პირდაპირი ლაპარაკი, სულ ერთი იყო, ვინც უნდა ყოფილიყო, მაგრამ მისთვის ის არავის არ სძულდა...

სათათბიროში დეპუტატად არჩევის შემდეგ, ვნახე უკანასკნელად 1912 წლის დამლევს მეტეხის ციხეში. მომცუს პირადი ნახვის ნება. როგორც სათათბიროს ყოფილ წევრს, შედარებით ზრდილობიანად ეპყრობოდნენ. არასოდეს არ დამავიწყდებდა ეს სურათი: დამინახა თუ არა, შორიდანვე გაშალა ორივე ზეული და ისე ჩამეხვია, როგორც დიდხნის უნახავს საყვარელ შვილს ჩაიკრავს გულში მოსიყვარულე მამა.

ამ დროს მისი ცოლი ცილია და ზუთი წლის ვაჟი ჭოლიკოც მოვი-

დნენ. სადილი მოუტანეს. ჰოლივო იხე გავდა მამას, როგორც გაპო-
ბილი ვაშლი. ჰოლა წუხდა, რომ ბავშვმა ქართული არ იცოდა.

— Ты, что сегодня в целом костюме нарядилась? — შენიშნა
ცილიას ჰოლამ... ეს იყო და ეს, შემდეგ იგი აღარ მინახავს. გვექონ-
და მხოლოდ მიწერ-მოწერა. მეტად წუხდა მისი ნაწერების შესახებ,
რომლებიც გაბნეული იყო და ზოგიც დაკარგული.

ასტრახანიდან მწერდა წერილებს და მთხოვდა, დავხმარებოდი
მის შეკრებაზე. ძლივს ვიპოვე ერთი მოთხოვნა — „სარჩობელას წი-
ნაზე“ — გადავწერე და გავუგზავნე. მწერდა... (იხ. ბარათი № 24).

წერილები ზოგი დამიკარგეს, ზოგიც წამართვეს!... ორი-სამი
შემრჩა მხოლოდ...

ჰოლას სიცოცხლეში არ ეღირსა მისი იშვიათი ნაწერების გამო-
ცემა. — ორი სიტყვით მაინც, ავად ან კარგად, პრესაში ეხსენებია
ვინმეს, თუ გინდ დედა შეეგენებია, ოღონ რალაც ეთქვა ჩემზეო, —
სწერდა ის პოეტ ვ. რუხაძეს.

წელს, მისი გარდაცვალებიდან ათი წლის შესრულების შემდეგ,
როგორც იყო, ეღირსა მის ნაწერებს გამოცემა...

30 მაისი, 1925 წელი“.

*

აქვე ვუმატებთ: ს ი ლ ი ბ ი ს ტ რ ო თ ა ვ ა რ თ ქ ი ლ ა ძ ე და
ჰოლას თანაკლასელი ლე ვ ა რ ს ი დავითის ძე ზ ა მ ბ ა ხ ი ძ ე
მამაჩემთან მოვიდნენ გურიაში. სილიბისტრომ გაიხსენა:

— ჰოლას სიმღერა არ ეხერხებოდა მაინცდამაინც, მაგრამ საკ-
ლასო სიმღერები „შენ ჩემო ღორო ქედაო“... (იხ. ზემოთ) და სხვა-
მშვენიერად იცოდა, და გვიგალობია ერთადო:

„გალიაში რომ გაგზარდე,
ვით მაისის ბულბულიო,
გაფრინდი და წამიხვედი,
რისთვის მომიკალ გულიო!..“

ჰოლამ ისედაც იცოდა წამღერებაო:

„ას ოცი წლის ბებიო,
როდის გათხოვდებიო!..“

ამ სიტყვებს ერთხელ თვითონვე დასძინაო:

როგორც (ქვრივი) ჯაჯიკე (კალანდაძე, ჰოლას თანაკლასელი ლა-
დიკო მეგრელიძის ბებია) გათხოვდება აწი, ისე გათხოვდება ბუჟუ-
ტი-ო (შინაბერა ლ-ძის ქალი იყო).

ისევ სილიბისტრომ გაიხსენა: ჩვენმა თანაკლასელმა ველიკო-
მ-ძემ ლექსის სტრიქონი „უჟურჩალა ჩისტაია ვადა“ ვერა და ვერ და-
იმახსოვრა; გამოკითხვისას მასწავლებელს უთხრა:

„ირკლოი, ვარკლოი, ყუსტაია ვარადა“...

ამან სიცილი გამოიწვია სკოლაში და შემდეგაც რომ ვეტყვოდით ველიკოს, ლექსი თქვიო, ხსენებულ აბდაუბდას იმეორებდა; ეს ველიკოსაც მოსწონდაო.

ჰოლა რაიმე უაზრობას რომ გაიგონებდა, ჩაილაპარაკებდა:

„ირკლიო, ვარკლიო, ყუსტაია ვარადა“—ო

და თვითონვე იცინოდაო.

აქვე აღნიშნეს: ჰოლა არ ითვრებოდა. ისე კი ცოტ-ცოტას სვამდა და იცოდა თქმაო: „წყალში სახე ჩანს, ღვინოში გული“.

*

აპოლონ ივანეს ძე წულაძე (1871—1942; იხ. მისი „ენტოგრაფიული გურია“, თბ., 1971; „მეფუტკრეობა“ და სხვა) საქართველოს სახელმწიფო მწერალთა მუზეუმში დაცულ (№№ 15598—15599) მოგონებაში წერს:

— ჰოლა ლომთათიძეს მე ბავშვობის ასაკიდან ვიცნობდი;—მისი მამა ბიბონი. მაშინდელ გლეხის პირობაზე, დიდი პროტესტანტი გახლდათ.

— არ ინახავდა მარხვას და ხუცებს ამასხარაებდა, პოლიცია-საც კრიჭაში ედგა...

ჰოლაც მამის ტემპერამენტის იყო,—გურული „ეუჭიანი“ და „პირდაპირი, ვით შურდული“,—მისი მოყიდვა არაფრით არ შეიძლებოდა. სოფლის სკოლაშივე იჩინა ჰოლას ნიჰმა თავი,—ნიჭიერ ყმაწვილს თანასოფლელები და მათ შორის მეც განსაკუთრებული ყურადღებით ვექცეოდით. სამკითხველოში დავაყენეთ, ქუთაისის ფერმის სკოლაში მივალდებინეთ. პარტიული მუშაობა 1902 წლიდან დაიწყო და გურულ გლეხობას თავი შეაყვარა. მისი სახელი—ჰოლა მასზე ადრე, გურიაში არავის ერქვა. დღეს კი ასობით არიან ამ სახელისა. ეს არის სიყვარულის გამოხატვა...

ციხეში ჰოლას აწუხებდა ყველაზე მეტად თავის ნაწერების ბედი და მე ვფიქრობ, რომ სწორედ ამის გამო მიწვევდა მენახა იგი ახალციხის ციხეში (იხ. წერილი № 7; ი. მ.). მე, ეს ვერ შევძელ, რადგან მაშინ მეც პატიმარი ვიყავი... რუსული წერილი (№ 26), მიწერილია მის კარგ ამხანაგ, ყოფილ მასწავლებელ ბარნაბ შარაშიძეზე, ხელნაწერი წერილები (№№ 18, 21) კი ჩემ მიერ სისწორით გადმოწერილია ბიძია ილარიონის წერილებიდან და ეს იყო უკანასკნელი.

23. VI. 1933 წ.

*

დავით ციხცაძის მოგონებიდან.

„ბიკენტი ლომთათიძე რაღაც უცნაური და იშვიათი ბუნების

ადამიანი იყო. უდრეკი, უშიშარი, და დაუდგეგარი. მისი გული მედამ ჩაგრულთა მოქომაგე გრძნობით იყო სავსე...

1902 წლის დასაწყისში მე ბველისენაყის სკოლაში მასწავლებლად ვიყავი... ჩემთან ხშირად დადიოდა ჭოლა. ჭიათურიდან ბარათი მივიღე, აქ იმსახურეო. შევეკითხე მეგობრებს. ყველამ მიჩრია ჭიათურაში წასვლა და იქ ჭოლასთვისაც სამსახურის შოვნა. ჭოლამ თქვა: მე საშუალება რომ მქონდეს, დავრჩებოდი სამეგერელოში, მეგრულს შევისწავლიდი, აქაურ გლეხობას დავუახლოვდებოდი და გურულ შეგნებულ გლეხებსა და ბათუმის მუშებს შორის კავშირს შევქმნიდიო...

მე ჭიათურაში სამსახური დავიწყე 1902 წლის 15 ივნისიდან და ჭოლას ქუთაისში წერილი მივსწერე, ჭიათურაში ჩამოსულიყო. მაშინ იგი ქუთაისში მეგულეობდა. ჭიათურაში ჭოლა მალე ჩამოვიდა და დაიწყო სამსახური. მისი მოვალეობა იყო მუშა-ჩაღვაძრების მიერ ჩამოტანილი შავი ქვის მიღებისა და აწონვის ოპერაციისათვის კონტროლი გაეწია.

ჭოლა მალე დაუახლოვდა მაღაროს მუშებს და მათთან მჭიდრო კავშირი დაიჭირა. — ნწონავად იყო ალ. ვაშაკიძე, რომელსაც თურმე ჭოლამ უთხრა: „შენ ხაზეინები... გეუბნებიან, გიბრძანებენ, რომ მუშა ჩაღვაძრებს წონა ნაკლები დაუწერო, მართალია ეს თუ არაო?“

ალექსანდრეს ეპასუხნა, რომ ეს მართალია, მაგრამ მე მათ ბრძანებას არ ვასრულებ და ეს იჯის დავითმაო (მე).

მაშინვე მოვიდა ჩემთან ჭოლა, მიაშბო ეს და თან დაუმატა: „ისეთ საქმეს ჩავიდენ, რომ ხაზეინები ერთხელ და სამუდამოდ გაიგებენ, მუშების დაჩაგვრა მათ არ შერჩებათ“.

ამის შემდეგ ერთ კვირა დღეს შავიქვის ბაქანზე იკრიბებოდნენ ხაზეინები, სადაც მე ვიყავი მიწვეული. ეს ამბავი ჭოლასთვის არ მითქვამს, მაგრამ მან თვითონ გაიგო და აღნიშნულ ალაგას მოვიდა; ხელში ეჭირა გრძელი, ახლად მოჭრილი დიდი ჯოხი. ის იყო, რომ ერთი ხაზეინთაგანი, რომელიც ულაც ლურჯა ცხენზე თავმოწონედ იჯდა, მივითხებოდა: „რად მოიწვიე კონტროლიორად ვილაც ჭეუაზე ხელაღებული და გიყი სოციალისტი, რომელიც ეხლა შენთან ცხოვრობსო!...“

ამას მოჰკრა ყური ჭოლამ, გაცხარდა და ხაზეინს შესძახა: „მე ვარ, თქვე ქურდებო, და მძარცველებო, ის გიყი სოციალისტი, რომელიც მწრომელ ხალხთან ერთად სისხლის ოფლს გამოგადნთ, მალე გაიგებთ, რომ სიმართლე თქვენკენ არ არის, უნდა მოისპოთ, როგორც უფარგისი ადამიანებიო“. და ამ სიტყვებთან ერთად, რაც ძალი და ღო-

ნე ჰქონდა, გრძელი ჯოხი ცხენოსანს მაგრად მისთავაზა, მაგრამ ჯოხი უფრო ცხენს მოხვდა, ცხენი გაჰყენდა დაღმართზე, ხოლო შერცხვენილი ცხენოსანი ცხენს თავს ველარ უკავებდა, თან კი რევოლვერის ამოღებას ცდილობდა. საბედნიეროდ იგი ცხენმა შორს გაიტაცა. ამასობაში, როგორც იქნა, ჭოლა, დიდის ხვეწნით, მოვაშორეთ სახიფათო ადგილს. ის აღელვებული ჰყვიროდა: „მე ჯოხით, ის რევოლვერით, სრულიად არ მეშინია!“..

(ქ. ლომთათიძე. მოთხრობები, I, 1925, გვ. XV—XVI).

*

იოსებ იმედაშვილი (1876—1952). ნაბეჭდი და ზეპირი მოგონებებიდან:

ვამაყობდით ჭოლა ლომთათიძე — დუშის დეპუტატი რომ მეტეხში მოიყვანეს და ჩვენთან იჯდა. გარეგნობით „საიმისოს არას წარმოადგენდა, რაც სახელი ჰქონდა; მუდამ შეუღრეკელი იყო“. ციხის ზედამხედველებს მისი ტყვიასავით ეშინოდათ, — არავის არაფერს არ შეარჩენდა. არამც თუ მას, მისი შიშით სხვა პატიმრებსაც ბევრ უჩიობას აპატიებდნენ ხოლმე. ჭოლა „ცოცხალი მოკამათე და მოსაუბრე იყო, მტერს სპობდა, ჩაგრულს მზრუნველობდა, — ბედს უადვილებდა ბორკილებში მყოფ თანაკუთხელ ნოე ქერქაძეს [მას ჭოლა ნაწერებში იხსენიებს; ტ. II, 1925 წ., გვ. 204; ი. მ.]

ცოლმა რომ უღალატა, ჭოლა მას აღარ იკარებდა. უჭირდა კი, რომ შეილსაც ველარ ნახულობდა..

ჭოლა ციხეში განსაკუთრებით დაეწაფა ძველ ქართულ მწერლობას, — ძველი ენაც უნდა ვიცოდეთ, — ამბობდა.

[„ბიბლია“ ციხეებში ნებადართული წიგნი იყო და უეჭველია, მას ჭოლაც კითხულობდა. ყოველივე ამან შეუწყო ხელი იმ გარემოებას, რომ ჭოლას ნაწერებში ბიბლიისა და ქართული მწერლობის ძეგლების ცოდნაც ჩანს. ი. მ.]

კითხვის გარდა, ჭოლა აქაც სწერდა, ისთარგმნიდა და, რაღაც მანქანებით, ციხის გარეთ გზავნიდა თავის ნაწერებს.. მეტეხის ციხეშივე შევასწორეთ პენრიხ ჰეინეს ბიოგრაფიის კორექტურა...

ეს იყო მას შემდეგ, რაც ჭოლას თარგმანების დიდი ნაწილი მოუსპეს და ამიტომ დასწერა ჰეინეს ლექსების წინასიტყვაობაში: „მთელი ორი წელიწადი ვიშრომე, ვთარგმნე ყველა ლირიკული ლექსები ჰეინესი, ყველა მისი პოემები; ყველა ამას ვასწორებდი, ვადარებდი დედანს და აი, ერთ მშვენიერ დღეს ჩემი ორი წლის ნაშრომი, სხვა ხელნაწერებთან ერთად, შეკრიბეს და ცეცხლის აღში გაწმინდეს, ფერფლად აქციეს. შემდეგ გული აღარ მიმდიოდა ხელახლა შევადგო-

მოლი; ამ შრომასაც შეიძლება, ძველი ხვედრი ხვდენოდა“.

ჰოლა საკუთარ ნაწერებზეც იუწყება.

„დღეს დავხიე, ლუკმა-ლუკმად ვაქციე ყველა მოთხოვნები, შავად დაწერილი; ასე არ ღირდა გადაბეჭდვა და გადაწერას ვინ მოესწრება? მთელი გროვა შედგა. ჩემი სიცოცხლე ასე მოეწყო, რომ ვერასოდეს ვერ გადავიკითხავ არა თუ ხელნაწერებს, თვით ჩემ სიცოცხლესაც“.

— მაგათი სული კი არ იყოს, — ამბობდა ჰოლა, — რა გაჭირვებით ვგზავნი (გარეთ) ნაწერებს და იქ კი ჰკარგავენო...

მეტეხის ციხეში ჰოლას ვთხოვე ავტობიოგრაფია; მან კი თავისებურად გადაიხარხარა— „შენც გინახავს, რალა, ისტორიული პირობო...“ (შდრ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915 წ., № 47, გვ. 5—8; ი. ვართაგავა, ქართველ მწერალთა სილუეტები, თბ., 1956, გვ. 112—113).

*

გაზ. „თანამედროვე აზრის“ (1915 წ. № 112) კორესპონდენტი იუწყება:

კიევიდან სარატოვში ჩასული სტუდენტები ჰოლასთან მივედიო. „ვიხილეთ ჰოლა, ძვალ-ტყავად ქცეული, მხოლოდ მისი ჩონჩხი. ისევ მისმა ტკბილმა მისალმება-გამოხმაურებამ გონს მოგვიყვანა. მაგრამ კიდევ უფრო საკვირველი მაგალითი ეს ჩონჩხი, ეს თითქოს მკვდარი კაცი, მსჯელობს, ბაასობს გაცხარებულად დღევანდელ საკირბოროტო საკითხებზე. იცინის, მასხრობს, გვიამბობს ანეგდოტურ ამბებს თავისი ცხოვრებიდან. სწორედ საკვირველი იყო. ჰოლა სიკვდილს ელოდა. გრძნობდა, დღეს თუ არა, ხვალ-ზეგ აღარ იქნებოდა, მაგრამ უიშედო, ცხოვრებაზე გულგატეხილ სიტყვებს მისგან ვერ გაიგონებდით“.

(იბ. ვართაგავა. ქართველ მწერალთა სილუეტები, თბ., 1956, გვ. 120).

*

მსახიობი შ. ნ. გომელაური გავაცანი ჰოლიკოს. შაქრომ უგინა მას მამინაცვალი, — ნე ჰოლასთან ერთად ვიჭექი 1910—1911 წლებში მეტეხის ციხის კამერაში; ჰოლა ინტერნაციონალისტი იყო, კარგად ეპყრობოდა სომხებს და მათ შორის თქვენს — მამინაცვალსაც. ცილიამ გააგებინა ჰოლას: ადვოკატ რუბენ კატანიანს (იხ. ქვემოთ) მთავრობაც ნდობს და პარტიაც, ეს იქნება შენი გამომძიებელიო. გავგეხარდა, მაგრამ შემდეგ ჰოლას შეგობარმა გვარისკაცმა მოსწერა: ცილია კატანიანთან ცხოვრობსო...

მოვიდა ცილია ამანათით; გალანძლა მამაშენმა, მას კახპაც კი

უწოდა, ამანათიც მიუგდო და შენი თავის წართმევეითაც დაემუქრა,— შენი გაზრდილი ბავშვი მე არ შემეფარებაო... ამაზე დაწერა ი. ინედა-შვილმა. ჩემი მოგონებების პირველ გამოცემაში კი მე ამას გვერდი ავუარე, დედაშენი რომ მოკვდება, ჩემი მოგონებების მეორე გამოცემაში ვამხელ დედაშენსა და მამინაცვალსაცო!...

1. VI. 1959 წელს შალვა დადიანის 85 წლისთავის იუბილეზე შევხვდი შაქროს რუსთაველის თეატრში, ჩვენთან საშა ბურთიკაშვილიც იჭდა. შევახსენე შაქროს ზემოაღნიშნული შემთხვევა და ვთხოვე ეამბო: რაში იყო საქმე.

მან თქვა: ცილია რომ ჭოლამ გალანძლა, აღელვებული დაბრუნდა კამერაში და ბრაზისაგან ცახცახებდა, ერთი ტაშტი სისხლი წააღებინაო... შემდეგ ოფიციალურად მისთხოვდა ცილია კატანიანს.

ჩვენ ორივეს ვაგინებლით, განსაკუთრებით—კატანიანს, საამისო სხვა ფაქტიც გვქონდაო, ... მოკვლას ვემუქრებოდითო...

(თვითონ კატანიანსაც უთქვამს: შუა აზიაში ჭოლას გამო ორი ქართველი ორმოციან წლებშიც კი მოკვლას მიპირებდაო)...

გავიდა ხანი და ცილიამ ჭოლას შეუთვალა: გალანძვისათვის თუ ბოლიშს მოიხდი და სიტყვებს უკან წაიღებ, დაგიბრუნდები, ციმბირშიც კი შენთან ვიცხოვრებო; ჭოლამ ეს არ ქნაო...

•

9. VI. 1957 წელს მარგარიტა თავართქილაძემ მი-თხრა, და შეიძლება ეს ზემოთქმულის გამო მოხდა,—ჭოლამ ერთხელ მოსწერა სილიბისტროს (თავართქილაძე, ლაპარაკობს თავის მეუღ-ლეზე): ბევრი ვაგინე ცილია, მაგრამ ასტრახანში ისევ მნახა, სა-რატოვშიც ჭოლიკო ჩამომიყვანა, გამახარა ამით,—ისევ ჩემზე შესტ-კივა გული. დაბრუნებასაც ფიქრობს, მაგრამ ვერ ვაპატიებ, რაც ჩა-იღინაო...

მ. თავართქილაძე ამბობდა და ჩვენს ოჯახშიც გამიგონია, ჭო-ლას ლანჩხუთში ყავდა საცოლე—თინა წილოსანო; ამას გოგო-ნა ეყოლა, ჭოლას ჰგავდა და მას აკუთვნებდნენო: თინა რომ ჭოლას შეერთო, ალბათ, ბედნიერი იქნებოდაო*.

ამასვე აღასტურებს უცე (ელისაბედ მიხეილის ასული შარაშიძე-ძიძიშვილისა, პროფ. გუჯი ძიძიშვილის დედა. 1958 წ. მაისში გარდა-იცვალა). იგი ამბობდა ზოლმე: ჭოლას კარგად ვიცნობდი. ის ივანე ძიძიშვილისა და ბართლომე კილაძის ოჯახებში დადიოდა (ბართლო-

* ეს თინა ხიდისთავში სტუმრობდა ნინო კალანდაძე-ფოცხო-შვილს. ნინო მას, აქებდა, ცილია კი არ მოსწონდა.

მეს სტამბა ჰქონდა). მე და ბართლომეს მეუღლე ელენე ჰოლას მეტე-
ხშიც ვნახულობდით. ერთ-ერთი ასეთი ნახვის დროს ჰოლამ მარჯვე-
ნა ხელი არ ჩამოშორებდა, — ეს ხელი მაგის ღირსი არ არისო; ცილიამ
მითხრაო, — თქვა ჰოლამო, — შენი საქმისადმი და ჩემდამი შენს ამ-
ხანაგებში ყველაზე უფრო ყურადღებიანი შენი ვეჭილი კატანიანი
გამოდგაო და მადლობის წერილი მიმწერინაო; ის ბარათი ამ ხელმა
დასწერა და მაგი მოსაჭრელი მაქვსო...

აქვე გვაგონდება შემთხვევები. ცილიას ესტუმრა მოსკოვში ზე-
მოხსენებული ქეთევან ჰანიშვილი 1935 წელს. როგორც ადრე მამა-
ჩემისათვის, ჰოლიკო არც მისთვის ეჩვენებინათ. ასევე, როცა ჰოლი-
კომ და მე 1957 წელს მსცოვანი მწერალი ნინო ნაკაშიძე ვნახეთ, მან
ჰოლიკოს უთხრა: მამათქვენმა თქვენი თავი მანდო, მაგრამ დედა-
თქვენი წავიდა წინააღმდეგო. ისე კი ყარგ დამოკიდებულებაში დარ-
ჩა ჩემთან და ნაინც 1936 წელს მოსკოვში ვცადე თქვენი და დედა-
თქვენის ნახვა, მაგრამ მან მაშინ აღარ მიმიღო, გამოვიდა მოსამსახუ-
რე და მითხრა: დიასახლისი ბრძანებს, თბილისიდან სტუმრებს არ
ვღებულობთო!..

*

ჰოლას მამის — ბ ი ბ ო ნ ა ს ნ ა ც ი ნ ო ბ ე ბ ი გ ვ ი ა მ ბ ო ბ -
ღ ნ ე ნ: იგი იყო საშუალო სიმაღლის, ძალიან ენამოსწრებული და
ჰკუამახვილი კაცი. „ვეფხვისტყაოსანი“ და სხვა მრავალი ლექსი ზე-
პირად იცოდა, მეტ სახელად ბ ი ბ ო ნ ა კ ი რ კ ა ყ ა ს ვ ე ძ ა ლ ი თ ო .

ბიბონა საჯაროდ ჩოხა-ახალუხს და ლამაზ წაღებს ატარებდაო.
ერთხელ მას ახალი კალოში სცმია. მისთვის ქალამნიან ნებობელს
უთქვამს: ნეტავ, ერთხელ მაინც გამიყვანა ხალხში მასეთი კალოშით!

ბიბონას უპასუხია: მე შენს ქალამანს ჩავიცვამ და შენ ეს ჩაი-
ცვი, ეკლესიაზე გავიდეთო. იმ კაცმა ნაძლევი დაღვა, — შენ ამას არ
იზამო. ბიბონამ ეს ქმნა და ნაძლევი მოიგოო.

*

აქვე აზნაურ გურგენ ელიაძეზე შევჩერდებით, რადგან
ზოგი მისი თვისება შეტანილია ჰოლას მოთხრობა „მამასახლის თუა-
მე“-ში. ბიბონას ამ ნებობელს თავის მოწონება დაუწყია ერთ ქელეხ-
ში და დაცინვით ბიბონას შეჰხებია, როგორც გლეხსა და მასზე და-
რბის. შემდეგ გურგენის ნეუღლეს სადილის ღომი ბიბონას ოჯახიდან
წაუღია სესხად. გურგენი იწონებდა თავს ასკანელ სიძე აზნაურ მეჭი
ასათიანთან. აი იმ დღეს, როცა გურგენ ქესატად იყო სანოვაგეზე, სა-
ლამო ხანს, სოფლიდან მოშორებით, ღობესთან მიმდგარა ბიბონა და

მექის ხმით დაუძახია: აზნაურო გურგენ ელიაძე, აზნაური მექი ასათიანი გეწვია სტუმრებითო!.. ამ დროს გურგენისას ყოფილა ბიბონას მიერ წინასწარ მიგზავნილი დაი. მასპინძელს მეზობლის ქალისათვის უთქვამს: უნდა გვიშველო რაიმეო!... მობრუნებულა და სტუმრისათვის გაუცია ხმა: მობრძანდით!.

— როგორ მოვბრძანდე, ღღეს თვითონ წასესხები ღომით გაგიტანია თავიო, — ყოფილა პასუხი ისევ მექის ხმით!..

გურგენს უთქვამს ცოლისათვის: კანტურიფხე (სამეგრელოდან ყოფილა კანტურიას ქალი), ნამდვილად მევიჯაყებით (შევრცხვებით) დღესო*.

ერთხელ ბიბონას მტრის ხმით დაუძახია გურგენისათვის: მოვდივარ, აბა, დამიხვდიო!...

გურგენს ცოლისათვის უთქვამს: არიქა, ქალო, თოფი მომეციო!...

*

მეც გამიგონია მამაჩემისა და სხვებისაგან; ჰოლას კი შაქრო გომელაურისათვის უამბია მეტეხის ცხეში: გურგენის ნათლია ონისიმე დოლოძე გარდაცვლილა. ნათლულს ბიბონისათვის უთქვამს: აზნაურ კაცს ამ გლუხს ნუ მატირებ, შენ იტირე ჩემი სახელით, აბაზს მოგცემ და ჩემი არშივიც (არჩივი, ქელეხიდან შინ წასაღები საქმელი) შენი იყოსო.

დაუწყია ბიბონას: „გტირი აზნაურ გურგენ ელიაძის სახელით, გტირი ნათლიას ნათლული...“²⁰ (გვ. 63).

გურგენ ელიაძე არ ყოფილა მამასახლისი, მაგრამ ამბობენ, ჰოლას მოთხრობა „მამასახლის თუაძეში“ შეტანილი ეპიზოდი („ვეფხისტყაოსნის“ შესახებ) ჰოლას ამ გურგენთან შეემთხვაო.

გურგენ ელიაძე 1892—93 წლებში გარდაცვლილა დაახლოებით 70 წლის.

აქ პროტოტიპის საკითხს შევეხეთ. ჰოლა პირდაპირ არ იმეორებს არც სხვა ვინმეს. ჰოლა თვითონ გვაფრთხილებს, რომ მართალია, მის ნაწერებს აქვთ ავტოგრაფიული ხასიათი, მაგრამ იგი არ წერს თავისთავზე. მოთხრობა „საპურობილეში“—ს მესამე თავს უკეთებს შენიშვნას: „ვთხოვ მკითხველს, ერთიანი ავტორიოგრაფიული ხასიათი არ მისცეს ყველა ქვემოთ აღწერილს და აგრეთვე არც იმით, რაც აქამდე წაიკითხა საერთო სათაურით: „საპურობილეში“:

* - ფ ხ ე გურიაში, - ხ ე სამეგრელოში გვხვდება ქალთა გვარების დაბოლოებად. იხ. ჩვენი წერილი ჟურნ. „მნათობი“ 1974 წ. № 10, გვ. 185, ბარათი 5; უფრო ვრცლად ფ ხ ე-ს შესახებ იხ. ქვემოთ, 56 გვერდზე დასახელებული 1958 წლის ნაშრომი, გვ. 133—138.

ზპ. მც-ლი“ (სპირიდონ მცირიშვილი, ტ. II, 1925 წ., გვ. 305).

აქედანვე ისიც ცხადია, რომ არ არიან მართლები ის ცნობილი კრიტიკოსები, რომლებიც ჰ. ლომთათიძის მოთხრობის „სახარობელას წინაშე“ გმირ ჯეიხან ვარდოსანიძეში თვით ავტორს ხედავენ...

უფრო სწორად მიმაჩნია ნაკლებცნობილი კრიტიკოსის ვარ. ზურობის შეხედულება. იგი წერს წერილს „ჰოლა ლომთათიძე“ (იხ. „საქართველოს განათლების მუშაკი“ № 1924 წ.) და აღნიშნავს: „მწერალმა ანდრეევმა დაწერა „Мой зыписки“. შიგ პასიური გმირები გამოიყვანა, ისეთები რომ ციხის კარების გაღების შემდეგაც კი არ გადიან ციხიდან. მეტიც—უკვე თავის ფულით უნდათ ააგონ ციხე... ლეონიდ ანდრეევმა (დაწერა) „Рассказ о повешенных“ მოთხრობის გმირიც უფრო დაბლა დგას, ვიდრე ჰოლას მეტროპოლი გმირები; ესენი დიდი ხალხის ლიტერატურასაც დაამშვენებდა. ჰოლა საწინააღმდეგოა როგორც ტოლსტოის „Непротивление злу“, ისე ანდრეევის ციხისა და ვისმეს წინაშე ქედის მოხრისა“.

ჰოლა მეზობელ იოსებ ზამბახიძის (1979—1942) სიტყვებს ერთგან იოსებ ზაზაძის სიტყვებად გადმოგვცემს: ლეონტი კვაჭანტირაძის კი პირდაპირ იხსენიებს.



ჰოლა თავის წინაპრად ასახელებს შევარდენ ლომთათიძეს.

შევარდენ ლომთათიძის მამა ს. მეწიეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ცხოვრობდა. ამ ადგილს მულურუში ეწოდება. იგი მდ. გობაზოულის ნარცხენა შენაკადის—მდ. კალაშას მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. შევარდენის მამა ს. ჰაჭიეთში გადმოსახლდა ლუგუბას ხევის მარცხენა ნხარეს, მაგრამ ისევ მეწიეთის მრევლს ეკუთვნოდა. მეწიეთ-ჰაჭიეთის მრევლის საზღვარი ორშაბოურის საყანეები იყო.

ს. ჰაჭიეთში მოიყვანა შევარდენმა ცოლად ეზრათი თენგიშვილი ს. ბახვიდანი. ამათი შვილები იყვნენ:

1. ბიბონ, 2. იაგორ, 3. ილარიონ, 4. ლავრენტი და 5. მელინიკი.

ბიბონმა ს. ბახველი ეროდინე ქაიხოსროს ასული ნიკოლაიშვილის (ნესტორის და) შეირთო.

ამათ შეეძინათ შვილები:

1. ინიო (ს. სუფსაში იყო გათხოვილი),

2. ბიქტორ, 3. ვაშალე, 4. გულიზარ (მე-2, მე-3 და მე-4 20 წლის ასაკამდე გარდაიცვალნენ).

5. ჰოლა (მწერალი), 6. ფედოსი (ფეოდოსი, იხ. ზემოთ გვ. 34),

7. სიდონია (იხ. ზემოთ, გვ. 37).

ამგვარად, არაა სწორი, კოლა ლომთათიძის ცნობილ ბიოგრაფიაში რომ ვკითხულობთ, რომ კოლა მეწიეთში დაიბადაო. ის მეწიეთის მეზობელ სოფელ ქაჭიეთში დაიბადა, მაგრამ რადგან ბიბონ და, მაშასადამე, კოლაც, მეწიეთის მრევლს ეკუთვნოდნენ, რასაც იმ დროს მნიშვნელობა ჰქონდა, მეწიეთლებად იწერებოდნენ. (ამავე ნიშნით მამაჩემის ოჯახი ქვენობნის მრევლს ეკუთვნოდა: ტერიტორიით კი—ქაჭიეთს).

მ. ა. კ. ლ. ლ. მ. თ. ა. თ. ი. ძ. ე. (ქ. ბათონის მცხოვრები, მეწიეთის მულერუშიდან) ახლაც იგონებს, რომ მისი დედ-მამა და მათი ახლობლები ნათესაობდნენ კოლას ოჯახს, წინათ გვარის ნათესავი წევრები ერთად იხდიდნენ გვარის ლოცვას და კოლას ახლობლები მულერუში დადიოდნენ ლოცვაზე. და მას არ იხდიდნენ ქაჭიეთში მცხოვრებ მეზობელ ლომთათიძეებთან. ესენი კოლას მხოლოდ გვარისკაცები იყვნენ. მულერუშის ლომთათიძეები კი—მისი სახლკაცები, ე. ი. სისხლით ნათესავეები,—განაყოფები. ამიტომ გვარის ლოცვას სასახლიკაცო ლოცვაც ჰქვიოდა (გვარის ლოცვის შესახებ ი. ი. მეგარელიძე. ლაზური და ნეკრული ფენები გურულში, მოსკოვ-ლენინგრადი, 1938 წ., გვ. 120—128; რუსულ ენაზე).

e

კოლას დედა პატარაობისას გარდაეცვალა ჭლეჩო. ბიბონმა მეორე ცოლი შეირთო.—ასკანელი სიმონ შარაშიძის ასული. მას შვილი არ შესძენია. ამ ქალთან ცხოვრების 6—7 წლის შემდეგ ბიბონი გარდაეცვალა: მისი ქერივი შვილთან წავიდა, რომელიც მას პირველი ქმრიდან ჰყავდა და სურებში ცხოვრობდა.

მიუხედავად იმისა, რომ კოლას დედინაცვალი არ ყოფილა, თურმე, ავი ქალი. მას კოლა ვერ შეეწყო: როგორც ზემოთ ითქვა (გვ. 39), პიძის ოჯახში დარჩა.

მამის გარდაცვალების და პოლიტიკურად დევნისა და პატიმრობის წლებში კოლასთვის ბიძა ილარიონი იგივე იყო, რაც იყო ბიძა ალექსი ეგნატე ნინოშვილისათვის.

ილარიონ ლომთათიძე 18 წელი ცხოვრობდა რუსეთში: იქედან ცოტა ფული ჩამოჰყვა, ოზურგეთში აბანო გახსნა და სასაუზმე მოაწყო. უცოლშვილოდ დარჩა. ეხმარებოდა ძმისშვილებს... დაიკრძალა რევოლუციის შემდეგ მეწიეთის ეკლესიის სამხრეთ კართან შეგარდენ, ეზრათი, ეროდინესა და ბიბონის საფლავებთან.

გიორგი ლომთათიძე ხსენებულ მოგონებებში წერს, კოლამ ოდესელი მდიდარი ებრაელის ქალი შეირთო (ფ. 22). არა, იგი სარატოვში ფურნეების მეპატრონის შვილი იყო.

სოფ. მეწიეთში მკვხოვრები პავლე სოფრომის ძე ლომთაიძე (1875 წ. დაბადებული, სწავლობდა სასულიერო სემინარიაში კობა ჯულაშვილთან ერთად. შემდეგ პედაგოგი, პენსიონერი) ვინახული და ზოგიერთი ცნობის ჩაწერას შემდეგ ვთხოვე, თუ კიდევ რამე მნიშვნელოვანი მოაგონდებოდა. ჩემთვის ეცნობებინა. ის მწერს:

„მოგონებები ბასილეთის სკოლის შესახებ“

ბასილეთის პირველდაწყებითი სკოლა, შემდეგ გადაკეთებული ორკლასიანად, მდებარეობდა ეხლანდელი ს. ხიდისთავიდან ერთ კილომეტრნახევარზე (1 კმ., ი. მ.). ბასილეთის იმიტომ ეწოდებოდა, რომ იგი საზოგადოების შუა დგოლზე იდგა, სოფ. ბასილეთის საზღვარზე;




სურ. 9. კოლას მზრუნველი ბიძა ილარიონ ლომთაიძე

ჩემს ამ სკოლაში სწავლის დროს გვასწავლიდნენ:

1. სერგი კალანდაძე, კაცი პროგრესიული, მან სოფ. ხიდისთავში გახსნა ერთკლასიანი საეკლესიო-სამრევლო სკოლა, იგივე იყო ერთ-ერთი რწმუნებულის ხიდისთავში ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსებისა. ხიდისთავის სამკითხველოს მაშინდელი მთავრობა დახმარებას ფულით არ აძლევდა. შეიქმნა სამკითხველოს კომიტეტი, რომელიც ინახავდა სამკითხველოს, კერძო პირების შემოწირულობით...

მე შევაგროვე ჭოლა ლომთათბესთან დაკავშირებული ფოტოსურათების დედნები, მათგან პირები გადავადლებინე და ვაჩუქე საქართველოს მწერალთა მუზეუმს. ხსენებულთა რამდენიმე ნეგატივებიც კი ამავე მუზეუმის ტოფოარქივში დავტოვე. მსურველს შეუძლია იქ ნახოს სურათები:

1. კოლას სურათი ბორკილებიან პატიმრებთან (ტერორისტი დავით ლორთქიფანიძე),
2. კოლას რების—ფეოდოსის და სიდონიას—სურათი ერთად,
3. ივინივე ცალ-ცალკე,
4. კოლას ბიძის ილარიონის სურათი (ერთზე იგი ორ პოზაშია ჩოხაში),



სურ. 10. კოლას სიყრმის მეგობრები და თანაკლასელები—მარცხნიდან მარჯვნივ: იაგორ, ბართლომე, პროკლე. 11 რიგში — დომენტი და ილიკო მეგრელიძეები

5. იგივე ცალკე, ხალათში,
6. ჰოლას სიძის იაგორ ანთიძის, ამისი მეუღლის ფეოდოსის და უკანასკნელის ბიძაშვილის მაშიკო ლავრენტის ასულის სურათი,
7. ჰოლიკო პატარაობისას „კვერცხის“ ნაკუჭში,
8. ამავე სურათის უკანა მხარეზე რუსულად ჰოლას წერილის ფოტოპირი,
9. პავლე ლომთათიძის სურათი,
10. რაფ. ჩიხლაძე და იმისი მეუღლე ფუნდუ ერთად,
11. მამაჩემის—პედაგოგ ბართლომე მეგრელიძის—სურათი და სხვა სურათები.
12. მწერალთა მუზეუმის ფოტოგრაფ შ. ფურცხვანიძეს გადავალვინე სურათები ჰოლას ნეშტის გადატანის დროს კუკიის სასაფლაოზე და დიდუბის პანთეონში; სურათების ნაწილი ჰოლიკოს წაუღია მოსკოვში, რამდენიმე სურათი და ნეგატივები მწერალთა მუზეუმშია.

იქვეა დაცული ჩვენი ზემოწარმოდგენილი ჩანაწერების უფრო ვრცელი გვერდები და სხვა მასალაც.

20. VI. 1958 წ.

შენიშვნები

1. დ. რამიშვილი წერს: ჭოლას დაკრძალვას ცოლყოფილი ცილია და შვილი (ჰოლიკო) არ დასწრებიან, მიცვალებული სარატოვიდან მოაცილეს ბაქომდე და იმის შიშით, რომ თბილისში ჭოლას ნათესავე-ბმა შვილი არ წამართვანო, ცილია უკან დაბრუნდაო. („ჭოლა ლომთათიძე“, თბ., 1960, გვ. 89). მე ზუსტად აღარ მახსოვს, მაგრამ ნათესა-ვეები მეუბნებიან: ცოლ-შვილი ჭოლას კუბოსთან თბილისშიც იყვნენო.

ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს ისიც, რომ, ცილიას სიტყვებით, ჰოლიკო ამბობდა: ჭოლა კუკიის სასაფლაოს შესავალთან ახლო და-იკრძალაო. (იხ. ზემოთ, გვ. 25).

2. გიორგი ლომთათიძის შესახებ იხ. № 25 ბარათის შენიშვნები (იხ. ქვემოთ, გვ. 89).

3. ჭოლას ბიძაშვილი, პედაგოგი ქეთო იაგორის ასული ლომთათიძე ირწმუნება, რომ მამაჩენი სუფსაში ვაჭრობდა, მა-გრამ ოჯახი და საკუთარი სახლი ოზურგეთში გექონდა; ჭოლა ოზურ-გეთში აქ ჩერდებოდა და ამიტომ არა მხოლოდ მისი სახლი ქაჭიეთში, არამედ ჩვენიც დაწვეს ოზურგეთში და შემდეგ გათხოვილი დის ფლორას (ქმარი—ლანჩხუთელი ივანე ასკურავა) ოჯახში ვცხოვრობ-დით ბათუმშიო.

4. გოგოლისა და ჯიმშეთი ბერეჟიანის ოჯახი კულტურულად მოწინავე და მატერიალურად ძლიერი იყო სოფ. ხი-დისათვისა და ს. ახალშენის საზღვარზე გუბაზოულის პირას. გოგოლი თავქალად ითვლებოდა ხიდისთავში, მასთან დიდი სუფრა არა იშვია-თი იყო... ჭოლას ამ გოგოლისათვის მოუხანთვლინებია თავისი ვაჟი. ნა-თლა ნათლულს მზრუნველობდა.

5. ლუკა ხაბაკას შესახებ დამატებით იხ. ქვემოთ—№ 6 ბარათის შენიშვნები.

6. ცილია (ელისაბედ) ბენიამინის ასული გიდერინს-კაია-ლომთათიძე (1887—1959) დაბადებულია ქ. ნიკოლაევ-ში (უკრაინა), პაპა (ვლადერინსკა), ფრანგი ებრაელი, საფრანგეთიდან

გადმოსახლებულა ჯერ პოლონეთში, შემდეგ—ოუსეთში. ცილიას დედა პოლონელი ებრაელი, გვარად მეტ ყოფილა. ცილიას გათხოვების დროს ოჯახი ნოვოროსიისკში ცხოვრობდა. მშობლები, თურმე, მკაცრად ეკიდებოდნენ გოგონა ცილიას, განსაკუთრებით—მამა. მას ეპვი ჰქონია, ცილია ჩემი შვილი არააო. ცილია ამბობს: ნამდვილი მამაც მნახულობდა კიდევცაო. (იხ. გ. ციციშვილი. კოლა ლომთათიძე, თბ., 1966, გვ. 35).

7. კოლა წინააღმდეგი იყო ფაქტის შელამაზებისა, — იგი რედაქტორებს სწერს: „მადლობელი ვარ, რომ ჩემი ფიზიონომიის შელამაზება სურთ, მაგრამ მე მიჩვენია, ისეთი ვიყო, როგორიც ვარ. ვემხრობით გ. ციციშვილის შენიშვნას (ციტ. ნაშრომში ჟ. ლომთათიძეზე)—ცილიას პიროვნების შელამაზებაც უცდიათ, რასაც ვერ მივბაძავთო.

8. პავლე ალექსის ძე კალანდაძე (1880—1915). მან 1908 წ. დაარსა ახალი მიმართულების კვირეული ჟურნალი „ახალი კვალი“, წერდა მოთხრობებსაც (მაგ., მისი „წითელი საღამო“ უთარგმნიათ ფრანგულად); რამოდენიმეჯერ იყო დაპატიმრებული, წავიდა ევროპაში. პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას დაბრუნდა თბილისში, აქვე გარდაიცვალა და 1915 წლის 26 აპრილს კუკიაზე დაკრძალეს.

9. იგივე განმეორებულა კამათის გაგრძელებისას ჩოხატაურშიც. აქაო,—წერს თ. ულენტი,—კამათის შემდეგ „კენჭის ყრის დროს მიტინგის აბსოლუტური უმრავლესობა მიემხრო მენშევიკებს. სტალინის მხარეზე დარჩა პატარა ჯგუფი“ („1905 წელი გურიაში“, თბ., 1931, გვ. 54—55). გასაგებია, ბოლშევიკებს დაძაბული ბრძოლები სპირდებოდათ გამარჯვებისათვის.

10. ვერა ნიკოლოზის ასული მარგოლინა (1890—1949), რუსი ებრაელი, დაბადებით ასტრახანიდან იყო. 1907 წელს შვეიცარიაში გაიქცა ახალჩასული პოლიტიკური ემიგრანტი თედორე (თევდორე) ვასილის ძე კალანდაძე (1881—1937) და მას მისთხოვდა. დაბრუნდნენ გურიაში: 1913 თუ 1914 წელს თედორე კვლავ პარიჟსა და ჟენევაში გადაიხვეწა... მარგოლინა გრიგოლ მაღალაშვილზე გათხოვდა... თედორე ცნობილია როგორც დებატიისტი; 1905 წელს გურიის სოფელ იანეულში დიდ მიტინგზე მისი გამოსვლა ისე მოსწონებია დამსწრე ნიკო მარს, რომ მან სპეციალურ წიგნში გურიის რევოლუციისაზე (1906 წ.) თედორეს დვთის წყალობა უწოდა (იხ. თ. ულენტი. 1905 წელი გურიაში, 1931 წ., გვ. 58).

ამის თაობაზე აკაკი შანიძემ შენიშნა: ნ. მარს ნათლად მეტყველი ორატორის, ბოლშევიკის „ბერძნული სახელი (თევდორე-თეოდოროს—ღვთის მონიჭებული, ღვთის წყალობა) უთარგმნია ქართულად. ამით მას ორატორი დაუსახელებია, მაგრამ პირდაპირ არ გაუმხელია“. (იხ. მისი „თეოფორული სახელები ქართველურ ენებში“. —ერნ. ელ-ლიტის განყ. „მაცნე“, 1967 წ. № 2, გვ. 197, შნშ.). თ. კალანდაძემ რევოლუციონერის დიდი სახელი ბოლომდე ვერ შეინარჩუნა და დაიღუპა.

11. ეს იყო რუბენ პავლეს ძე კატანიანი (სომხურად ქათანიანი: 1883—1966), ბოლშევიკური პარტიის წევრი 1903 წლიდან. ცხოვრობდა თბილისში და აქ შეირთო პატიმარ ჭოლა ლომთათიძის მეუღლე ელია 1912 წელს. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ 1937 წლამდე მუშაობდა მოსკოვში დიდ-დიდ თანამდებობებზე. გარდაიცვალა მოსკოვში პერსონალური პენსიონერი (იხ. გაზ. „იზვესტია“, 1966 წ. 30 ივნისი, გვ. 4).

12. ამის გამო დაიბეჭდა: ი. მეგრელიძე „ნოი ინიციატორი და მოთავე ჭლომთათიძის ცხედრის ღიდუბის პანთეონში გადასვენებისა“, (იხ. ციციშვილი. ჭოლა ლომთათიძე, თბ., 1966, გვ. 174).

ეს ნოხერხდა საქართველოს კკ-ის მაშინდელი მდივნის ი. ს. დოლიძის მხარდაჭერით. (იხ. „იოსებ მეგრელიძის ნაბეჭდ ნაშრომთა ბიბლიოგრაფია (1930—1972)“, თბ., 1973, გვ. 50: იგივე—კრებულში



სურ. 11. თბილისის კუკიის სასაფლაოდან ჭოლას ნეშტის ღიდუბის პანთეონში გადაკრძალვის დღეს ახალ საფლავთან იოსებ მეგრელიძე, ჭოლას ვაჟი კოლიკო და გიორგი ციციშვილი (1957 წ.)

„ძველი მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები“, წ. IV, 1973, გვ. 194.

13. შდრ. ჯ. ლომთათიძე. მოთხრობები, I, თბ., 1925, გვ. XXV.


14. ეს კუბო თავის დროზე სპეციალურად იყო გაკეთებული თუთიისაგან და ნორჟუქურთმებულ, რის გამოც მასში 300 მანეთი გადაიხადეს. იხ. გ. ციციშვილი, ციტ. ნაშრომი, გვ. 170.

15. უკანასკნელი ბარათი კოლიკოსაგან 1968 წელს მივიღეთ: შემდეგ გარდაცვლილა. დარჩა ერთი ვაეი—საშა, რომელიც დედასთან იზრდება მოსკოვში. ეს არის ალექსანდრე ბიკენტიძის ძე კატანიანი. შდრ. ქვემოთ—№ 30 ბარათის კომენტარები (იხ. ქვემოთ, გვ. 119).

16. დიდი დენისა და მეთვალყურეობის შემდეგ ეს გამოცემაც განხორციელდა (იხ. ზემოთ, გვ. 29).

17. 1917 სასწავლო წლის დასაწყისში ბ. მეგრელიძემ ს. ჰაჭიეთში დააარსა ჯ. ლომთათიძის სახელობის ბიბლიოთეკა. მახსოვს, მან ამისათვის წიგნებით სავსე კალათი განატანა. წიგნები სხვებმაც მოიტანეს. პანტ. ანტ. თავართქილაძემ კი ფული გამოუგზავნა მამაჩემს,—ბიბლიოთეკას მოახმარეთო. 1922 წელს ხიდისთავში და ჰაჭიეთშიც გაუქმდა ეს სახელობითი ბიბლიოთეკები. ნასწ. გრ. ისიდ. ვანიშვილმა (1894—1974) 1935 წ. გადმომცა ჰაჭიეთის ბიბლიოთეკის ბეჭდიანი წიგნი. ბეჭედზე იკითხება:

„ს. ზაზიშვილის უფასო წიგნ-საცავ სამკითხველო დეპ[უტატ] ზოლას ლომთათიძის სახელობაზე“



სურ. 12. ს. ჰაჭიეთის ჰოლას სახელობის ბიბლიოთეკის ბეჭედი.

18. ფედოსი ლომთათიძის შესახებ იხ. № 1 ბარათის შენიშვნები.

19. სიდონია ლომთათიძის შესახებ იხილეთ № 4 ბარათის შენიშვნები.

20. „დაჭირავებით ტირილი“ აღნიშნულია წიგნშიც „აბ. წულაძე. ენთოგრაფიული გურია“, თბ., 1970, გვ. 213—214; შდრ. ზემოთ—გვ. 54.

ჰოლა ლომთათიძის ეპისტოლური მემკვიდრეობა

ტრაგიკული ბედის ადამიანთა სულიერი განცდებებს ასახვის ოსტატი ჰოლა ლომთათიძე (1879—1915) საკუთარი ცხოვრების ეპიზოდებსაც უთმობს ადგილს თავის მხატვრულ ქმნილებებში, მაგრამ აფრთხილებს მკითხველს: ჩემს ნაწერებს „ერთიანი ავტობიოგრაფიული ხასიათი არ მისცეთ“ (იხ. ზემოთ, გვ. 54).

ჰ. ლომთათიძის არც ეპისტოლური მემკვიდრეობა არის მხოლოდ პირადი ამბების თხრობა. ისინი ამძაფრებენ ავტორის თხუზელებებში წარმოდგენილ დროის შესაბამისი საზოგადოებრივი ცხოვრების სურათებს. მთლიანად აღებული ჩვენი მწერლის შემოქმედება სარკე, გამაღიღებელი შუშაცაა რევოლუციის წინაპერიოდის რუსეთის იმპერიის ანტაგონისტურ ძალთა კიდილისა, რეაქციონერთა მიერ მოწინავე ადამიანთა შევიწროება-ღვევისა და რევოლუციონერთა ტანჯვა-წამებისა, უკანასკნელთა უკომპრომისო ბრძოლებისა და უკეთესა შომაველისათვის თავდადებისა.

ჰოლა ლომთათიძეს ხვდებოდნენ და დიდად აფასებდნენ ნისი დროის საზოგადო მოღვაწე თანამემამულენი და პირადადვე იცნობდნენ დიდი რუსი მოაზროვნეები—ვ. ი. ლენინი, გ. ვ. პლехანოვი, ე. დ. სტასოვა, ა. ვ. ლუნაჩარსკი, მწერლები—მ. გორკი, ლ. ანდრეევი, ვ. კოროლენკო და სხვები! გორკიმ მას „ძალიან ნიჭიერი მწერალი“ უწოდა.

ჰოლა წერდა ფსევდონიმებითაც: გერი, სპირიდონ, მცირიშვილი, ლომთათი, ჰ. ოლია, ოლ. ლეჟავა, ლუკა ბოყვიშვილი (იხ. ქვემოთ ბარათი № 6 და გვ. 86), ხასანა, რუსულ პრესაში — ვორობიოვი, ხასან, ანარქისტ.

ჩვენი საუკუნის დასაწყისიდანვე რევოლუციის პროპაგანდისტი 1906 წელს სტოკჰოლმის პარტიული ყრილობის მონაწილე, 1907 წელს მეორე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი—ბიკენტი (ჰოლა) ბიბონის ძე ლომთათიძე, — 55 დეპუტატთან ერთად, გაასამართლეს პეტერბურგში 1907 წლის 22 ნოემბერს. მას სახელმწიფო კანონის 102-ე მუხლით გათვალისწინებულ შეიარაღებული აჯანყების მოწოდებაში დასდეს ბრალი და 5 წლით საკატორღო სამუ-

შაო მიუსაჯეს. მაგრამ როგორც კლექით დაავადებულს, ეს 7-ნახევარი წლის პატიმრობით და შემდეგ სამუდამო გადასახლებით შეუცვალეს.

ამგვარად, ხალხის არჩეულ მეორე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატს პეტერბურგის სასტუმროების საუკეთესო ნომრები ცხებების მყრალი კამერებით შეუცვალეს, — პეტერბურგის, მოსკოვის, კურსკის, ხარკოვის, სევასტოპოლის, ბათუმის, ახალციხის, თბილისის, ბაქოს — 9 ციხე აგემეს და შემდეგ ასტრახანისა და სარატოვის სამოწყალო დავრდომილთა თავშესაფარებში ამყოფეს.

ციხის უსასტიკეს პირობებშიც კი ახერხებდა ჭოლა ბარათების წერას და დაგზავნას, თუმცა აქ მას თვეში მხოლოდ ორი ბარათის მიწერის ნება ჰქონდა მშობლებისა და ცოლ-შვილისათვის.

ამ პირობების შესახებ ბევრს გვაცნობს თვითონ ჭოლას ლიტყვები: ვთარგმნე ჰენრიხ პანენს ლირიკული ლექსები, პოემები, და აი, ერთ „დღეს ჩემი ორი წლის ნაშრომი, სხვა ნაწერებთან ერთად, შეკრიბეს, და ცეცხლის ალში გაწმინდეს, ფერფლად აქციეს...“

შემდეგო, — ჩივის პატიმარი, — „ჩხრეკისა და ასეთების ნოლოდინში“ ეწერ არჩარებულად და ფურცლებს ნაჩქარევადვე ვგზავნი გარეთო, მაგრამ, გასაგებია, სხვადასხვა მიზეზის გამო, გარეთაც ბევრი ბარათი დაიკარგა. ის მცირე ნაწილი, რომელიც კა გადაარჩა (დაწერილია ქართულსა და რუსულ ენებზე) განეკუთვნება სწორედ ავტორის პატიმრობის 1907—1915 წლებს. გადარჩენილ ბარათთაგან ზოგი გამოქვეყნდა, მაგრამ — შემოკლებებითა და ჩასწორებებით!.. რანდენიმე ნათვანის პირველადი პუბლიკაცია ეკუთვნით იოსებ იმედაშვილსა და მიხ. კიაზოშვილს (ხერხეულიძე: „თეატრი და ცხოვრება“, 1915 წ. № 46 და № 47); ეგვეე ბარათები, ზოგი დამატებით, განმეორდა ის. მანწყავას („ჭოლა ლომთათიძე“, თბ., 1925), ს. თავაძის („ჭოლა ლომთათიძე“, მოთხრობები, თბ., 1925), დ. რამიშვილისა და გ. ციციშვილის შემოხსენებულ მონოგრაფიებსა და სხვაგანაც.

მათ ჩვენც ვიყენებთ და ვუმატებთ ჭოლასავე იმ ბარათებსაც, რომლებიც არჩივებსა თუ ავტორის ნათესალებსა და სხვათა ოჯახებშიც გამოვავლინეთ (იხ. შენიშვნები). ყველა ამათ, თუ ასეთი არსებობს, ვაზუსტებთ დედანთა მიხედვით, ვმართავთ რედაქციულად, — შემოკლებულ ან განოტოვებულ სიტყვებს აღვადგენთ ფრჩხილებში: კორექტურულ-პუნქტუაციურ დაზუსტებათა გარდა, გამოვყოფთ ზოგ აბზაცსაც.

ამგვარად, ჭოლა ლომთათიძის ჩვენთვის ცნობილი ბარათები აქ ერთად ქვეყნდება. მათი ავტორი თანამემამულეების დაუდევრობად

თელიდა, რომ ნაკლებად „გვაქვს შენახული ბარათაშვილი, ორბელიანების, ქავჭავაძეების, წერეთლების, ყაზბეგის, ნინოშვილის, კონჯაძის, არდაზიანის და სხვებისა და სხვების წერილები, ხელნაწერები... ჩვენი მოძრაობის ისტორიული საბუთები“ (იხ. ბარათი—№ 6). როგორც აღვნიშნეთ, ასეთსავე დაუდევრობას თუ გაუფრთხილებლობას იჩენდნენ კოლას ბარათების მიმართაც.

ქ. ლომთათიძის ბარათებით დაინტერესებულმა მკითხველმა უნდა გაიცნოს აგრეთვე ავტორისავე დღიურები, რომლებიც ეურნ. „მნათობის“ 1934 წლის № 7—8 (გვ. 198—219) და № 9-ში (გვ. 124—135) გამოქვეყნდა. ეს დოკუმენტი და ნოთხრობა „სიკვდილი“ (დაიბეჭდა „საქმეში“, 1910 წ. № 23), რატომღაც არ შესულა ქ. ლომთათიძის თხზულებათა მეორე გამოცემაში, მაგრამ ორივე უეჭველად უნდა შევიდეს ავტორის ნაწერების აკადემიურ გამოცემაში.


ამ დღიურებშიც მკითხველი იპოვის ბარათებში აღძრული საკითხების დადასტურებასა და დამატებებს. მათ შესახებვე ზოგ დამატებით ცნობას ჩვენ ვათავსებთ წერილთა ტექსტების შემდეგ აქ წარმოდგენილ კომენტარებსა და შენიშვნებში პუბლიკაციის ერთეულთა ნუმერაციის თანმიმდევრობით.

ბარათებს ქართულსა და რუსულ ენებზე ვადგენთ ცალ-ცალკე ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

25. 10. (19) 08

ძვირფასო ძმად იაკობ

მივიღეთ შენი გამოგზავნილი ღვინო, წერილი და კიდევ შენი და ფედოსეს სურათი. ფედოსე ძალიან ცუდი გამოსულა, შენი კი არ ვიცი, ვინაიდან ვერ გიცნობ პირადათ. ღვინო რამდენიმე ბოთლი დაქცეულიყო გზაში, ბოთლები გატეხილიყო, მაგრამ ეს აუცილებელია ასეთ შემთხვევაში. დიდისაგან დიდი მადლობა. მშვენიერი ღვინოა და ამასთან სასარგებლო. დავლიე თქვენი სადღეგრძელო; უბედურება იმაშია, რომ ვერავის დაულიე, მარტო ვარ... ეხლა აი, რას გეტყვი, ზვალ ცილია ამავე აღრესით, როგორც ეს წერილი, გამოგიგზავნის ხუთ მანათს. მიიღო თუ არა ეს ფული, იყიდე ასეთივე ღვინო და რამე ნაირათ გამომიგზავნე. არ გბოდიშობ ამ შეწუხებისათვის იმიტომ, რომ ამ ფულს გარდა კიდევ გამოგიგზავნი, თუ რამდენიც დაკვი-




სურ. 13. დასაწყისი ბარათისა იაკობ ლომთათიძისადმი

რდება ხარჯათ. ღვინოს გამოკვანა ბოთლით ძნელია, ამიტომ გამოგზავნე გუდით და გუდას უკანვე დაუბრუნებ ილარიონს, ესე იგი ილარიონს გამოუგზავნი შენდა გადმოსაცემად. ღვინო იყიდე არა ნაკლებ ორი ფუთისა. თუ სამი იქნება, მით უკეთესი. აქ ბევრი ვართ მაგის მუშტარი და ამასთან, ყოველივე ხუმრობას გარეშე, ამ წუთში მე ვივიწყებ, რომ საქმე მაქვს მოყვარესთან. გვეპირები და გწერ, რაც დაგეხარჯოს ამ ხუთ მანეთის ზევით, აუცილებლათ მომწერე, თუ გინდა, რომ მე მასიამოვნო. თუ მოახერხებ და ფოთში გაგზავნი ღვინოს პეტრე ურუშაძესთან, ჩემი კარგი ამხანაგია, მსახურობს P. O. n. II III, ნავთსადგურის მუშების არტელში და ის გამოგზავნის შემდეგ, მხოლოდ უნდა ეცადო, რომ ღვინო გზაში არ შესვან. ან წყლით არ შეაზავონ. გწერ ამას შენ, რადგანაც უფრო მახლობელი, ამის შესრულება რომ შეეძლოს, არავინ შეგულება ჩვენში. სამ ფუთზე მეტი ღვინო არ არის საჭირო, ხოლო ვიმეორებ, ფასს ვიხდი, აქ გავაკეთეთ ეგრეთ წოდებული „სკლადჩინა“. შენ მხოლოდ შენი შეწუხებისათვის ნუ აიღებ ფასს. საქონელი კი უფულოდ არ გვინდა. მხოლოდ ღვინო იყოს კარგი, ყოველ შემთხვევაში ასეთი და სხვა არაფერი.

• აოკიახვა ყველას, ფედოსას ნუ ეუბნებ[ები].•

(კოლა)



სურ. 14. აბზაცი ბარათიდან იაგორ ლომთათიძისადმი

(კასინე ლომთათიძეს)

მივიღე შენი წერილიცა და ჯანჯუხიცი, დაო კასინე, და დიდათ გმადლობ, რომ გახსოვარ. ძლიერ ვწუხვარ, რომ ავად შექმნილხარ, მაგრამ იმედია, მალე გაივლის, კუჭის ტკივილი არც იმდენი საშიშია, თუ თავს მოუვლი. რაც შეეხება [შენს ქმარს], იმას ტყავს გვაძრობ, შენზე უკეთესს მურტალი ყაძახი ვის იშოვის, რომ შენ დაგივიწყოს, თუ გინდ სიკვდილის შემდეგაც. დიდათ მიხარია, რომ ისეთი ლამაზი გოგო გვეზრდება გვარში, მე ვნახე იმის სურათი. რა თქმა უნდა, დედას ჰგავს, გეთანხმები.

შენი ძმა კოლა.

გაუთხოვარ გოგებს არ ვუთვლი მოკითხვას, ვემდური.

(კოლა)

№ 3

1910 წ. მაისამდე, ბათუმის ციხე

(ალექსანდრე მითაიშვილს)

... ეს მოთხრობა, ალექსანდრე, გამიგზავნე „ახალი სხივის“ რედაქციასში. თუ უნდათ, ეხლავე დაბეჭდონ, თუ სამაისოთ დაბეჭდვას მოხერხებულად იცნობენ, არა ფერი არ გამოტოვონ კი. საზოგადოთ არ მწამს ბელეტრისტული ნაწარმოების „შესწორება“, — არ უნდათ, ნუ ბეჭდავენ და ეს არის. ამას ვთხოვლობ გადაჭრით. ამას გარდა, პოლიოს გავუგზავნე ორი ლექსი და ერთიც ორიგინალური ხელნაწერი, მეგონა ჟურნალის მისი გამოდიოდა. ეხლა გავიგე, რომ საექვოა ჟურნალის სიცოცხლე და რომც იცოცხლოს, თურმე, საჭიროდ უცვნიათ „შეასწორონ“ ჩემი ხელნაწერი?! არამც და არამც, — მე იმასაც მივსწერე და შენ გთხოვ: ეხლა მისწერო ჩემ მაგიერ, არ „შეასწორონ“. თუ არ მოსწონთ — ნუ დაბეჭდავენ, სამივე გადასცეს „ახალ სხივს“, ეგებ იქ დაბეჭდონ, რა თქმა უნდა „შეუსწორებლათ“.

ღიღი მადლობელი ვარ, რომ ჩემი ფიზიონომიის გალამაზება უნდათ, მაგრამ მე მირჩევნია ისეთი ვიყო, როგორც ღმერთმა გამაჩინა, — დიდება მის სახელს. ამიტომ კიდევ ვიმეორებ — ჩემმა სახელმა და გვარმა აგოს პასუხი, თუ რამე სუსტი და მახინჯია ჩემს ნაწერში, ან სულ ნუ ბეჭდავენ. ამას გარდა, ვთხოვ ორივე რედაქციას — „სხივსა“ და „ახალ სხივს“ — შავი არ გამაჩნია ხელნაწერების, ამიტომ, თუ არ დაიბეჭდება, დაგიბრუნონ ხელნაწერები უკან...

სპირდონაი (კოლა).

ძვირფასო ილარიონს!

ეს წერილი, რამე ნაირათ, გაუგზავნე ქობულეთში სიდონიას . . . ჩვენ ყველა კარგათ ვართ. ცილია და ბიჭი მიდიან რუსეთში, ნაალდგომევს დაბრუნდებიან.

ფედოსედან და იაგორიდან არაფერი მიმიღია. მომწეროს ადრესი, რაფერ გაუგზავნო წერილი.

გადაეცი ჩემი წიკითხვაც ყველას—ლავერენტის ოჯახობით, ფედოსას, იაგორს.

სამთარი გათავდა, თუ არა?

შგონი, განოვიდე ციხიდან ათას ცხრასას თორმეტი წლის ქრისტე-შობის თვეში, თუმცა დანამდვილებით არ ვიცი.

შენი კოლა.

№ 5

28 მარტი 1911 წლისა

ძვირფასო ძნაო აუსუფ და დაო სიდონია!

მივიღე დღეს თქვენი წერილი, რომელმაც ძლიერ მასიამოვნა. მე აქანდეც მოგწერდი წერილებს, წარა არ ვიცოდი, სად მომეწერა. თქვენი წერილი ამის მეტად არ მიმიღია, ალბათ დაიკარგა. ამ წერილს ვაგზავნი ილარიონის სახელზე, იმიტომ რომ თქვენი გამოგზავნილი ადრესი არ ვარგა. რომ იწერებით, ჩურუქ-სუში მომწერეთ პასუხიო, ეს ჩურუქ-სუ თქვენს მეტმა ქვეყანაზე არავინ იცის, სად არის და რა არის. არ ვიცი, ქობულეთშია ჩურუქ-სუ, აჭარაში თუ ერუშეთში, ან შაეშეთში. ამიტომ წერილის დაკარგვას ვამჯობინე ილარიონს გაუგზავნო წერილი და თუმცა გვიან მიიღებთ, მარა დაკარგვით არ დაიკარგება. როგორც მიიღოთ ეს წერილი, გამაგებინეთ ნამდვილი ადრესი თქვენი, რანაირათ მოვიწერო, რომ არ დაიკარგოს. ჩურუქ-სუ ქობულეთის ნაწილია, თუ არა. ფოშტა არის, თუ არა ჩურუქ-სუში? შემდეგ ყოველთვის მოგწერ წერილებს.

ახალციხეში ფოშტაც არის და ყველაფერიც. მომწერეთ წერილი ასე: Ахалц их, Тифлис. губ. Елизавете Ломташидзе

მეც, ბავშვიც და ცილიაც კარგათ ვართ. ცილია და ჭოლიკა ამ საალდგომოთ მიდიან რუსეთში ცილიას დედ-მამასთან, ნაალდგომევს დაბრუნდებიან ისევე უკან. მოკითხვა ნესტორს ოჯახობით, მოკითხვა ყველა ნაცნობებს.

გწერს თქვენი ძმა კოლა.

აქ სულ მაჰმადიანები ცხოვრობენ. ან სომხები. ვაპირებ გაათათრებას, თუ თქვენც გაიმება. ერთი თათრის ქალია დამწყვდეული აქ,
70

ლაბაზია, ქმარი მოუტლავს ღამე და იგი უნდა შევიწყო. ლოცვა თათ-
რული ვისწავლე.

ბისმილლაპ რაჰმან რაჰიმ...

ველუროლლის უთხარით—შეგირცხვა ულვაში, რა იქნა შენი
დაპირებული ტარანა და ტყემალის წვენი-თქვა.

შაქაროლი თუ ნაქ არის, მოვიტხვა ჩემს მაგიერ.

ღვთისმშობელი ძეგლი ჩემი ხელსა და სიყვარულს!

მთავარი ჩემი აქვს ნიჭი, ხომარა მთავარი შენთვის
მე აქვარა მომწივი ნიჭი, მამა და ვიყავი ზარ ზარ
შენა. აქვს ნიჭი ანუ ვეფხვი შენთვის. აქვს რაღაც
ამ ნიჭს ვაძლავი იქნებოდა სხვა, იმედი რომ აქვს
ვაძლავი აქვს მისი და ვეფხვი რომ იმედი ზეპირად
მომწივი სიყვარული, ეს ზეპირად აქვს შენს ქვეყნ-
დას. მთავარი იქნის ზარ ზარ და მისი და ვეფხვი
შენი სიყვარული, აქვს მისი და ვეფხვი, ან ვეფხვი
აქვს მთავარი სიყვარული ვაძლავი ვაძლავი ვეფხვი
შენი და აქვს ვეფხვი შენთვის და ვაძლავი შენთვის
და ვაძლავი. სიყვარული შენთვის, ვაძლავი
მთავარი აქვს აქვს, და მთავარი ვაძლავი რომ
შენი და ვაძლავი სიყვარული ვაძლავი ვაძლავი
და მისი: ვაძლავი შენთვის და სიყვარული? ვაძლავი
ვაძლავი მომწივი ნიჭი.

მთავარი და ვაძლავი. მთავარი (ვაძლავი). მომწივი
შენი და: აქვს, მთავარი. და სიყვარული
შენი და ვაძლავი.

შენი და ვაძლავი (ვაძლავი) და ვაძლავი. სიყვარული და

ძმად ლიამ

ერთ რამეს გთხოვ, არა თუ მარტოოდენ შენ, არამედ ყველას— ნაცნობსა თუ უცნობს, ოღონდ კი მეგობრებო იყვნენ ისინი. და ამ ჩემი თხოვნის დაკმაყოფილებაში, დაწმუნებული ვარ, დაინტერესდებით თქვენც, ჩემსავით და მწამს, საშვალებას არ დააკლებთ, თუ რამდენად ეს შესაძლებელი იქნება. საქმე აი, რაშია. როცა ბენია ფოთიდან თფილისში გაგზავნეს, მას სხვა სიბრძნეეთა შორის, ერთი დიდი სიბრძნეე ჩაუდენია—მისი ხელნაწერები—დღურები, მოგონებები, თარგმანები გადაუყვია კაკალასთვის. ესე იგი არა თუ გადაუყვია, კაკალას თვით გამოუტრთვევია ამ პირისთვის, რომელსაც მიბარებული ქონდა ბენიას მიერ, ბენიას სახელით მოუთხოვია. შემდეგ ამისა, კაკალასგან ვერაფერი გაუგიათ, თუ რა უყო ამ უნამუსო ადამიანმა ეს ხელნაწერები და ასლა მომმართეს მე—ეგებ. რამე ნაირათ, შეიძლო ამბის გაცებაო.

მოგეხსენებათ, რა ძვირფასი იქნება, რომ ყველა ჩვენგანი დაუტოვებდეს მომავალს თავის ნახულ-გაგონილ-ნაიჭრალ-გამონაცადს რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამას ისტორიისათვის. მთა უმეტესს გაფაციკებით და გულმოდგინებით უნდა ვაგროვებდეთ ასეთებს და ვინახვდეთ გვეყო ჩვენ, ქართველებს, რაც დაუღვევარი ვიყავით; ჩვენ ხომ ნამდვილი ის ვართ, ვისაც რუსები „Иностранцы родства“-ს ეძახიან. გვაქვს შენახულ ბარათაშვილის, ორბელიანების, ჭავჭავაძეების, წერეთლების, ყაზბეგის, ნინოშვილის, ქონჭაძის, არდაზიანის და სხვების და სხვების წერილები, ხელნაწერები და ასეთები? სად არიან ჩვენი მოძრაობის ისტორიული საბუთები-დღურცლები და სხვები?

ერთი სიტყვით, ღრთა ასეთებზე ვიფიქროთ რა ვიმუშაოთ, პირველხარისხოვანი საქმეა. და რაკი ბენიას ქონია ნაწერები—ნუთუ მოსათმენია იმათა დაკარგვა ვინმე აშარ დედაკაცის მიერ? წინდაწინ გული ბრახით და წყრომით შევსება—ვარ, თუ მართლა იმდენათ დაცემული და გათახსირებული არსება არის ის, რომ აიღო და ეს ხელნაწერებიც ისე შეუტრაცყო და მოსპო, როგორც ავტორი იმათი მოსპო და შეტრაცყო თავის მხრით-მეთქი, თუ ეს მართალი გამოდგა, ნუთუ შეიძლება ამის დაუსჯელათ დატოვება! კაცო, ეს არ მიეჭევება თვით ქართველ ქალსაც კი, რაც უნდა იყოს, წერა-კითხვა იცის, რაც უნდა იყოს, ადამიანის მონათესავეა. პოლიცია, ჟანდარმერია, ყველა ინა-

ხაჯა მასალას, არ სპობს—ნუთუ ნაკაშიძე კაკალა იმათზე დაბლა დგას ზნეობრივით? წინდაწინვე მიპყრობს ბრაზი და გულისწრომა— ვეი, თუ მართლა მოსპო ისინი-მეთქი. ამიტომ გთხოვ, თქვენ მოელაპარაკოთ იმას და რამე წაირათ გამოართვათ ისინი, თუ აქვს შენახული.

თუ ძმა ხარ, კარგა გაიგე ყველაფერი და რაც შეიძლება, ჩქარა ჯამაგებინე, რაში იყოს საქმე! ამასთან გთხოვ მირჩიო: საშიში იქნება, შეეცადე რომ მივწერო წერილი? ხომ არ გადასცემს ვისმეს ისეთს, ხომ არ გამამხელს? ველი საჩქაროთ თქვენს პასუხს ან შენ გამოგიგზავნი წერილს, წაუტოვხავთ იმას და უკანვე წაიღებთ, დახევთ. ერთი გამოლანძღვა მისი რათ ღირს!

სხვა, როგორ ჩაატარეთ დღესასწაულები? რა გითხრა, ბიჭო, საშინელი. „ცხოვ[რების] საქმის აღდგომის ნომერში წაიკითხავდით ილია ბახტაძის „დამწავეთა“. გთხოვ მონახო „კვალის“ (1903 წ.) სააღდგომო ნომერი და იქ მცირიშვილის „ნაზარეველი აღდგა!“ ნახეთ. მაშინ, რომ ქურდი აღდგომასაც ქურდია.

გული იმან დანწყვიტა, რომ ისედაც სუსტი იყო მცირიშვილის ესკიზი და ილია ბახტაძის სავსებით დაუმახინჯებია ის. ასეა, ძმავ, საქმე—ასეთ უმზგავსობას ბეკლავენ და მე უარს მეუბნებიან! რაც უნდა იყოს, ილია ბახტაძეს და გელაზე ნაკლები არ უნდა ვიყო, მგონია. მართალი უთქვამს, ვინც თქვა: ვინც მოკვდა, თავის თავს მოუკვდაო. სასაცილოა, რომ ეს გული ვერ ურიგდება ბედს, სურს ცოცხლებში ერიოს, ცოცხლებს კი არ სურს ის, თუ რა თქმა უნდა, გელა ლორთქიფანიძეს და მისთანებს ცოცხლები ეწოდებათ.

სირცხვილი კია, ჩემ მდგომარეობაში კაცს შურის ძიებით მოეპყრან. მით უმეტეს, რომ მე ეხლა იმათ ვერაფერს დავაკლებ, ხოლო როცა ხელ-ფეხი შეკრული არ მქონდა, ასეთების არ მეშინოდა მე. შენ იცი, თუ არა, რა მიყვეს სათათბიროში, როცა გამგზავნეს ამ პარტიის წევრები? მომიგონეს, ბიჭო, რომ, თითქოს, მე ბარდელში ეგრეთ-წოდებულ „ვიშნობალთ“ ვიყავი და ამ ყოვლად უმზგავსო ცილმა ამასწრო პეტერბურგში.—უპ, ჩემმა მტერმაც ნუ გამოსცადოს ის, რაც მე გამოვცადე ამის გამო. და თუმცა წინათ არ მეგონა, თუ ცილისწამება დაძლევედა—ამან დამძლია, მომწყვიტა წელი და ყოვლად უსარგებლო გამხადა. მიხლოდა, წამსვე უკან დავბრუნებულყავი. მაგრამ ვძლიე თავი, იმიტომ რომ, რომ დავბრუნებულყავი—მკვლელი გავხდებოდი. სირცხვილით ვერას ვამბობდი და ისე ვიხარებოდი ჩემ გულში... ასეთი ბიჭები ურავია ჩემს მოწინააღმდეგეებში და ესენი რომ ფედერალისტების ან სხვა პარტიის ბანაკიდან ყოფილიყო, კიდევ ჰო, მკლავს დღემდე ის, რომ ესენი ჩვენებია, ჩვენი პარტიის... ეპ, ეხლაც ხელი ამიკანკალდა, მაგათი ქოჩი გაწყდა. კმარა,—რაც

ასეთი ცუდი კაცი ვარ, რომ ჩემ წინააღმდეგ ყველაფერი ზომის მი-
ღებაა საჭირო, დაე, ასე იყოს...

იყავი მშვიდობით, მოკითხვა თქვენ ყველას—შენი

ლ უ კ ა ბ ო ყ ვ ი შ ვ ი ლ ი.

№ 7

18 მაისი (1911) ახალციხის ციხიდან

(აპოლონ წულაძეს)

ძ მ ა ო რ ი ყ ა!

მე არ ვიცი, რა ღირს ბორჯომამდე ბილეთი, ბორჯომიდან აქნამდე
კი ეტლი ღირს 3 მანეთი. პირობას გაძლევ, გადავიხადო გზის ფული.
ოლონდ მოდი და მნახე. ისეთი საქმე მაქვს, რომ ჩემი დალუპვა, თუ
დარჩენა, ამაზე ჰკიდია, ვფიქრობ, რომ შეგიძლია დამეხმარო. ამიტომ
გთხოვ, მოდი, მნახე, ამ სიშორეზე წერილს ვერ ვანდობ ვერაფერს.
და რა ვიცი, კიდევ მიიღებ, თუ არა! გთხოვ მოხვიდე, თუ შეგიძლია და
დამეხმარო. იცოდე, ხუმრობა არ არის ეს და თვით გაიგებ, რამოდენა
სათხოვარი ნქონია და რა შეგიძლია, მიშველო. მეთს არას გწერ—
გელი.

შენი ხ ა ს ა ნ (ჭოლა)

№ 8

9 ოქტომბერი (1911).

ძვირფასო ბიძია ილარიონ!

შენი გამოგზავნილი ორმოცი მანეთი მივიღე, რისთვისაც დიდათ
გმადლობ. აქნამდე არ მქონდა საშვალება მომეწერა. ეხლა კარგადაც
ვარ და კარგ პირობებშიც. მოკითხვა იაგორს, ფედოსის, ყველა ნათე-
სავეზს და ნაცნობებს. მომწერეთ წერილი ამ ადრესით ПИПЛИС,
Александровский тюремный замок ჩემთვის.

მოგიკითხა ცილიამ. ჭოლიკა ქართულის სასწავლათ მივაბარეთ
ნინო ნაკაშიძის სკოლაში. ნახვამდის.

შენა ჭ ო ლ ა

№ 9

1912. VI. 7.

(აკიმ ქოჩარიანსა და სხვებს ნაწყვეტები ბარათებიდან)

...საკვირველია, რატომ არავის ვუყვარდები, რატომ არავის
ნოეწონვარ! ბუნებრივად ხომ არა მიშავს რა, ყველგან* გულახდილო-
ბისა, სინდისიერებისა და გულწრფელობის მოტრფიალე ვარ...

გახსოვს ლერმონტოვის სიტყვები:

« Но ты мне душу предлагаешь;

На кой мне черт душа твоя! »

* დაბეჭდილია ყოველთნის; დედანშია ყველგან.

ასეა ძმაო, მიაღე რკინას ხელი, შენგან სითბოს აიღებს, თვით კი
აზრასფერს მოგცემს. ხალხიც ასეა: ყველაფერს იღებს, თვითონ კი
აზრასფერს იძლევა... და სწორედ აქ არის ეგოიზმი...

(ჭოლა)

№ 10

1912. VII. 13.

... თუ ქალი შევიყვარე, მარადის მეყვარება; თუ არადა, ჩემთ-
ვის ქალი არ არსებობს... თავისუფალიც რომ ვიყო, უცხო ეროვნების
ქალს მაინც არ შევიყვარებდი, რადგან მასთან შეჩვევა, შეთანხმება
ძნელია. მით უფრო, რომ ყოველივე ჩემი მშობლიური, ნაციონალური
ძალზე მიყვარს და მისი დათმობა არ შემძლია... თუმცა ახლა ყველას
ვეკუთვნი, ყველანი ჩემი ძმები არიან: ჩინელი, იაპონელი, თათარი,
რუსი, სპარსელი და სხვა... რას უზამ, ყოვლის უძლიერეს საკვირვე-
ლებას წარმოადგენს გული, რომელსაც თავის შიგან ყველაფრის
მოქცევა შეუძლია...

ჭოლა

№ 11

1912. VII. 24.

... ქალ-ვაჟის მეგობრობას საფუძვლად უსათუოდ ვნების აღტყი-
ნება უღევს. მაგრამ თუ ვნება იგი მცირეა, თუ ამ გრძნობას სხვა
რომელიმე გრძნობა სჭარბობს, მაშინ მეგობრობა სიყვარულად ვერ
გარდაიქმნება...

(ჭოლა)

№ 12

1912. VIII. 1.

.. რამდენიმე წლის წინათ ერთ ჩემ კარგ ნაცნობ ქალს საძაგელი
ვუწოდე და აი რათ: სამ ამხანაგს ასამართლებდნენ... ორს კატორღა
მიუსაჯეს, ერთი გაანთავისუფლეს... ერთი იმ ორთაგანის ცოლს, თუ-
რმე, ეს განთავისუფლებული უყვარდა. ქმარს ექვი ჰქონდა, მაგრამ
ცოლი თავის პატროსნებაში აჯერებდა...

განაჩენის გამოტანის შემდეგ, ქალმა ველარ მოითმინა და განთა-
ვისუფლებულს აღტაცებით ულოცავდა. ქმარი მოაგონდა მაშინ, რო-
დენსაც სასამართლოდან მიჰყავდათ... გესმით, სად არის სისაძაგლე?...
ქალს მოვსთხოვე—სისაძაგლე იმითი გამოისყიდე, რომ საყვა-
რელს განშორდი-მეთქი... მაინც შეეთვისა. ამიტომ საძაგელი
ვუწოდე.

სიმკაცრე ჩემი დასავლობია? ის ქალი მთხოვს კიდევ სიტყვის
უკან წაღებას, მაგრამ ვერ გამოვსძებნე ისეთი მიზეზი, რითაც ჩემი
გამტყუნება შეიძლება. ამისთვის სიტყვას უკან არ წავიღებ...

(ჭოლა)

...მიყვარს სილამაზე და ყოველის ულამაზესად ჭკუიანი ქალი მიმაჩნია... აქვე უნდა გამოვტყუდე, ყოველი ვაჟი ქალს უსინდისოდ ექცევა... ჩემი ცხოვრების დღენი ამ საბაგლობის წინააღმდეგ საბრძოლველად მისმარნია, მაგრამ ჯერ მაინც დარწმუნებული ვერა ვარ, დავამარცხე თუ ვერა?! როგორც გენებოთ მიიღეთ და არასოდეს მიკოცნია და მიკოცინებია ისეთ ქალისათვის, რომელიც არა მყვარებია ან არ ვყვარებივარ. ამას ვანაყოფ, ეს ჩემი წმინდა რწმენა იყო, თუმცა კი ბუნებრივად ძალიან ვნებიანი და აღფრთოვანებული ვიყავი...

(ჭოლ ა)

... ნინოზე გაჯავრებული ვარ, რადგან სურათის გამოგზავნას დაჰპირდა და მომატყუილა. აღარც წერილსა მწერს:... თურმე სურს, უწინ მე მიესწერო, მაგრამ ასეთი სურვილი „მემჩანურად“ და ხასიათის დაწვრილმანებად მიმაჩნია,—ამიტომ არც მე ვსწერ... რომ შემხვდეს კიდეც, ჩამოსართმევად ხელს პირველად მე არ გაუწოდებ...

(ჭოლ ა)

მეგობართ აკიმ!

სტუმრად ვიყავი... გრამაფონით ჩვენი საყვარელი ხმა დაუკრეს... ოჰ, ვერ წარმოიდგენ, როგორ ნათლად წარმომიდგა ჩვენი წარსული, შენთან გატარებული დრო... თითქოს შენც გხედავდი—კამერაში შემოსულს... გულმა ცახცახი შექმნა, გონებადაკარგული წამოგვტი და სიხარულით დაგიძახე: „აკიმ, აკიმ!“ ყველა გაოცდა... შეშლილი ვეგონე... გონს მოვედი... განოვიქეცი... მთელი ღამე დავეხეტებოდი...

(ჭოლ ა)

... ყოველი მეგობრობა ეგოისტურია ისევე, როგორც სიყვარული ან სხვა გრძნობა. მეგობრობა და დამოკიდებულება იფუშება იქ, სადაც იფანტება ინტერესები, სულ ერთია, ეკონომიური იქნება, ლიტერატურული თუ ესთეტიკური...

(ჭოლ ა)

№ 17

... ჩემი მწარე ცხოვრების შესახებ წერა მომწყინდა; და აქი
სხვებს სრულიად აღარ ვსწერ, მაგრამ შენ ხომ წარმოიდგენ, მატერია-
ლურად რა მდგომარეობაში ვიქნები! ამას მიუმატე ჩემი კოლიკო,
რომელსაც ამ სიცივეში ყველაფერი სჭირდება: მეც ხომ არც პალტო
მაქვს, არც ფეხსაცმლები, არც ქული... მაგრამ ეკ, როგორც იქნება
გავძლებ, გარეთ აღარ გამოვალ!...

(კ ო ლ ა)


№ 18

4. აპრილი 1914. წ.

ბ ე რ ფ ა ს ო ი ლ ა რ ი ო ნ !

ვილოცავ აღდგომას და დიდათ გმადლობ ფულის გამოგზავნი-
თვის. მე ცოტა ავთ ვიყავი, ეხლა უკეთ ვარ. მოკითხვა ყველას.

შენი კ ო ლ ა



სურ. 16. ბარათი ილარიონ ლომთათიძისადმი

„თეატრსა და ცხოვრებას“ ვლებულობ. მივიღე აგრეთვე ბესიკის ლექსთა კრებულიც—ყველა ამაების გამო დიდ მადლობას გწირავ. იმედია, ჯანსაღად ხარ და მხნეთ, რასაც ჩემ შესახებ ვერ გეტყვი, ამ წყეულმა სიცხეებმა მაინც არაქათი გამომაცალა. ორმოცდა თხუთმეტი გრადუსი სიცხეებია, მოდი და გაუძელი დაცრეცილი ფილტვებით.

ასე თუ ისე ჯერჯერობით ცოცხალი ვარ და შემდეგში რაც იქნება, იქნეს, ჯანიც გავარდეს. ეხლა ჩემი დაპირება უნდა შეევასრულო. მე მოვნახე აქ ჩვენი მეფეების საფლავი.

არსებობს ასტრახანში ძველი, დღეს გაუქმებული, სიმაგრე, ეგრედ წოდებული კრემლი. ამ სიმაგრის ეზოში დგას საკმაოდ ლამაზი, დიდი შენობა, ორსართულიანი სობორო. როცა ამ სობოროში შედიხარ, უკანა კარებით, რა თქმა უნდა, ქვემო სართულში, მარცხენა კედლის დასაწყისს კედელზე აწერია: „აქ ასაფლავიან ქართველნი მღვდელმთავარნი: არქიეპისკოპოსი იოსები + 1 სექტ. 1750 წლ., მიტროპოლიტი რომანოზი +30 იან. 1753 წ., მიტროპოლიტი ტიმოთე +28 ივლ. 1764 წ.“.

«Здесь погребено тела грузинских преосвященных: Архиепископа Иосифа +1 септ. 1750 г., Митрополита Романа +30 янв. 1753 г., Митрополита Тимофея +28 июля 1764 г.».

წარწერა კედელზეა, ხოლო იატაკზე არავითარი ნიშანი არ არის, რომ იქ ვისიმე საფლავი იყოს. გაივლი წინ, საკურთხევლისაკენ, საკურთხევლის წინ დგას ვეებერთელა ოთხკუთხი ბოძი; ამ ბოძის მარცხნივ, თუ პირი საკურთხევლისკენ გაქვს, აწერია რუსულად:

«Здесь погребено тело грузинского царя Теймураза +28 декабря 1861. г. 70 лет.»

ეს 1861 წელი, რა თქმა უნდა, შეცდომა არის.

საკურთხევლის წინ, მარჯვნივ დგას მეორე ასეთივე ბოძი და ამ ბოძის მარჯვენა მხარეზე არის მეორე წარწერა რუსულათვე:

«Здесь погребено тело грузинского царя Вахтанга +26 мар. 1763 г. 88 лет.»

გარდა ამ წარწერებისა, არაფერით არ ჩანს, რომ იქ სასაფლაოებია, თუმცა ასეთივე ნიშნებით მხოლოდ გაიგებ, რომ ამ ტაძარში სხვაც ბევრი მარხია, განსაკუთრებით ადგილობრივი ეპისკოპოზები.

თუ რამეთ გამოგადგება ეს ცნობები შენი შრომისათვის, ფეშქაში.

ამ ცნობების შეკრება დამიჯდა ათი შაური ვერცხლის ფული, მეკარულს კარი გავაღებე, თან გავიყოლე და სხვა. ასე რომ თუ ვინმემ

ჩემზე გითხრას: სამშობლოსათვის მსხვერპლის გამოღება არ შეეძლო, ჩემი ათი შაური წამოსძახე და შეარცხვინე ასეთი პირი.

ხუმრობის გარეშე, გისურვებ ჭანმრთელობას და კიდევ გმადლობ ეურნალისთვის. „კლდისა“, „სახალხო ფურცლისა“ და კიდევ ქუთათურ „იმერეთის“ გარდა, ყველა გაზეთებს ვკითხულობ, რისთვისაც ღმერთს მადლობას ვწირავ. ნახვამდი.

შენი კოლა

№ 20

1914 წ. 13 აგვისტო.

ძ მ ა თ ი ო ს ე ბ,

თფილისის მაგიერ სარატოვში ამოვყავი თავი... ძლიერ ცუდათა ვარ, მაგრამ ეს ჩვეულებრივია, არ ახალი, გისურვებ ჭანმრთელობას...

(კოლა)

№ 21

(1915 წ. აგვისტო, სარატოვი)

ძ ვ ი რ ფ ა ს ო ბ ი ძ ი ა ი ლ ა რ ი ო ნ!

ამ ზაფხულზე ხუთი წერილი გამოვგზავნე, მარა არც ერთზე პასუხი არ მიმიღია, ალბათ, ამ არეულობის დროს, ყველა დაიკარგა. რაც შენგან ფული მივიღე, მას შემდეგ თქვენი არაფერი ვიცი. ამ ორი თვის წინ თედორე ან(დ)ლულაძე ვნახე ასტრახანში და მან მითხრა: ილარიონი მძიმე ავით იყო, მარა ახლა არა უშავს, სიკვდილს გადაჩაო.

მაშინვე წერილი მოგიწერე, მარა პასუხს ვერ ველირსე. მეგონა, მე თვითონ გინახულებდით თქვენ ყველას, კავკასიაში დაბრუნების ნება მომცა მინისტრმა, მაგრამ ჩემი იმედი არ გამართლდა—ნამესტნიკმა, სამხედრო წესების მოხსნამდე, არ მომცა ნება, კავკასიაში დაბრუნდე. ეხლა კავკასიის მაგიერ ქალაქ სარატოვში ამოვყავი თავი. აგერ ვარ, თვეა. აქვე დავრჩები. მთელი ეს ზაფხული სულ ვწევარ, ძლიერ ცუდათ ვარ, მაგრამ გულს მაინც არ ვიტებ და მჯერა, რომ სიკვდილამდე ერთხელ მაინც მოვასწრებ სამშობლო ქვეყნის ნახვას. თუ ეს წერილი მიიღო, მომწერე, როგორ ხარ და როგორ არიან ჩვენები. ყველას მხურვალე მოკითხვა.

შენი კოლა

№ 22

1915 22 აგვისტო, სარატოვი.

ძ ვ ი რ ფ ა ს ო ბ ი ძ ი ა ი ლ ა რ ი ო ნ!

შენი წინანდელი წერილიც მივიღე და ეს ლია. მესაყვედურები, არ იწერებო. მართალია, ხშირად არ ვიწერები, მაგრამ არც ისე უსინდისოთ მოვქცეულვარ, შენ რომ იწერები—თუ მოგეწერა, მივიღებდიო. კარგი ძალიან, შენი საყვედური თუ გინდ თავიდან ბოლომდე

შართალია, მაგრამ XXX-ებს თუ შეეძლო ჩემზე საყვედურის თქმა, ამას ვერ მოვიფიქრებდი,—ამას ქვია, გაღმა შეედავეო. მარა იყოს კეთილად, არც გაღმა ვედავები, არც გამოღმა, იგი მისდაა და მე ჩენდა, მორჩა და გათავდა. იმან მე სისხლი გამიშრო—რამდენჯერ არ მივწერე რამე, აი ეს მიშოვე, აი ეს გამოკეთე, იმასთან ეს ნომიწყვე, ყველა ასეთი წერილი უპასუხით რჩებოდა. რომ შევეკითხებოდე: მიიღე, თუ არა-მეთქი ჩემი წერილი,—შვილები არ მომიკედეს, არ მიმილიაო. მარა თუ აბდლურ წერილს მივწერდი, ასეთი წერილი არასოდეს არ დაკარგულა! მეც დაუსვი ჯვარი. ორასი წელიწადი რომ გავძლოთ მე და იმას, და მან დღეში ხუთი წერილი მომწეროს, ჩემს პასუხს ვერასოდეს ვერ მიიღებს. ძაან უნდა იცოდეს, რეიზა არ ვწერ, მიკვირს მე, რომ მესაყვედურება, სხვებთან ჩემს მტყუვნებას ეცადოს, მის სინდისს წინაშე იყოს ნართალი, აგი ჯობია.

ოცი დღეა, მძიმე ავით ვარ, სიცხე ორმოცამდე აღის. ვერავითარი წამლით ვერ შეიძლეს სიცხის დაკლება, საქმე ალაღებდზეა, გეიარს ყველაფერი, ანდა მშვიდობით, მოვლით ძლიერ მივლიან ეს დალოცვილი რუსი ანხანაგები; ისე მატანენ თვალს, რომ ამ წერილს გამთენიოს ვწერ, მივიძინა იმას, ვინც წუხელის ღამეს მითევდა. აბა, წერილის დაწერის ნებას ვინ მომცემს. მოიკთხვა ყველა მოკეთეს, მომწერეთ, ფულს წერილი მიჩეყვხია თქვენი, ჩემს სიღარიბეს რას უზამს.

შენი კოლა

№ 23

1915 წლ. 29 აგვისტო ქ. სარატოვი.

ბ მ ა ო ს ი ლ ი ბ ი ს ტ რ ო !

მივიღე შენი გამოგზავნილი „მათრახისა“ და „თეატრისა და ცხოვრების“ ნომრები. ძლიერ გმადლობ. „ეშმაკის მათრახსა და „თეატრსა და ცხ(ოვრე)ბას“ უკვე ვლებულობ,—იმედამიღვილს მე თვითონ ვთხოვე და მიგზავნის. შენი მოთხოვნა წავიკითხე, რა თქმა უნდა. საზოგადოთ ერთი დიდი ღირსება გაქვს, რამდენათაც მახსოვს, წინანდელ შენს მოკლე ნაწერებში—ეს ის, რასაც რუსები „Завяшка“, „выдумка“-ს ეძახიან. მაგრამ შენ ჩქარობ ძლიერ, თემას არ ამუშავებ და ამას შეუძლია, შთაბეჭდილება გაანახევროს... ამის მეტს არას ვიტყვი იმიტომ, რომ ძველი შენი ნაწერების მხოლოდ შთაბეჭდილება თუ დარჩენილა ჩემს გონებაში, ხოლო ეს ერთი უკანასკნელი არ კმარა სანსჯელოდ. შენი დატყვევებული წიგნაკი რომ ჩამვარდნოდა ხელში, უფრო ვრცლად მოგელაპარაკებოდი.

ეხლა ერთი დიდისაგან დიდი სათხოვარი. ყველა ჩემ ძველ ნაწერებს ვაგროვებ და ხელახლა შეუდგეი იმათ გადაწერა-შესწორებას, რომ ჩვენი რედაქციების ყიზილბაშური ხელი არ აჩნდეს იმათ,

თუ ვინიცობაა, ოდესმე გამომცემელი გამოუჩნდა იმათ. ვერ ჩავეგდე ხელში მხოლოდ ერთი, რომელსაც სახელად ქვია „ს ა ხ (რ) ჩ ო ბ ე-ლ ა ს წ ი ნ ა შ ე“. ამ მოთხრობის ბეჭდვა დაიწყო 1907 წლ. შემოდგომაზე და როგორც იქნა, დაასრულეს 1908 წლ ზამთარში: თვეში ბეჭდავდნენ ერთსა თუ ორ ფელეტონს, ასკრილად, არეულად, რომ ერთიანად გაექაჩნულენათ მისი გავლენა. ეს მოთხრობა ყველას მი-რჩევნია, ხოლო თუ შეუსწორებელი დარჩა, გადაბეჭდვა იმისი შეუ-ძლებელია. იმედი მქონდა, თფილისში გადმოსვლის ნებას მომცემდ-ნენ და ვფიქრობდი წერა-კითხვის) საზ(ოგადოებ)ის წიგნთსაცავში შეპოვა ეს ნომრები გადასაწერათ. ეს მოლოდინი არ ასრულდა—უარი მითხრეს. ესლა ჩემი თხოვნა ასეთია: მ ო ნ ა ხ ო ვ ი ნ მ ე გ ა დ ა-მ წ ე რ ი და გ ა უ რ ი გ დ ე — რ ა მ დ ე ნ ა თ გ ა დ ა ს წ ე რ ს ა მ მ ო თ ხ რ ო ბ ა ს. ნომრები წერა-კითხვის) საზ(ოგადოება)ში იქნე-ბა—ამაშიც შენ უნდა დაეხმარო, ესე იგი მონახვაში. როცა ღირებუ-ლებას გაიგებ,—მომწერ და სულ რომ სადილის ქამას დავეთხოვო კვირაში რამდენიმეჯერ, ამ ფულს გამოგიგზავნი... შეგიძლია, თუ არა ამისრულო ეს? მეტის მეტად დამავალებ, თუ შეიძლებ, თუ არა და აღარ ვიცი, ვის მივმართო.

მ ე ო რ ე თ ხ ო ვ ნ ა: ერთობ მოწყვეტილი ვარ ქართულ მწერ-ლობას, — „აზრის“ მეტი არაფერი მომდის დღიური. ვთხოვე „სახა-ლხოს“— არ გამომიგზავნეს უფასოთ.

თხოვნა მდგომარეობს შენდევში: მოელაპარაკე ჩვენს გაზეთს— ეგებ შეუძლიათ გადაცვლით მიგზავნონ „სახალხო“. მაგ, ჩვენი რედა-ქცია ვინმე იმათ კაცს გაუგზავნის თავის გაზეთს, ამათი მე,—ასე იქ-ცეოდნენ, სახალციხეში როცა ვიყავი.

მ ე ს ა მ ე: პირველ ივლის „აზრის“ რედაქციას დეპეშა გაუგზა-ვნე: დეპუტატის ადრესი გამაგებინეთ—მეთქი და პასუხის ფულიც გა-დავიხადე,—რვა სიტყვა—56 კაპ. ამას მიუმატოთ კიდევ 30 კაპ., იქნე-ბა 86 კაპ. დღემდე ამ დეპეშის არაფერი ვიცი. ფოსტაში „სპრავეკა“ მოვათხოვინე და გამომიცხადეს, რომ დეპეშა მიღებულა. ვერაფერი გზით ვერ შეურიგდი ამ სიჩუმეს,—მინდა გავიგო, რომელმა წუნკალ-მა წაიყრუა და ეს საპასუხო დეპეშა ჩაიჭიბა! ვთხოვე გადასცე ჩემ მა-გიერ, რომ დიდი ხალისით მივაფურთხებდი, ვინც ამაში დამნაშავეა.

სხვა რა მოგწერო. დიდხანს, მგონი, ველარ ვიცოცხლებ. შენს მტერს, მე რომ დღეში ვარ, არაქათი გამომელია. მაგრამ ამაზე ლაპა-რაკი მეზარება. მოკითხვა მარგარიტას.

შენი. კ ო ლ ა

№ 24

(1915. სარატოვი)

(სილიბისტრო თავართქილაძეს)

... დღეს მივიღე გადაწერილი მოთხრობა („სახარჩობელას წინა-
შე“). რომ იცოდე, როგორ მიხარია, რომ თითქმის, ყველას მოვეუყარე
თავი. მართალია, მე ვერ ველირსები მის წიგნათ დაბეჭდვას, რადგანაც:
დღეს ბევრი სისხლი დავაქციე... სიკვდილი მიხლოვდება, მაგრამ მი-
სი აღარ მეშინია...

კაცო, ეს ომის ბრალაია, რომ ბიჭები გაგიმრავლებია. სირცხვილი-
შენ—მილიტარისტი ყოფილხარ!

მოკითხვა მარგალიტას და დიდი მადლობა შენ. მეტს აღარ შე-
გაწუხებ.

შენი კოლა

№ 25

1915 წ. 21 ოქტომბერი,

ქ. სარატოვი

(გაზეთს სტუდენტებისადმი მადლობა)

უმორჩილესათ გთხოვთ, ამ ბარათის საშუალებით ნება მომცეთ-
დიდი და გულწრფელი მადლობით მიემართო კიევიდან დროებით გა-
დმოხვეწილ სტუდენტებს. (უნივერსიტეტის, კომერციულ ინსტიტუ-
ტის), რომელთაც ერთმანეთს შორის შეაგროვეს ორმოცდაშვიდი
მანეთი და მე გადმომცეს.

ეს ასე, მაგრამ რომელ მადლობაში შემიძლია მე გამოვთქვა ჩემი-
გრძნობა იმ პირთადმი, რომლებმაც აგრე გამაძღეს, თუ შეიძლება ასე,
ითქვას, თავიანთი მუდმივი ჩემდამი ყურადღებით და მუდამ მზად-
ყოფნით—დამეხმარონ, თუ რაიმე შეუძლიათ.

მძიმე ავთ ვარ, მაგრამ ეხლა ვიცი, რომ სრულიათ მოწყვეტილი
მეგობრებს არ მოკვცდები.

(კოლა ლომთათიძე)

კომენტარები და შენიშვნები

ზოგი ბარათი, რომელსაც არ აქვს შენიშვნა, თუ სად ინახება იგი. ჩვენთანაა დაცული. ესენი ჭოლას ზემოხსენებულმა დებმა—ფედოსიმ და სიდონიამ გადმოგვცეს 1930 წლის აგვისტო-სექტემბერში. სიდონია მაშინვე ჩიოდა და შემდეგ მოგვწერა კიდევ: „ჩემთან იყო ნესტორ კეკელიძე, რომელმაც ყველაფერი ამართვა ჭოლას შესახებ,—სურათი, წიგნები და სხვადა დღესაც არ ჩანს“... (1957 წ.), თქვენ შემთხვევით გადაჩინილი წერილები მოგეცითო. სიდონიას ვაჟი—ასლან დადიანიც გვწერს: დედაჩემთან მწერალთა კავშირის სახელით მისულა მიხეილ კეკელიძე და რაც კი რამ ჭოლას გაგვაჩნდა, მას წაუღიაო...

ჩანს, დედა-შვილს ამ კეკელიძის სახელი არ ახსოვთ. ესაა პედაგოგი თეოფილე მარკოზის ძე კეკელიძე. იგი გიორგი ლეონიძესთან იყო დაკავშირებული და მწერლების შესახებ მასალებს აგროვებდა ოჯახებში. მას საქართველოს მწერალთა მუზეუმისათვის 27.XII. 1946 წელს შეუძენინებია ჭოლას შესახებ მახლობელთა მკვლევებები (43 გვ.), 2 ფოტოსურათი ჭოლასი, ფოტოსურათი პოლიოირეთელისა (კალანდაძის), გ. მეგრელიშვილისა (მთის ნიაგი) და სხვა (იხ. მუზ. შემოსულების წიგნი № 5, გვ. 69, საბუთები №№ 011252—011258). ყოველივე ეს ახლაც დაცულია ხსენებულ მუზეუმში, რომელიც უკვე პოეტ-აკადემიკოს გიორგი ლეონიძის სახელობისაა. (ჩვენ მას ქვემოთ—შემოკლებით—მწერალთა მუზეუმად ვახსენებთ).

ჭოლას ბარათების დედნები ჭოლიკოსადმი დედას მიუცია შვილისათვის, როცა ეს 18 წლის გამზდარა. ჩვენ მათი ფოტოპირები გადავიღეთ და ინახება ხსენებულ მწერალთა მუზეუმსა და ჩვენს პირად არქივშიც; დედნები კი ადრესატმა წაიღო მოსკოვში.

შენიშვნებში ვიძლევეთ ცნობებს იმ პირებზე, რომელთა ვინაობის დადგენა შეეძლებოდა.

№ 1

ი ა გ ო რ (ანთიძე), ფერმალი. 1907 წლიდან — მეუღლე ჭოლას დის—ფედოსისა.

ი ლ ა რ ი ო ნ (ლომთათიძე)—ჭოლას მზრუნველი ბიძა. (იხ. ზემოთ გვ. 57, სურ. 9).

კილოური ფორმები ბარათებში: მ ა ნ ა თ ი, ა ბ ლ უ რ ი, (სულელური), რ ე ი ზ ა (№ 23), გ ე ი ა რ ს და სხვა იმიტომ უწერია ავტორს, რომ გურულ კილოზე მეტყველს მიმართავს.

ბარათს ბოლო აკლია.

№ 2

მისამართზე ვკითხულობთ: «Через Озургеты Кут (апсской) губернии, Хидистави. Касине Ломтатидзе».

კ ა ს ი ნ ე (კალანდაძე)-ლომთათიძისა (1880—1957) მასწავლებლის მეუღლე იყო. (შდრ. ბარათი № 28).

ჭოლას სიტყვები „გოგო გვეზრდება გვარში“ ეხება კასინეს ასულს, რომელიც მცირეწლოვანი გარდაცვლილა.

ჭოლა მაშინ პეტერბურგის ციხიდან იყო გადმოყვანილი და 5 თვე აქადა ბათუმის ციხის № 13 კამერაში.

ბარათის დედანი ინახება ადრესატის ასულ პენსიონერ ვალენტიანა ლომთათიძე-კილურაძესთან თბილისში.

№ 3

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე (მიხეილის ძე მითაიშვილი; 1881—1931). დაუსრულებია ოზურგეთის საქალაქო სასწავლებელი და სასოფლოსამეურნეო კურსები მოსკოვში. შემდეგ პედაგოგობდა; ჭოლასთან მეგობრობის გზით 1903 წელს შეირთო ამისი ბიძაშვილი ამილიცა (მარიამ) იაგორის ასული ლომთათიძე (1882—1957).

ალ. მითაიშვილი ჰადაც კი მასწავლებლობდა—ჯუმათსა (აქ ორკლასიანი სასწავლებლის ზედამხედველი—გამგე მასწავლებელი იყო), ჭიათურაში, ქუთაისსა (აქ ჭომის ყოფილ ფერმის სკოლაში); ბათუმსა თუ სხვაგან, ყველგან პროპაგანდისტობდა ცარიზმის წინააღმდეგ. დააპატიმრეს 1904 წელს, განთავისუფლდა 1907 წ. 17 ოქტომბერს მანიფესტით. თანამშრომლობდა გაზეთებსა და ჟურნალებში („კვალი“,

1 ჭოლა ლომთათიძისადმი ალ. მითაიშვილის მხრივ მუდმივ მზრუნველობას იგონებდნენ: ორივეს მეგობრები, აწ განსვენებულნი პედაგოგები: ფოცია კალანდაძე (პოეტ ანა კალანდაძის მამიდა), დავით ფოცხიშვილი (მასზე იხ. ჩოხატაურის რაიონული გაზეთი „კომუნისტური განთიადი“, 1974 წ. 12 მარტი), ისიდორე ლომაძე (იქვე, 1974 წ. 6 აპრილი), ირაკლი ქორიძე (იქვე, 1975 წ. 2 სექტემბერი), ურმალო ჯაში (იქვე, 1975 წ. 4 ოქტომბერი), პარმენ ჭიანიშვილი (ვრცელი ნეკროლოგი იხ. გაზ. „სახალხო განათლებაში“, 1963 წ. 8 მაისი), ქიშვიარდი მეგრელიძე, მალაქი ჩიგოგიძე და სხვები.

„მოამბე“, „განათლება“, „ნაკადული“, „ნოვოე ობოზრენიესა“ და სხვაში), თარგმნა ჩეხოვის, ტოლსტოისა და სხვათა ზოგი მოთხრობა. აგრეთვე—უ. სვეტლოვის წიგნი „კ. მარქსი“ (სახელგამის გამოც., თბილისი, 1921 წ.). შდრ. „თენგიზ ქლენტი, 1905 წელი გურიში“, თბ., 1931, გვ. 35; „გრ. გიორგაძე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში“, თბ., 1928, გვ. 559.

ჭოლას მიერ აღექსანდრესადმი გაგზავნილი მოთხრობის „პირველი მაისის“ დედანის გვერდზე ავტორის ხელითვე აქვს შენიშვნა:

„ვინც გინდა იყო ჩემი კორექტორი, —
ქალი, კაცი, გინდ გასათხოვარი:
შენთან მაქვს ერთი შესახვეწელი,
გთხოვ, ამისრულო ეს სათხოვარი:

ქრისტიანულათ გაასწორო კორექტურა და არა ყიზილბაშურად“. (ხაზი ავტორისაა. ი. მ. იხ. ლიტ. მუზ. 15601; შდრ. ჭ. ლომთათიძე, მოთხრობები, ტ. II თბ., 1925, გვ. 306). აქ გადაკეთებულია მამია გურიელის ლექსის „ადამიანის“ სტრიქონები.

№ 4—5

ილარიონ იხ. № 1. სიღონია—ჭოლას და. იხ. ზემოთ—მოგონებები; შდრ. მურმან მეგრელიძე. კარგი სიტყვა კარგ ადამიანზე—ყურნ. „საბჭოთა ქალი“, 1973 წ. № 9, გვ. 15.

სიღონია 16 წლის შეუერთავს ს. ქობულეთელ უსუფ შერიფის ძე დადიანს (1882—1955) 1907 წელს. იგი ქმრის სოფელში იბრძოდა ჩადრის წინააღმდეგ, ქალებს ასწავლიდა საოჯახო საქმეებს, ინიციატორი იყო სოფელში 1912 წელს სკოლის გახსნისა.

ლავრენტი (ლომთათიძე)—ჭოლას ბიძა, იყო ბიბონის უმცროსი ძმა.

ცილია და ჭოლიკა — ჭოლას ზემოხსენებული ცოლ-შვილი.

ნესტორ (№ 5-ში)—ნიკოლაიშვილი, ჭოლას ბიძა, ცხოვრობდა ს. ბაზვში; მასთან დადიოდა ჭოლა და დიდადაც აფასებდა.

ველუროლი—ჭოლას დისშვილის—ასლან დადიანის ბარათით—ბეჟიოლი. უსუფი ჭოლასთან ერთად ბათუმის ციხის კამერაში ნაჯდომი აჭარელია.

შაქაროლი — ა. დადიანის ბარათით—ხემშილი (მეცხვარე ქურთი)—ხემშინელი ქურთია; დედაჩემი იტყოდაო,—დასძენს. ა. დადიანი, — ჭოლას ამბავი ამ ქურთმა მომიტანა ახალციხიდანაო.

ლუკა ბოყვიშვილი — თვითონ ჭოლა. ხელსთავში ცხო-

ბილი იყო მგზავრთა ბარგის გადამტან-გადმომტანი—ლუკა ბროკი-შვილი მეზობელ სოფელ ზენობნიდან. მას, საქმიანობის მიხედვით, ლუკა ხაბაკასაც ეძახდნენ. ეს ხაბაკა იხსენიება ნოდარ დუმბაძის „დიდროში“ (იხ. აგრეთვე—ჩვენი წერილი ამაზე ჟურნ. „ჭოროხის“ 1975 № 1-ში, გვ. 62—67; შდრ. ზემოთ, გვ. 17).

№6

ამ № 6 ბარათზე ვილაცას მიუწერია „საჩატოვის ციხიდან“.

ჭოლამ, ალბათ, ლუკა ბოყვიშვილი, მიხედვით ლუკა ბროკიშვილისა (ხაბაკასი), შეირქვა იმიტომ, რომ მასაც „ხაბაკის“ ტარება უხდებოდა ციხიდან ციხეში.

ბარათის დედანი ინახება საქ. ლიტ. მუზეუმში—15597.

ლია — სილიბისტრო თავართქილაძე (იხ. ზემოთ—მოგონებები, გვ. 43 და შემდეგი).

ბარათის უხეში ტონი—ბენიას¹ სიბრიყვე ჩაუდენია, კაცალა უნამუსო ყოფილაო, გამოწვეულია ამ ქალის მოქმედებით. თორემ ჭოლა ამბობდა „ჩვენ გვერდს ვუვლით, ვერიდებით მკვეთრ, მყვირალა სიტყვებს“.

მკვეთრი სიტყვები,—მიმართავს ჭოლა ვოინოვს (ა. ვ. ლუნაჩარსკი)—„ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ თქვენ ზიხართ თეთრ ცხენზე ხმლით ხელში“... „როცა ადამიანს თვისი რევოლუციონერობის დასამტკიცებლად არ გააჩნია არაფერი, გარდა ლიტონი ფრაზეზისა და მკვეთრი სიტყვებისა, იგი ემსგავსება მწუხარე სახის რაინდს, რომელიც ჯოხზე ამხედრებულა“ (გ. ციციშვილი, ჭოლა ლომთათიძე, თბ., 1966, გვ. 57—58).

აქვე ცნობად შეიძლება ითქვას: ჭოლას ორტომეულის 1925 წელს გამოცემის მთავარი ინიციატორები იყვნენ სილ. თავართქილაძე, ს. თავაძე, ი. იმედაშვილი და ბ. მეგრელიძე. განთავსების წინ ეს ორტომეული ს. თავართქილაძემ „სახელგამს“ გადასცა გაწეული ხარჯების ანაზღაურებით და იგი „სახელგამის“ მარკით გამოვიდა.

ამ გადაცემის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ჭოლას ყოფილ ცოლს ცილიას მისწერეს: ჭოლას ნაწერებს ვსცემთ, თუ რომელიმე ხელნაწერი გაგაჩნიათ, მოგვაწოდეთ. ნან გამომცემელს აცალა წიგნის აწყობა და შემდეგ შემოთვალა: ავტორის მემკვიდრე ჩემთან

1 ბენია ჩხიკვიშვილი; შდრ. „გ. სიხარულსა, გლახთა რევოლუციური მოძრაობა გურიაში“, თბ., 1958, გვ. 181. მაღლენა თენგიზის ასული ქლენტის თქმით, კაკალა ნაკაშიძე, ბენიას საცოლე იყო, მაგრამ შემდეგ აღარ შეუერთავს.

იზრდება და პონორარი უნდა მომცეთო... ასე, რომ ეს გამოცემა კერძო პირთა ინიციატივის შედეგია (მღრ. ი. მეგრელიძე. მოგონებები ივანე ჯავახიშვილზე.—*ეურნ. უცისკარი*“, 1976 წ. № 10, გვ. 135—136).

ბართლომე გრიგოლის ძე მეგრელიძის (1883—1943) პედაგოგიურ-საზოგადოებრივ მოღვაწეობის შესახებ იხ. აჟარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ტ. VII, ბათუმი, 1972, გვ. 37—44. სხვა ლიტერატურა იქვეა დასახელებული.

ზემონსენებული სოლ. თავადის ერთ-ერთი ხელნაწერი ჭოლას შესახებ დაცულია ლიტ. მუზეუმში—ობოლი მუშის ხელნაწერი 26004, სულ—9 გვ. ეს მოგონებებში არ შევიტანეთ, რადგან იგი უფრო ჭოლას ნაწერების კრიტიკული გარჩევაა. ავტორი ამბობს: „თუ ეგნატე წინოშვილმა გახსნა საქართველოში მესამე დასის მოღვაწეობა, ჭოლა ლომთათიძე არის პირველი რევოლუციის უბადლო მომღერალი და რომანტიკოსი... არავის ისე არ განუცდია ჩვენში რევოლუციის ქარიშხალიანი დღეები და არ ამღერებულა ისეთის ტემპერამენტით, როგორც ჭოლა ლომთათიძე, და ისე სწრაფად გამეფებულ რეაქციის ხანაში არავინ ისე სწრაფად არ დამწვარა უმძიმესი სიკვდილის ცეცხლით, როგორც ჭოლა“.

№ 7

რიჟა — აპოლონ წულაძის (იხ. ზემოთ—მოგონებები) მეტსახელი იყო კონსპირაციისათვის. ჭოლა მას იბარებს ახალციხეში ნაწერების გადასაცემად და საიდუმლო დავალებათა მისაცემად. როგორც აპოლონისაგან გავკვიგონია, იგი ვერ ჩავიდა ახალციხეში—თვითონ იმალებოდა მაშინ. მოგონებებში ჭოლაზე კი წერს: დაპატიმრებული ვიყავიო. (საქ. ლიტ. მუზეუმი, № 15598; ბარათი იხ. აქვე).

№ 8

ილარიონ და სხვები იხ. ზემოთ—№№ 1, 4 და 5 ბარათების შენიშვნები. აწერია მისამართი:

«Озургеты, Кут (ансской) губ (ернии) Ч. В. Б. И: ларнопу Шеварденовичу Ломтатидзе.

№ 9-17

აკიმ ქოჩარიანი — სომეხი სტუდენტი მეტეხის ციხეში. იგი საერთო კამერიდან ჭოლამ თავის ცალკე კამერაში ჩაისახლა. მათ შორის კავშირი აკიმის განთავისუფლების შემდეგაც გრძელდება. იხ. იოსებ იმედაშვილის მოგონებები—*ეურნ. თეატრი და ცხოვრება*“, 1915 წ. № 46 და № 47; მიხ. კიაზოშვილის (ხერხეულიძე) წერილი „ჭოლა ლომთათიძე, როგორც ადამიანი“—*იქვე*, № 51, გვ. 4—5.

აქვეა მოთავსებული ზემოწარმოდგენილი ნაწყვეტები კოლას ბარათებიდან, და რიგი მათგანი დამატებითურთ განმეორებულია ს. თავაძის ნარკვევში. კ. ლომთათიძე, მოთხრობები, II, 1925, გვ. XXIX—XXX. ზოგ ადგილს ნაწყვეტებში ვაზუსტებთ პუბლიკაციებთან შედარებით. აღრესატები შეიძლება სხვადასხვანი არიან.

ბარათ № 10-ში სხვა ეროვნების ქალის აღარ შერთვაზე გამოწვეულია ცოლის გათხოვებით. (შ.დ.რ. ქვემოთ—ვერა მარგოლინა). იქვე ჩანს, რომ ეს არ არის ავტორის მარწამსი,—ცნობილია კოლას იტერნაციონალური განწყობილება.

ნაწყვეტი დაზუსტებულია სხვა პუბლიკაციით.

ბარათ № 12-ში კოლას სიტყვა სხვაზე გადააქვს, მაგრამ ჩანს, ლაპარაკობს თავის ყოფილ ცოლზე.

№ 14 ბარათში ხსენებულ გრამაფონს შ.დ.რ. კოლას მოთხრობა „გრამაფონი“.

„თეატრისა და ცხოვრების“ 1915 წ. № 16-ის გარეკანზე დაბეჭდილია კოლა ლომთათიძისა და ასტრახანშივე გადასახლებული ისიდორე რამიშვილის სურათები. ქვეშ აწერია: „ბიკენტი (კოლა) ლომთათიძე სპ. მცირიშვილი, მეორე სათათბიროს დეპუტატად ნამყოფი, მეფის მოადგილემ ნება დართო, კავკასიაში იცხოვროს“.

მეორე სურათის ქვეშ—„ისიდორე რამიშვილი პირველი სათათბიროს დეპუტატად ნამყოფი, დასჯილი. მეფის მოადგილემ ნება დართო თბილისის გუბერნიაში იცხოვროს“.

ორივეს შესახებ ეგევე მოკლედ გვ. 16-ზეც მეორედება. მაშინდელი ომის გამო ეს ველარ განხორციელდა—ბარათ № 21-ში წერს კოლა: წამოსვლის ნება ნამესტნიკმა აღარ მომცაო.

№ 18

ილარიონ იხ. შნშ. № 1.

№ 19

იოსებ (იმედაშვილი). ბარათი გვათხოვა აღრესატის ვაჟმა გაიოზ იმედაშვილმა. დედანი მასთანვე ინახება. ამის მიხედვით ვავასწორეთ აღრინდელ პუბლიკაციაში შეპარული უზუსტობები. („თეატრი და ცხოვრება“, 1915 წ. № 15, გვ. 7).

კოლას სწორად შეუნიშნავს თეიმურაზ მეფის (II) გარდაცვალების წელი—1861 შეცდომაა,—უნდა იყოს 1761 წელი.

ვახტანგ VI კი გარდაიცვალა 1737 წელს.

იოსებ (იმედაშვილი): დედანი არ ჩანს. დაბეჭდილია აგრეთვე შემოკლებით—„თეატრი და ცხოვრება“, 915 წ. № 47, გვ. 7—8.

ილარიონ იხ. № 1.

ამ ორ ბარათში პირველი უთაროა. მაგრამ შინაარსით 22-ზე აღრინდელია. ლიტ. მუზეუმში დაცულია მათი პირები, რომელთა შესახებ აპ. წულაძე წერს: დედნიდან ზუსტად გადმოვწერეო (საქმე—15599).

№ 23

ს ი ლ ი ბ ი ს ტ რ ო (თავართქილაძე)—იხ. № 6 ბარათის შენიშვნები. მ ა რ გ ა ლ ი ტ ა —ადრესატის მეუღლე. ბარათს გვერდზე აქვს მინაწერი „სიკვდილის წინაშე“—ციხკარი № 3. ეს № 23 ტექსტი შდრ. საქ. ლიტ. მუზეუმის № 15596-ს.

№ 24

ბარათი უთაროა, მაგრამ ცხადია, იგი დაწერილია № 23-ზე პასუხის მიღების შემდეგ—1915 წლის ოქტომბრის პირველ ნახევარში.

ბარათში ხსენებული მოთხრობის—„სახრჩობელას წინაშეს“ გადაწერის თაობაზე ჰოლას „მოთხრობების“ II ტომის (1925 წ., გვ. 305) შენიშვნებში ვკითხულობთ: ეს მოთხრობა „ჩვენი თხოვნით სილ. თავართქილაძემ გადააწერინა“—ო.

მილიტარისტი ყოფილხარო,—ეხუმრება ჰოლა მეგობარს,—პირველი მსოფლიო ომის პერიოდში მეორე ვაჟის შეძენის თაობაზე. ბარათი ს. თავართქილაძის მოგონებებშია ჩართული (იხ. ის. მ ა ნ წ კ ა ვ ა. ჰოლა ლომთათიძე, კრიტიკული ეტიუდი, თბ., 1925, გვ. 47).

№ 25

ამ ერთ უკანასკნელ ბარათთაგანს ჰოლა წერს 1915 წლის 21 ოქტომბერს. იგი ხედავს და გრძნობს, რომ იღევა, მაგრამ სულით მაინც უღრეკია. ორი კვირის შემდეგ (1915 წლის 4 ნოემბერს) ჰოლა გარდაიცვალა. წერილის პუბლიკაცია იხ. იპ. ვ ა რ თ ა გ ა ვ ა. ქართველ მწერალთა სილუეტები, 1956, გვ. 120—121: გ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი. ჰოლა ლომთათიძე, ცხოვრება და შემოქმედება, თბ., 1966, გვ. 246.

„ძმაო მასიკო! უმორჩილესად ვთხოვ, ეს წერილი გაუგზავნო პაიქეს, სოულზე. (პაიქესოულზე, ი. მ.) გიორგი ამბაკოს ძე ლომთათიძეს! შენი ჰოლა“.

ლიტ. მუზეუმშივე ერთ-ერთ ცარიელ კონვერტს აწერია:

«Через оаургегы Кутаисск. губ. Хидистави: Торгопцу Мასиკო Калхидაძე»:

იქვე, გ. ლომთათიძის მოგონებებში (—13465, № 05291, რვეუ-
ლი—I, გვ. 72) ჩართულია ბარათის ტექსტი, რომლის სიზუსტე საექ-
ვოა (ვითარებით ბრუნვაში ჭოლა დ-ს არ წერდა, სტილიც არ ჩანს
მთლად მისი) და ამიტომ ბარათებში არ შევიტანეთ. ისე კი ტექსტს
აქვე ვადგენთ:

„**მ მ ა ო გ ი ო რ გ ი !**

13. II. 14 წელი

შენი წერილი მივიღე და ძლიერ მიხარია. თუ რამე შემიძლია
დაგეხმარო, დიდის სიამოვნებით, გამაგებინე ოლონდ, რაშია საქმე.
ოლონდ მაწუხებს, შეიძლება ეს წერილი ვერ მიიღო, ადრესი არ შე-
მოგივლია და მეც ისე ალაღბედზე ვგზავნი. დიდად გმადლობ ასე-
თი კარგი წერილისათვის. მე შედარებით კარგად ვარ, მხოლოდ ძლი-
ერ მენატრება ჩვენი ქვეყანა და ძველი ნაცნობები. მოკითხვა სადი-
მონეს (დედაჩემის სახელია, გ. ლ.) და მამაშენსაც, თუ ცოცხალია,
ყველა მეზობლებს. მომწერე ადრესით:

«Астрахан. Богодельная Эфименковых. В. Ломтатидзе».

შენი ძმა ჭოლა“.

ხსენებული მუზეუმისავე ერთ-ერთი ბარათის მინაწერში შიფრ
15599-ის მიმართ, შენიშვნაა: წერილი „ნინო შარაშიძისადმი“. შეიძ-
ლებოდა, ჭოლას მართლაც გაეგზავნა ბარათი ცნობილი პედაგოგები-
სათვის—ნინო ქიქოძე-შარაშიძისა და გიგო შარაშიძისათვის ბახვში,
სადაც ჭოლა ბიძის—ზემოხსენებული ნესტორ ნიკოლაიშვილის ოჯა-
ხში დადიოდა და ნინოსაც ნახულობდა, მაგრამ შიფრი 15599 აწერია
ბარათს ბიძისადმი (იხ. № 22) და, მაშასადამე, იგივე ნინოსადმი ვერ
იქნებოდა გაგზავნილი.

დ. რამიშვილმა მონოგრაფიაში „ჭოლა ლომთათიძე“ (თბ., 1960,
გვ. 12) იხსენიებს ჭოლას ბარათს ბარნაბა შარაშიძისადმი 1911 წლის
თარიღით. შეიძლება, ვინმემ ასეთ ბარათსაც დაუწყოს ძებნა, მაგრამ
აქ თარიღშია შეცდომა,—ეს იგივე ბარათია, რომელსაც ჩვენ ვაქვეყ-
ნებთ (იხ. 1907 წ. 31 დეკ., № 26; იხ. ქვემოთ, გვ. 99).

შიფრი № 15. 595—6 უნდა—15595-ბ. ბოლო ნიშანი არაა ციფ-
რი 6, იგი ხ(ელნაწერს) ნიშნავს ისევე, როგორც ამავე მუზეუმის შიფ-

¹ გ ი ო რ გ ი ლ ო მ თ ა თ ი ძ ე დაბადებულა 1887 წელს გურიის ხიდისთა-
ვის თემის სოფ. პაიქესოულში. დაუსრულებელია სოფლის ორკლასიანი სასწავ-
ლებელი. 1905 წელს მეზობლის ბიძს თოფი გავარდნია და გიორგისათვის ფეხი
დაუშავებია, რის გამოც იგი ბათუმში მოუყვეთიათ. ამიტომ გიორგი წერდა კ ო ჭ ლ ი
გ ი ო რ გ ი ს სახელითაც. მოგზაურობდა და აგროვებდა ფოლკლორულ მასა-
ლებს. მასზე ეს ცნობები უნდა შევიდეს დამატებებში წიგნისა“ ქართული ფოლკ-
ლორის ლექსიკონი“, I—სერია „ქართული ფოლკლორი, IV“, თბ., 1944.

რების შემდეგ ი ნიშნავს იკონოგრაფიის ფონდს.

ბარათ № 26-ში ლაპარაკია არა ხიდისთავში გამართულ წარმოდგენაზე, როგორც ამაზე დ. რამიშვილი მსჯელობს, არამედ სოფელ ლესაში ჩატარებულ საღამოზე (იხ. ქვემოთ, № 26-ის კომენტარები).

ისე კი საქველმოქმედო წარმოდგენები და ალეგროები ხიდისთავშიც იმართებოდა. ცნობილია მაშინდელ ხიდისთავში სხვადასხვა დროს დადგმული წარმოდგენები, რომლებშიც მონაწილეობდნენ: მაშინ მომსახიობო თამარ გოგოლაშვილი და მისი მეუღლე მიშა არსენიძე (შენიდეგო ეს ქალი მეორე ქმარზე გათხოვდა), აფთიაქარი ნიკო გეგელაშვილი, ფერშალი სერაპიონ რამიშვილი, დებატისტი რაფიელ ჩიხლაძე, პედაგოგები: პარმენ და სიმონ ჭანიშვილები, ბართლომე და ქიშვარდი მეგრელიძეები, ივანე (მათრახა), პავლე (იხ. ქვემოთ) და პოლიო (ირეთელი) კალანდაძეები, ზოგჯერ—ქოლა ლომთათიძეც. ისევე პედაგოგი ქალები და სხვები.

ბილეთთა გამაყრცელებელნი იყვნენ: გოგოლი ბერეჟიანი, კალისტინე კალანდაძე, შუშანიკა და მარო ჭანიშვილები, სონია გოგიბერიძე და სხვა ისეთი ავტორიტეტული ქალები, რომელთაც ბილეთის შექმნაზე უარს ვერ ეტყოდნენ. ამით მეტ მაყურებელს იზიდავდნენ თეატრში და შემოსავალაც იზრდებოდა.

ზემოწარმოდგენილ №№ 1—25 ბარათთა პუბლიკაციას ვაგრძელებთ ქოლა ლომთათიძის მიერვე რუსულ ენაზე დაწერილი ბარათებით და შენიშვნებსაც სათანადო ნომრების თანმიმდევრობითვე ვიძლევი. მათგან, ორი წერილის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, აქვე ვიმეორებთ ქართულ თარგმანს. ეს ამდიდრებს ავტორის ბიოგრაფიას და ავსებს ზემოწარმოდგენილი ბარათების საერთო შინაარსს.

პირველ მათგანში ავტორი მიმართავს „რუსსკოე ბოგატსტვო“-ს რედაქტორ ვ. გ. კოროლენკოს (მის შესახებ იხ. ქვემოთ). ქოლა 1913 წლის 15 მარტს რედაქტორს სწერს:

„გიგზავნით რუსულად თარგმნილ ჩემსავე ნაწარმოებს „თ ე თ რ ღ ა მ ე ს“ და უმორჩილესად გთხოვთ, გულდასმით წაიკითხოთ. გარდა თქვენ პატივცემულ ჟურნალში ჩემი ნაშრომის დაბეჭდვის სურვილისა, ასე მოქცევას მავალებს ისიც, რომ შესაჭიროება გავიგო, თქვენი გადამწყვეტი აზრი, — შემძლია თუ არა თარგმან? ქართულ ლიტერატურაში კი არის ბევრი ისეთი რამ, რომლის გაცნობა საჭიროა რუს მკითხველისათვის, და, თუ პირველად ჩემი ნაწარმოები ვთარგმნე, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი სტილის, აზრის და გრძობის გადმოცემა უფრო მეადვილებოდა, ვიდრე სხვის ა...“.

(პუბლიკაცია იხ. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915 წ. № 47, გვ. 5; შტრ. ციტ. გ. ციციშვილი. კოლა ლომთათიძე, გვ. 131).

იმავე ადრესატისადმი გაგზავნილი მეორე წერილის (იხ. გ. ციციშვილის ციტ. ნაშრომი, გვ. 121—126) თარგმანია:

„პ ა ტ ი ვ ც ე მ უ ლ ო ბ ა ტ ო ნ ო რ ე დ ა ქ ტ ო რ ო!

ახლა მე იმდენად მოვჯობინდი, რომ წერა შემიძლია და მსურს, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის საზოგადოებრივ აზრს მივმართო. ვიმედოვნებ, რომ ეს ჩემი მიმართვა პპოვეებს ადგილს თქვენი პატივცემული გამოცემის ფურცლებზე.

საქმე ასეთნაირადაა:

მიმდინარე წლის ივლისის პირველ რიცხვებში მე დამეწყო ძლიერი სისხლის დენა პირიდან, რამაც სიცოცხლისათვის ფრიად საშიში ხასიათი მიიღო. მთელი შვიდი დღის განმავლობაში დღეში სამჯერ სისხლი მდიოდა, რის გამოც ერთბაშად დავიკელი წონაში 31 გირვანქით. საჭირო იყო სასწრაფო ზომების მიღება ჩემი გადაარჩენისათვის, ხოლო ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, საჭირო იყო ჩემი, დროებით მაინც, დახსნა იმ მომავლდინებელი პირობებიდან, რომლებშიც მე მიზღვება ცხოვრება.

ეს პირობები კი, აი, როგორია:

ვცხოვრობ ასტრახანის საგუბერნიო ერობის თავშესაფარში, საზოგადოებრივი მეთვალყურეობის ქვეშ. ამ თავშესაფარში გამამწესეს საკატორლო ვადის მოთაფების შემდეგ, მუდმივ გადასახლებაში გაგზავნის ნაცვლად. ამაზე ადრე ავადმყოფობის მიზეზით და გადასახლებულთა შესახებ არსებული წესდების 27 პარაგრაფის საფუძველზე, საკატორლო სამუშაოები შეეცვლილი მქონდა საერთო ხასიათის საპატიმროში ჯდომით.

ჩემი თავშესაფარი მდებარეობს ქალაქ ასტრახანის გარეუბანში, ე. წ. „პარაბიჩის გორაკზე“, უშუალო მეზობლობაში იმ ადგილებთან, სადაც საასენიზაციო ტრანსპორტები ქალაქის უწმინდურებას ღვრიან (ექსკრემენტებს).

თვით გორაკი დასახლებულია, უპირატესად, ასენიზატორებით და თვითეული კომლის ეზო-კარმიდამო გადაქცეულია საასენიზაციო ტრანსპორტისა და ცხენების სადგომად. თავშესაფარის მახლობლად პატარა მინდორია, რომელსაც წყლის ჩასაშვებად გაკეთებული არხი სერავს. გაზაფხულობით, ვოლგის ადიდების დროს ეს ბასენი წყლით ივსება, ხოლო შემდეგ შემორდება და ხრწნას იწყებს, რადგან წყლის ახალ ნაკადს აღარ იღებს. აი, სწორედ ამ დიდ გუბეში რეცხავენ ასენიზატორები თავიანთ ტრანსპორტს, რის გამოც მთელი ზაფხულის განმავლობაში ამ გუბიდან აუტანელი სიმყარაღე სცემს, ხო-

ლო როცა ქარი დაუბერავს, მაშინ ადგილებიდან, სადაც საასენიზაციო ტრანსპორტს ცლიან, ისეთი ჯოჯოხეთური სუნის მოდის, რომ, პირდაპირ, სუნთქვაც კი შეუძლებელი ხდება.

აი, ასეთ ადგილას და ამგვარ პირობებში მიხდება ცხოვრება და სუნთქვა მე, რომელსაც ფილტვებისა და ყელის ქლექი მჭირს. სწორედ ამ პირობებიდან იყო საჭირო ჩემი, თუნდაც დროებით, დახსნა, რათა ავადმყოფობის მკაცრი შემოტევის დროს მაინც მქონოდა საშუალება მესუნთქა სუფთა ჰაერით და არა მსმენოდა საასენიზაციო ტრანსპორტის განუწყვეტელი ბრახაბარუსი ჩემი ფანჯრის წინ. საჭირო იყო სწორად მოვლა და ექიმის მეთვალყურეობა. მეგობრებმა გადაწყვიტეს დავეწვინე წითელი ჯვრის საავადმყოფოში.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ თავშესაფარის ადმინისტრაციას არა მქონია თავშესაფრიდან ჩემი რამდენიმე დღით გამოშვების უფლება. და არც არავის შესძლებია ჩემთვის დახმარების გაწევა, ელემენტარული ადამიანური უფლებების—მკურნალობის უფლების—მოპოვებაში. ძველად ამ უფლებას აპყრიდნენ ხოლმე იმ პირებს, რომელთაც სამუდამოდ კატორღა მქონდათ მისჯილი დედის ან მამის მკვლელობისათვის. მათ მიმართ ეს წესი ახლა გაუქმებულია, ხოლო ჩემს მიმართ იგი, თურმე, დღესაც ძალაში რჩება! იმიტომ ხომ არა, რომ მე დასჯილი ვარ არა მშობლების მკვლელობისათვის, არამედ 102 მუხლის საფუძველზე და აშკარად ყალბი დოკუმენტების მოშველებით.

მე ქვემოთ მომყავს იმ დოკუმენტის ასლი, რომლის საფუძველზედაც საგუბერნიო ერების სამმართველომ არ მისცა საავადმყოფოში ჩემი მოთავსების დასტური.

„იუსტიციის სამინისტრო

საპატიმროების მთავარი სამმართველო

მესამე საქმეთამმართველობა

განკარგულებითი

1913 წლის 23 მაისი, № 17

ცირკულიარულად

გუბერნატორებს, ოლქების უფროსებს, ქალაქთა მმართველებს რადგან ხშირად ებადებათ ექვი, თუ რამდენად შესაძლებელია იმ პირთ, რომელნიც პატიმრობის ვადის გასვლის შემდეგ, თანახმად გადასახლებულთა შესახებ არსებული 27 სტატიისა (1909 წლის გამოცემა) მოთავსებულნი არიან (?) საზოგადოებრივი მეთვალყურეობის თავშესაფრებში—ნება დაერთოთ, დროებით მაინც, მიატოვონ თავშესაფარი და სადმე გაემგზაერონ—საპატიმროთა მთავარი სამმართველო, იუსტიციის სამინისტროს პირველ დეპარტამენტთან შეთან-

ხმებით, აცნობებს თქვენს აღმატებულებას, თქვენის მხრივ სათანადო განკარგულების გასაცემად, რომ ყოველგვარი მიტოვება თავშესაფარისა, კანონში ამის გაუთვალისწინებლობისა გამო; შესაძლებელია ნებადართული იქნას მხოლოდ და მხოლოდ მონარქის მოწყალების მიღების გზით, რომელიც უნდა განსაკუთრებულად იქნას გამოთხოვნილი ყოველკერძო შემთხვევაში...“

აი, სულ ესაა. და უცებ მე, პატიმრობის ვადის შესრულების გამო, თითქოსდა, ციხიდან განთავისუფლებული, კვლავ პატიმრად ვიქეცი და ისიც ისეთ პატიმრად, რომელიც იმ უფლებებსაც კი მოკლებულია, რომლითაც ყოველი ჩვეულებრივი პატიმარი სარგებლობს!

ციხეში რომ ვყოფილიყავი, მე მომათავსებდნენ საავადმყოფოში. ყოველდღე მინახულებდა ექიმი, დამინიშნავდნენ ავადმყოფის ულუფას და უფასოდ მიმეურნალებდნენ. მაგრამ მე ციხეში არა ვარ, მე, ჩემი ჭანმრთელობის მდგომარეობის გამო, გამგზავნეს არა მუდმივ დასასახლებლად ციმბირში, არამედ საზოგადოებრივი მეთვალყურეობის თავშესაფარში და მე არ მაქვს უფლება მკურნალობისა! უბრალო პატიმარს—ნახევრად უსწავლელ ფერშალს—შეუძლიან საავადმყოფოში გაგზავნა ტუსადისა, ხოლო მე ამისათვის უზენაეს მთავრობას უნდა მივმართო...

მაგრამ არა ღირს ამ უგვანო ცირკულარზე ლაპარაკი, ყოველი პატიოსანი ადამიანი ადვილად მიხვდება, რამდენია მასში დაცინვა, დაწიხვვა, წვრილმანი მტრობა, განუკითხაობა და თავისი საქციელის დაუსჯელობის რწმენა იმ ადამიანთა მხრივ, რომელთაც ეს ცირკულარი შეუქმნიათ.

მე მხოლოდ რამდენიმე შენიშვნის გაკეთება მსურს.

პირველი შენიშვნა: წესდების ოცდა მეშვიდე სტატია არსებობს 1845 წლიდან, მაგრამ 1913 წლის 23 მაისამდე არ აღბრუნლა არავითარი ექვი იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ იგი.

შენიშვნა მეორე: საპატიმროთა მთავარი სამმართველოს ცირკულარი № 27, დათარიღებული 1913 წლის 23 მაისით, მომართულია მხოლოდ ჩემს საწინააღმდეგოდ. 1912 წელსაც, 1911 წელსაც და უფრო ადრეც, ციხეებიდან ამწესებდნენ თავშესაფარში, მაგრამ ასეთ დაცინვას არ მიმართავდნენ.

შენიშვნა მესამე: 1913 წლის 28 აპრილს გამოტანილი იქნა თბილისის საგუბერნიო საციხო კომიტეტის დადგენილება, რომელმაც მომიყენა 27-ე სტატია და გამამწესა საზოგადოებრივ თავშე-

საფარში. ეს დადგენილება გავზავნილ იქნა საპატიმროების მთავარ-სამმართველოში და სამი კვირის შემდეგ, მაისის დამლევს, ჩემს „განთავისუფლებასთან“ ერთად, გამოიცა ეს ცირკულარი.

აი, ისტორია. მეტი წერა აღარაც მსურს, კიდევ რომ შემეძლოს... ამიტომ ვათავებ.

კიდევ ერთი, ლამის დამავიწყდა: მონდა აღვნიშნო, რომ ეს ცირკულარი ხელმოწერილია საპატიმროთა მთავარი სამმართველოს უფროსის გრანის მიერ. უმართებულო იქნებოდა, არ აგველნიშნა ის გარემოება, რომ ბატონმა გრანმა იგი შეთხზა არა მარტომ, არამედ იუსტიციის სამინისტროს პირველ დეპარტამენტთან ერთად. ეს დეპარტამენტი იმ „სამართლიანობის“ სამინისტროს ეკუთვნის, რომლის სათავეში თვით შჩეგლოვიტოვი დგას. წინამდებარე წერილით მე მიხდოდა მეცნობებინა თქვენთვის, რომ ცირკულარმა ჩემამდე მოაღწია, მე იგი წავიკითხე, საკუთარ ტყავზე გამოვცადე და რომ მათ შეუძლიან კმაყოფილნი იყვნენ, სასიციხვილო არაფერი სჭირთ.

II სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი წევრი

ბ(იკენტი) ლ ო მ თ ა თ ი ძ ე

არც ერთმა ლიბერალურმა გაზეთმა ეს ჩემი წერილი არ დაბეჭდა. მოგმართავთ თხოვნით, ეგება, თქვენ შესძლოთ მისი გამოქვეყნება. თანახმა ვარ შემცირებაზეც კი. არა უშავს, რომ ვერ მომისწრებ. პატივისცემით.

ბ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე

ასტრახანში, 6 აგვისტო, 1914 წელი“.

დედანი იხ. ქვემოთ № 34.

აღრესატი ვლადიმერ გალაკტიონის ძე კოროლენკო (1853—1921) — რუსი გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე—დემოკრატიული იდეების გამოვლინებისათვის 6 წელი ყოფილა გადასახლებული.

ჭოლას წერილი ჟურნალს ვერ გამოუქვეყნებია; ორგანოს თანამშრომელ პეშეხოვოვის არქივთან ერთად ეს წერილი ვ. ი. ლენინის სახ. ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში მოხვედრილა და იგი 1964 წელს გამოავლინა საქართველოს მწერალთა მუზეუმის თანამშრომელმა ს. ლეკიშვილმა, ჩამოიტანა თბილისში და, როგორც ზემოთ მოვეთითეთ, გ. ციციშვილმა გამოაქვეყნა. (ზღრ. ქვემოთ, № 34-ის შენიშვნები).

წერილში ნახსენები ი. გ. შჩეგლოვიტოვი ყოფილა „რეაქციონერი და ჯალათი, მეფის რუსეთის დიდი მოხელე, იუსტიციის სამინის-

ტროს I დეპარტამენტის მმართველი, შემდეგ—იუსტიციის მინისტრი (1906—15 წლებში) შავრაზმელი, II და IV სათათბიროს სოც-დემოკრატიული ფრაქციების წინააღმდეგ მიმართული სასამართლო პროცესის ინიციატორი“ (ი. ციციშვილი, ციტ. წიგნი, გვ. 125).

* * *

ზედმეტი არ იქნება აღინიშნოს, რომ 1959 წელს ადგილობრივებმა დაგვიჭირეს მხარი და ზიდისთავის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლას მწერალ ჭოლა ლომთათიძის სახელი მიენიჭა. პედაგოგმა კოკისა კალანდაძემ ვახტანგ ბოტკოველს ჭოლა ლომთათიძის ბიუსტი ქვაზე გამოაკვეთინა; ახლა იგი ხსენებულ სკოლაში დგას. ასევე მახლობელი საშუალო სკოლა პროფესორი სერგი ყლენტის (1912—1963) სახელობისა და თითქმის იქვე მდებარე მშობლიურ კარ-მადამოში 1971 წელს გაიხსნა პროფესორი მოსე გოგიბერიძის (1897—1947 წ.) სახლ-მუზეუმი. ერთ თემში მოღვაწეთა სახელობის სამი კერის არსებობა საყურადღებო ფაქტია.

* * *

ჭოლა—ბიკენტი ლომთათიძე გვაგონებს ჭაბუა ამირჯიბის ქმნილება „დათა თუთაშხიას“ პერსონაჟ ჯმუხაძეს—ბიკენტი იალქანიძეს, მის ერთგვარ პროტოტიპად გვეჩვენება.

* * *

დაბოლოს შევნიშნავთ, რომ წინამდებარე ნაშრომი უნდა დაბეჭდილიყო ავტორის კრებულში „მემუარული ცნობები ქართველ მწერლებზე“. I. სიმონ გუგუნიავა, II. ეგნატე ნინოშვილი, III. ჭოლა ლომთათიძე, IV. ალექსანდრე ყაზბეგი, V. ვაჟა-ფშაველა..., მაგრამ გამოიყო და ეძღვნება ჭოლა ლომთათიძის დაბადების 100 წლისთავს.

* * *

მადლობას მოვასხენებთ: ლ. გუდიაშვილს გარეკანზე წარმოდგენილი ნახატისათვის, მასზე კალიგრაფიული წარწერისათვის გ. ფოცხიშვილს, სურათთა რეტუსირებისათვის—შ. ნუცუბიძეს და კლიშეთა დროულად დამზადებისათვის—გ. გოგიჩაიშვილს.

ОБ ЭПИСТОЛЯРНОМ НАСЛЕДИИ ЧОЛА ЛОМТАТИДЗЕ

Эпистолярное наследие замечательного грузинского беллетриста и общественного деятеля, изображавшего, главным образом, ужасы русской царской тюремной жизни, Чола (Викентия) Бибоновича Ломтатидзе (1878—1915) опубликовано лишь частично.

Его лично знали передовые соотечественники и русские политические деятели: В. И. Ленин, Г. В. Плеханов, Е. Д. Стасова, А. В. Луначарский, писатели: М. Горький, Л. Андреев, В. Короленко и другие. Горький назвал его «очень способным писателем». Псевдонимы Ч. Ломтатидзе были Воробьев, Хасап, Анархист и другие.

Сочинения Ч. Ломтатидзе написаны на грузинском языке. В русском переводе имеются его книги «В тюрьме. Повести и рассказы», перевод А. Канчели (Тбилиси, 1935) и «Перед впустицей», перевод с грузинского Д. Вольского (Тбилиси, 1972); Кроме того, о нем есть монография Г. Цицишвили «Чола Ломтатидзе, Книга о писателе-борце», перевод с грузинского М. Заверина (Тбилиси, 1972) и ряд статей.

Русские читатели по названным книгам могут познакомиться с жизнью и творчеством Ч. Ломтатидзе подробнее. Мы здесь остановимся лишь на письмах Ч. Ломтатидзе. Они писаны в 1907—1915 гг. Автор — участник Стокгольмского партийного съезда 1906 года и депутат Второй Государственной думы (1907 г.) Он, как личность, опасная для царской власти, был арестован и осужден на 5 лет каторжных работ. Этот приговор ему, как безнадежному больному, заменили 7½ годами тюремного заключения и далее — пожизненной ссылкой.

Ч. Ломтатидзе побывал в петербургской, московской, курской, харьковской, севастопольской, батумской, ахалцихской, тбилисской и бакинской тюрьмах, а с 1914 года находился в

астраханском и саратовском т. н. убежищах с правами арестанта-инвалида, где он и умер.

Из множества писем автора за стены тюрем, на волю вышло лишь немногие. Но и из этого небольшого количества часть писем не сохранилась, т. к. некоторые адресаты боялись переписки с политическим заключенным. Уцелевшая часть писем на грузинском и русском языках хранится в Государственном музее писателей Грузии им. Г. Н. Леонидзе, а также в личных архивах автора настоящих строк (ниже местопахождение таковых не оговаривается) и других (ниже отмечается, где они хранятся). Подлинники писем к сыну Чолику (1906—1913) имелись у адресата в Москве, а фотокопии сохранились у нас (вторые экземпляры этих писем мы же сдали в упомянутый Музей писателей).

Письма №№ 1—25 — на грузинском языке, имеют свою нумерацию и комментарии. Эта же нумерация сохраняется также, в письмах на русском языке.

31 дек. 1907 года

Дорогой друг Варнава!

Послал я сегодня тебе открытку, но потом опять захотелось с тобой поговорить побольше, вспомнить старину нашу, нашего Кохту (помнишь!) с его «философской» головой, вообще всю ту обстановку, в которой мы тогда убивали время, в которой прозябалл, которую я в душе проклинал и которую сейчас вспоминаю с такой любовью и учащенным биением сердца.

Всего прошло несколько лет с того времени, а не кажется ли тебе, что прошли десятки лет? Умер Кохта наш, умерла Матрона, предмет тайных вздыханий Кохты, умер дядя мой, никого из старых знакомых наших там уже нет почти. Разве только наш святой Батлом Чхартишвили, который так любит подслушивать «не только за страх, но и за совесть». Помнишь спектакль и меня в роли Моурави (кажется)? А Симон Коридзе и его колония! Как много хотелось хоть раз пройтись по старым знакомым местам!

И вот я в гостях у тебя, в Лесах, мы начинаем спорить, как полагается, спор чуть не переходит в энергичную брань... Ребяческие все это были шалости, а как приятно вспомнить, например, ночь, проведенную нами в доме М. Гигинейшвили...

Да, брат, все это было да сплыло, прошлого не воротить, а будущее уж не так заманчиво, рассуждая с шкурной точки зрения, с точки зрения собственного удовольствия. Но один вопрос приходит мне на ум сейчас — да жил ли я когда-нибудь для собственного удовольствия, и если и были грешные попытки к этому, достигал ли цели? Кажется нет. А дальше?

Пройдя эту ступень и оглянувшись назад, может быть, и теперешнее мое положение я вспомнил бы с чувством глубокого удовольствия! Конечно, это так будет, только теперь меня мучают иные сомнения — я не на шутку болен. Будь я на свободе, я, конечно, с этой болезнью справился бы очень скоро, — я тогда, в Супсе, болел точно так же, хотя в три раза сильнее, однако я поборол ее. Но здесь, в такой обстановке, мне невозможно бороться с ней. И это вынужденное бездействие меня мучит, я весь полон разных предчувствий и т. д.

Но все это глупости, авось все пойдет к лучшему. Я бы с большим удовольствием писал тебе письма, и для меня это было бы большим утешением — иметь сношения с друзьями и товарищами, но как только мы будем поставлены в каторжные условия, писать потом невозможно. Каторжанам разрешается переписываться два раза в месяц с самыми близкими людьми — с женой, матерью, отцом.. Иметь сношения с остальным миром им не полагается. Так вот, до перевода из этой тюрьмы, я еще могу писать, а потом уж нельзя будет. А как говорят, переведут нас скоро, со дня на день нужно ожидать. И там начнется новая жизнь, новые впечатления, новые люди. Трудно жить с убийцами, разбойниками, дегенератами, с настоящими преступниками, но нужно полагать, что иногда люди попадают в более худшие условия, да терпят.

В Баку у меня должны быть знакомые. Если таковых встретишь, кланяйся им, будешь писать Рахиль, кланяйся от меня и при том напиши ей, что она напрасно думает, будто я в прошлом или позапрошлом году в Джуруквети не узнал ее. Я ее узнал бы, только не видел, а раз она меня видела, то и была обязана (так напиши) сама подойти ко мне. Мне в двадцать раз приятнее было бы несколько минут поговорить с ней, чем слушать и прикипать участие в выяснении той грязной истории.. А как мне в конце-концов все-таки жаль стало этого типичного разбойника Гигинейшвили.. Ну, будь здоров, жму твою руку.

Чола.

14 августа 1908 года
г. Севастополь

Илариону Шеварденовичу Ломтатидзе
Дорогой дядя!

Значит, мое письмо не дошло до Вас. И кроме того, я просил Василия Шевардиадзе написать обо мне, что я здоров. Насчет свидания дело легкое, приезжайте, можете получить свидание всегда, разрешение берется у Градоначальника. А так, свидания имею я в неделю 2 раза, по воскресеньям и вторникам. Только не советую Вам приезжать и тратить денег напрасно. Я здоров и ни в чем не нуждаюсь, конечно, было бы хорошо видеть Вас, но бог даст, доживем и до

14 августа 1908 года
Дорогой дядя! Значит мое письмо не дошло до Вас. И кроме того я просил Василия Шевардиадзе написать обо мне, что я здоров. Насчет свидания дело легкое, приезжайте, можете получить свидание всегда, разрешение берется у Градоначальника. А так, свидания имею я в неделю 2 раза, по воскресеньям и вторникам. Только не советую Вам приезжать и тратить денег напрасно, я здоров и ни в чем не нуждаюсь, конечно, было бы хорошо видеть Вас, но бог даст, доживем и до Цили и ребенка здесь они тоже здоровы, адрес Цили: Севастополь, Ремесленная ул. дом Бурназа, кв. 7, Елизавете Ломтатидзе. Привет всем Вам, от меня и от Цили. Писал я и Митайшвили письмо, но ответа не получил. Будьте здоровы.
Ваш Чола.

16. Письмо Илариону Ломтатидзе.

этого. Цили и ребенок здесь, они тоже здоровы; адрес Цили: Севастополь, Ремесленная ул. дом Бурназа, кв. 7, Елизавете Ломтатидзе. Привет всем Вам, от меня и от Цили. Писал я и (Ал.) Митайшвили письмо, но ответа не получил. Будьте здоровы.

Ваш Чола.

он стройный такой, ловкий и веселый — только вот хулиган, лстый черносотенец. Ради бога, сообщи, получила ли его нянька карточку, послали ей еще с Питера. Напиши. Привет всем.
(Чола)

№ 29

18 августа (1910)
(Батуми)

Иларноу Ломтатидзе
Дорогой дяди!

Давно от Вас нет известий, не больны ли? Я писал полтора месяца назад открытку. Получил ли Егор портреты? Циля сказала, что ей приесли письмо Егора с просьбой выслать портреты, она ему и дала их. Как живут Егор и Феодосия. Циля и Чолик здоровы, я тоже. Только свиданий нет по случаю холеры и я скучаю немного. Привет Лаврентию с семейством. Нестору тоже. Пишите, как Ваши дела и здоровье. Кланяюсь всем.

Ваш Чола.

№ 30

Ночь 6-ое дек., 1912 г.

Чолик,

Эти строки писаны ночью около 2-х час., человеком счастливым, которому стыдно стало за свои мрачные ночные мысли о том, что он одинок и несчастен. Теперь ему хочется говорить сказками, ибо он любит мир, а любовь большей частью или молчит, или создает золотые, похожие на ночные звезды красивые, красивые сказки.. Это ты причина, Чолик, тебе пишу, и ты когда-нибудь прочтешь это. Эти строки писал человеком счастливым, который узнал о своем счастье и богатстве тотчас же, как вспомнил о тебе. Ты спал, Чолик, и все спали, и никто не думал тогда о человеке, который томился в смертной тоске в мрачной камере, под желтыми лучами ночника, с повышенной температурой, после сильного приступа кашля и кровохарканья.

И никого не было с ним, только на дворе шумел ветер, на дворе рыдала осенняя ночь, и какая-то злая, злая ведьма села на телеграфный столб, провела хищными когтями по проволокам и заиграла адскую песнь, песнь тоски и отчаяния. Она

должно быть, видела меня и смеялась надо мной, она надевалась над умирающим большим.

И смертная тоска все росла, росла. И когда окно мое, грязное, старое окно стало дрожать, человек, которому потом стало стыдно, подумал — это стучится смерть... здравствуй, смерть!... и сказал он себе: пусть! Пусть смерть!

Умереть — это значит не быть никем любимым, пусть-смерть, смерть.

Но в это время он сделал движение, из-под подушки выпала книга, а из книги выпал портрет маленького человека.

— Здравствуй, Чолпк, это ты?

— Это я, папа!

— Это я, твой папа?

— Да ты, мой папа!

— Ты не спишь, Чолик?

— Нет, папа. Я удрал к тебе.. а маме кажется — я сплю!

— Здравствуй, Чолпк, родной мой! А вот как тебя тов.

Акким изобразил, — смотри, ты на улткне едешь: шире дорогу, сам Чолик едет... Ты меня помнишь, Чолик?

— Помню, папа!

Человеску же, автору этих строк, казалось, что его никто не помнит, потому он метался в смертной тоске и страдал. Он думал, что одних заставила смерть забыть его, а других — жизнь.

Ап, оказалось, не так. И человек немного успокоился, он задремал, но во сне он увидел Чолпка.

— Это ты — радость?

— Это я — радость!

— Моя радость!

— Твоя радость!

Радость! Радость! Радость! Он проснулся и больше не мог заснуть. И он написал сказку по-грузински, где сказал, что любит весь мир, и еще написал это письмо Чолику, которое он, может, когда-нибудь прочтет. И когда он дрожащими руками писал, ему было стыдно, стыдно за свои мрачные почтительные мысли о том, что он несчастен и одинок.

И что главное, он никак не мог вспомнить, что с ним собственно случилось такое, что он дошел до таких мыслей и он...

(Чола)

15 марта 1913 г.

Глубокоуважаемый Владимир Галактионович!

Не без некоторого смущения решаюсь послать Вашему уважаемому журналу мою вещьцу «Белую ночь», мною переведенную с грузинского с некоторыми, должен оговориться, изменениями в начале и в конце. В оригинале она была напечатана в Кутаиси, в рабочей газете «Мпатоби» в 1911 году.

Владимир Галактионович! Не будет ли большой навязчивостью с моей стороны, если я попрошу Вас прочесть ее? Это мне нужно было бы не только потому, что желал бы видеть ее напечатанной. Конечно, я об этом мечтаю. Но мне нужно еще знать, могу ли я переводить вообще? Ваше мнение было бы для меня решающим, а в грузинской литературе есть кое-что такое, с чем бы можно было познакомить русскую читающую публику. Если я решился перевести свою вещь, это только потому, что мне на первый раз удобнее и легче передать свое построение, свой стиль и мысли, чем других писателей. Поэтому вопрос о годности перевода, независимо от годности самой вещи, для меня имеет большое значение... Так вот, если Вы уделите Ваше драгоценное время чтению моей вещи и сообщите мне Ваше мнение, я буду Вам бесконечно благодарен.

Адрес мой сообщит товарищ, которому поручаю послать как перевод, так и это письмо.

Уважающий Вас Викентий Ломтатидзе.
Метехский тюремный замок, Тифлис.

№ 32

30.VI.1913 г.

Дорогой Аким!

Я слишком слаб, чтобы мог подробно описать тебе обо мне. Наконец-то я на свободе. Отдохну— напишу все. А пока сообщаю тебе свой адрес: Астрахань, 1-ая Бакалдинская, 38 дом Азизова, И. И. Рамишвили, для Чолы.

При получении этого письма немедленно пришли «Белую ночь», заказной бандеролью по такому адресу: Астрахань, редакция «Астраханского Вестника» Пармену Сабашвили.

Привет Нише. Жму руку и крепко Вас обоих целую.
Чола.

На днях напишу.

Жду рукописи. Здесь имеются лица, которые скоро уйдут в Питер. Надо чтобы подоспело.

(Чола)

№ 33

19 ноября 1913 г.
Астрахань

Дорогой Аким!

Получил твое письмо и если бы даже не получил на этих днях, все же собирался написать тебе. Я сравнительно чувствую себя хорошо, кашляю помаленьку, по вечерам бывает повышенные температуры, иногда и кровь показывается, но решил не умереть до весны по крайней мере, если какая-нибудь чрезвычайная причина, вроде простуды, не помешает этому решению. Перемены в моем положении то, что я уже второй месяц не курю, бросил табак окончательно, хотя никакой пользы, кроме материнской, конечно, от этого нет. Больше никакой перемены — ни в кого еще не влюбился и в перспективе даже не имею ничего подобного. Прохожу мимо всех женщин, и черт знает, быть может, это и ненормально, абсолютно они отсутствуют в моих мечтах. Чолка на днях отправляю в Москву, к матери, во 1-х потому, что он окончательно пропадет в моих руках, во 2-х — чума падвигается, в 3-х надосло мне здесь, проснулась цыганская моя кровь и заговорила: туда! туда! Куда — не знаю еще, но, что куда-нибудь умчусь, это я думаю решено и подписано. Да поможет мне в этом Бог. Но об этом пока надо помалкивать, ты ведь знаешь. Скучаю ужасно. Местная публика по преимуществу — хулиганская, ссыльных мало и среди них только с двумя-тремя установились хорошие отношения. И эти кончают ссылку скоро. Был один народник — уехал в Женева. Живет одна Киевляшка-народничка, о ней писал тебе, она тоже скоро за границу уедет — больна очень, и ей разрешают поехать. Базаров кончает срок в январе и будет здесь пусто... — много всякого хлама. а ничего путного. Хотя и сказано, что в хорошем хозяйстве всякая дрянь пригодится, по это в «хорошем хозяйстве», а когда его нет, то... За

этот месяц несколько раз напился до безобразия, вина здесь много, но развееселиться все же не мог — не умерла ли во мне радость? Дрался с извозчиком-татаринном и здорово его отдул, а Чолик теперь падо мпою смеется и все об этом рассказывает: «Папу пзвозчик по «матерски» выругал; «армяшкой» обозвал, а папа у него вырвал кнут и бил его. И папе не стыдно». Положим, это последнее его утверждение не верно, мне очень даже стыдно, но ничего не сделаешь.. Но скучно мне рассказывать об этих вещах, давай про Кавказ балакать.

Очень мне неприятно было прочесть про случай с Гелованп, жаль беднягу. Ну, а Турпева в цепи три раза бить следует. Петрусу привет от меня, помпр — он хороший был. Что касается Георгия Отхмезури, может быть удастся видеть его, или каким-нибудь образом дать ему знать о себе. Дело вот в чем: уезжая, я ему оставил мои вещи: пальто, подушку, белье, рецепты, градусник и т. д. и еще рубль денег на пересылку. Еще в августе он мне написал, что все это он передал на волю для пересылки мне. Но я ничего не получал и после того никак не мог узнать, хотя и запрашивал несколько раз — кому он эти вещи передал и что с ними стало. Оставил также книги ему и тетради, которые получил паложеным платежом — их выслали после его освобождения. Вот человек удивительный — нет такого вора и пегодяя, которому бы он не огдал несколько рублей денег, а тут на мои деньги мне моих вещей не мог выслать. Главное, если бы мог знать, кому он их передал. Сколько свпней в образе человека ходит под луной!

Слушай, переписываешься ли с Макневским? Сколько раз ему написал, никакого ответа. Наверное, не получает моих писем, а может быть, думает, что не писал. Если есть возможность, сообщи ему об этом. Разве его не высылают? Чего же Мелкиса выслали, а его нет? В чем дело?

Я еще раз повторяю — по-моему пасчет Нины не падо особенно беспокоиться — ведь женщины должны оплодотворяться, рожать и т. д. А это вызывает «муку родов». Иначе не бывает, к сожалению. Конечно, надо показать врачу; если она слаба физически, но не думаю, чтобы до аборта дело дошло.

А насчет наследника подожди высказывать свои чувства, пока очень рано. Запоешь иначе, увидишь. Мне очень понравились твои рассуждения о том, что от людей нечего ждать тепла.

А ты когда думаешь перебраться в Тифлис? Это было бы хорошо очень помимо того, что Ниша хочет. Чем скорее это устроишь, тем лучше будет. Цыля, оказывается, уже в Москве. Разругались мы очень, она меня негодяем обозвала недавно, палачом и еще чем-то. И хоть бы меня обозлило все это. Как она далеко ушла от меня, как я ее забыл и вычеркнул из памяти! Знаешь, правду скажу, жаль мне так позабыть ее, как никак, а как много мы с нею жили и страдали вместе. Лучше было бы, если бы я ее ненавидел, презирал, а это безразличное отношение, которое у меня к ней появилось, это оказывается ужасно плохо.

Ну всего лучшего тебе, друг мой, обнимаю тебя и целую крепко. Пиши. Пойду спать, спокойной ночи.

Чола.

№ 34

6 августа 1914 г.

Редукатору журн. «Русское богатство»

Г. В. Короленко

Уважаемый господин редактор!

Теперь мне стало настолько лучше, что могу писать и желаю, в первую очередь, обратиться к общественной мысли страны. Надеюсь, что это мое обращение найдет место на страницах вашего издания. Дело в следующем.

